საჯარო ბიბლიოთეკა
თბილისი

მეექვსე წელიწადი

პრ. ყველა ქვეყნ ისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების
საბჭოების
ცენტრალური აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები:)რედაქტორის 14—76
)მდივნის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 24; მეორე სართული, ტელეფონი № 10—49
ხელის მოწერის ფასი: მუშა-მოსამსა 90 კაპ., დანარჩენებისათვის—1 მ. და 20 კ. ხელისმომწერნი მიიღებენ ჟურნალ „დროშას" და „მეცნიერება და ტეხნიკას". განცხადებები: ნონპარელის სტრიქ.—40 კ., ტექსტში ორჯერ მეტი, სამგლოვიარო —10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება 3 ს-დე.
ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელ. 13—80.

დღიური

- — ინგლისში მოსალოდნელია დიდი გაფიცვა.
- — მოსკოვში გაიხსნა საერთაშორისო აგრარული ინსტიტუტი.
- — საფრანგეთის პრეზიდენტმა დუმერგმა ინახულა საბჭოთა პავილიონი ლიონის ბაზრობაზე.
- — ოსმალეთმა უარყო მიპატიჟება ერთა ლიგის საბჭოს სხდომაზე.
- — კელნის საგაზაფხულო ბაზრობა არ შესდგება.

ოთხშაბათი, 10 მარტი 1926 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 55 (1510)

კიდევ ერთი დოკუმენტი

გუშინ მკითხველი ჩვენს გაზეთში გაეცნობოდა ავსტრიის მუშათა დელეგაციის დეკლარაციას. ჩვენი სინამდვილის უშუალო და საფუძვლიანი დაკვირვება-შესწავლის შემდეგ ავსტრიელმა მუშებმა გამოაქვეყნეს თავისი პირუთვნელი აზრი საბჭოთა საქართველოს შესახებ.

საბჭოთა ხელისუფლება მშრომელთა ნამდვილი ხელისუფლებაა, რომელსაც აქტიურად უჭერენ მხარს ყველა მუშები და გლეხები; სავსებით უზრუნველყოფილია ქართველ ხალხის (და სხვა ეროვნებათა) ნაციონალური უფლებები; საბჭოთა ხელისუფლების დროს უდიდეს მიღწევებს აქვს ადგილი სამეურნეო და კულტურულ აღორძინების დარგში, მშრომელთა კეთილდღეობის აწევის საქმეში; რესპუბლიკა წარმატებით სოციალისტური მშენებლობის გზით მიდის; „საქართველოს პროლეტარიატის პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული აღორძინება შესაძლებელი გახდა მხოლოდ იმიტომ, რომ მუშების და გლეხების ხელშია მთელი ძალა-უფლება; სრული სიყალბეა ხმები ქართველი ხალხის ვითომდა დამონების შესახებ, რომლებსაც საზღვარ-გარედ ჯერ კიდევ ავრცელებენ მენშევიკური და „სოციალისტურ"-ბურჟუაზიული პრესა,—აი რა სთქვეს ავსტრიელმა მუშებმა.

ჩვენთვის ეს ყველაფერი ძველისძველი ამბავია, მაგრამ საგულისხმო აქ ის არის, რომ ამას ამბობენ უცხოელი საციალ-დემოკრატი მუშები, რომელთაც თავიანთი ლიდერებისაგან „ყურები ჰქონდათ გამოჭედილი" ათასგვარი სიცრუით საბჭოთა სინამდვილის, კერძოდ ჩვენი ქვეყნის სინამდვილის შესახებ. ჩვენი მდგომარეობის გაცნობამ საბოლოოდ გაფანტა მენშევიკების ბოროტი ხმები ჩვენს შესახებ, ხმები, რომელთა საფუძვლიანობაში ავსტრიელ მუშებს მანამდეც შეეპარათ ეჭვი, რითაც აიხსნება საბჭოთა კავშირში დელეგაციის გამოგზავნა, მიუხედავად ბაუერის წინააღმდეგობისა.

ავსტრიელ მუშების უტყუარი და მართალი ხმა კიდევ ერთი ლახვარია როგორც უცხოეთში გახიზნულ ქართველ მენშევიკთა „ლიდერებისათვის", ისე მთელი მეორე და ამსტერდამის ინტერნაციონალებისათვის, რომელთა მთავარ „ფარხმალს" საბჭოების და კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ ჭორები წარმოადგენს.

ავსტრიელი ამხანაგები ამ სიმართლეს საბჭოთა რესპუბლიკების შესახებ მიაწვდიან იქაურ მუშათა კლასს და ამას უეჭველად დიდი მნიშვნელობა ექნება. საზღვარ-გარედ ჯერ კიდევ ბლომად მოიპოვებიან ისეთი ელემენტები პროლეტარიატის რიგებიდან, რომელთაც არ აქვთ სწორი წარმოდგენა ჩვენს შესახებ და ამ მხრივ ყალბი ინფორმაციით იკვებებიან. ავსტრიელ დელეგატების ჭეშმარიტი სიტყვა მათ თვალს აუხელს, ხოლო ამხელს და ნიადაგს გამოაცლის იმ პირებს, რომელნიც ბოროტი ზრახვით, მუშურ-გლეხურ ხელისუფლებისადმი სიძულვილით გამსჭვალულნი, ამახინჯებენ ჩვენს სინამდვილეს.

ეს ხელს შეუწყობს ერთი მხრივ ყვითელი ინტერნაციონალის ავტორიტეტის დაცემას, მეორე მხრივ—ევროპის მუშათა კლასის დაახლოვებას საბჭოთა კავშირის მშრომელებთან, მუშათა ერთიანი ფრონტის, საერთაშორისო პროფმოძრაობის მთლიანობის აღდგენას. ავსტრიელი მუშები დარწმუნდენ, რომ ამ მთლიანობის ლოზუნგი „კომუნისტური პარტიის ფრაზების პოლიტიკას" და პოლიტიკურ ფანდს კი არ წარმოადგენს, როგორც ამას ამბობენ სოციალ-მოღალატენი, არამედ მის განხორციელებისკენ სერიოზულად ისწრაფვის, კომპარტიასთან ერთად, მთელი ჩვენი მუშათა კლასი. ავსტრიის დელეგაცია აღთქმას იძლევა, რომ იბრძოლებს საერთაშორისო პროლეტარიატის მთლიანობის სასარგებლოდ. და ამ დაპირებას იგი კიდეც შეასრულებს.

საბჭოთა კავშირი მიმზიდველ ცენტრადაა გადაქცეული ევროპის მუშათა კლასისათვის. ჩვენ უკვე ვიხილეთ მისი მრავალი დელეგაცია. ტრედ-იუნიონების, ინგლისის მუშაქალთა, გერმანიის მუშათა კლასის, საფრანგეთის და ბელგიის და ზოგიერთ სხვა ქვეყნების პროლეტარიატის წარმომადგენლები ეწვიენ ჩვენ რესპუბლიკებს და გაეცნენ მათ მდგომარეობას. ბოლოს ავსტრიის მუშათა დელეგაციამაც გაიკვლია გზა ჩვენსკენ. ამ დელეგაციების დენა მოწმობს ევროპის პროლეტარიატის ცხოველ დაინტერესებას მუშურგლეხურ სახელმწიფოთი და მისი მიღწევებით, მოწმობს მისი თანაგრძნობის ზრდას საბჭოთა მშრომელებისადმი, ამავე დროს ეს ფაქტი გვიჩვენებს მსოფლიო მუშათა კლასის მასიურ ლტოლვას მთლიანობისაკენ, გვიჩვენებს მის გამემარცხენებას.

აღსანიშნავია, რომ ამ დელეგაციების სოციალ-დემოკრატი წევრები ხდებიან არა მარტო საბჭოთა ხელისუფლების მეგობრები, არამედ უახლოვდებიან კომუნისტურ პარტიასაც. დასავლეთის კომპარტიებს ეს უჩვენებს გზას, თუ როგორ უნდა გაატარონ მათ ერთიანი ფრონტის ტაქტიკა: შეუბრალებლად ამხილონ რა სოციალ-დემოკრატიის გაუსწორებელ მეთაურებს, მათ უნდა დაამყარონ ამხანაგური დამოკიდებულება მის ქვედა ფენებთან, მუშათა მასებთან და ამ გზით ჩააბან ისინი მუშათა რევოლიუციონურ ბრძოლაში.

რა თქმა უნდა, სოციალ-დემოკრატების ლიდერებს და ბურჟუაზიას მშვენივრად ესმით, თუ რა მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირში ევროპის მუშათა კლასის წარმომადგენლების მოგზაურობას მუშათა მთლიანობის აღდგენისა და ბურჟუაზიულ წყობილების ბედისათვის. ამიტომ ასე სასტიკად ილაშქრებენ ისინი ამ დელეგაციების გამოგზავნის წინააღმდეგ და ცდილობენ სახელი გაუტეხონ მათ. ამავე დროს საგულისხმოა, რომ მაგ., ინგლისელი კონსერვატორები მუშებს ამერიკაში გზავნიან რევოლიუციონური განწყობილების მოსადუნებლად და საბჭოთა კავშირში ნამყოფ თუ მომავალ დელეგაციებისათვის დასაპირდაპირებლად.

მაგრამ არავითარი ზომა არ სჭრის. ევროპის მუშათა კლასის ლტოლვას საბჭოთა რესპუბლიკებისაკენ ვერაფერი შეაჩერებს. ჩვენკენ კვლავ მოედინებიან ახალ-ახალი დელეგაციები. მსოფლიო მუშათა კლასის მთლიანობის იდეა სულ უფრო მეტ მომხრეებს პოულობს. ეს გარემოება, კერძოდ საბჭოთა კავშირის და ევროპის მშრომელთა დაახლოვება უტყუარი საწინდარია მათი საბოლოო გამარჯვების.

მთავრობის კრიზისი საფრანგეთში

დუმერგი მოლაპარაკებას აწარმოებს ბრიანთან, ერიოსთან და დე-სელვისთან მთავრობის შედგენის შესახებ

გაზეთების აზრით, ადვილი შესაძლებელია, რომ ახალ მთავრობას ისევ ბრიანი შეადგენს

კანდიდატს დაეძებენ.

პარიზი, 8 მარტი. „ჰავას"-ის სააგენტოს ცნობით, დუმერგმა მოლაპარაკება დაიწყო პოლიტიკურ მოღვაწეებთან მთავრობის შედგენის შესახებ და მიიღო დე-სელვი, ბრიანი და ერიო.

ბრიანი, კაიო თუ დე-მონზი?

პარიზი, 8 მარტი. დუმერგთან გრძელდება წინასწარი თათბირი საფრანგეთის ახალი კაბინეტის შედგენის შესახებ.

რადიკალ-სოციალისტების საპარლამენტო ფრაქციის სხდომაზე თავი იჩინა დიდმა უთანხმოებამ. შეთანხმება მიღწეულია მხოლოდ იმ საკითხში, რომ ფრაქცია მხარს დაუჭერს მხოლოდ ისეთ კაბინეტს, რომელიც განაგრძობს ერიოს და ბრიანის საგარეო პოლიტიკას. რადიკალების უმრავლესობა იმ აზრისაა, რომ ახალი კაბინეტის შედგენა მიენდოს ბრიანს. დადის ხმები, რომ მოსალოდნელია ბრიან—კაიოს ან კაიო—ბრიანის კომბინაცია. ვინაიდან ასეთი კომბინაცია ძნელი განსახორციელებელია, ასახელებენ დე-მონზის კანდიდატურასაც.

ტრაგიკული საკითხი.

პარიზი, 9 მარტი. საფინანსო და სამრეწველო წრეების ორგანოები შეშფოთებული არიან იმ გარემოებით, რომ კაბინეტის კრიზისი გავლენას ახდენს საფრანგეთის ფინანსების მდგომარეობაზე.

„სან-ფიოს" სააგენტო სწერს:

„ჩვენ ვიმყოფებით ისეთ მომენტში, როდესაც ისმება ტრაგიკული საკითხი ფრანკის მომავალი ბედის შესახებ".

ინგლისის პრესის გამოძახილი.

ლონდონი, 8 მარტი. ინგლისის პრესა გაცხოველებით იხილავს საფრანგეთის მთავრობის კრიზისის საკითხს. გაზეთების უმრავლესობა გამოსთქვამს მოსაზრებას, რომ ბრიანი შეინარჩუნებს საგარეო საქმეთა მინისტრის პორტფელს ახალ კაბინეტში.

კრიზისი და ერთა ლიგა.

ლონდონი, 8 მარტი. ინგლისის წრეები სხვადასხვანაირი აზრის არიან იმ საკითხში, თუ რა გავლენას მოახდენს საფრანგეთის მთავრობის კრიზისი ერთა ლიგის სესიაზე. ზოგიერთი ფიქრობს, რომ კრიზისი ხელს შეუწყობს ერთა ლიგის საბჭოში მარტოდ-მარტო გერმანიის შესვლას, სხვები ფიქრობენ, რომ ბრიანის არყოფნას ლიგის სესიაზე შეუძლია იურიდიული ხასიათის დაბრკოლება გამოიწვიოს, და მათ შესაძლებლად მიაჩნიათ გერმანიის შესვლის გადადება სექტემბრამდე.

„გამოსავალი" მონახეს.

ლონდონი, 8 მარტი. ლიბერალური გაზეთები იხილავენ საფრანგეთის ფინანსიურ მდგომარეობას და მიდიან იმ დასკვნამდე, რომ საფრანგეთი აპირობს „გაკოტრებას ბოროტგანზრახვით". ფინანსიური გაზეთები აღნიშნავენ, რომ საფრანგეთში შექმნილი მდგომარეობა დიქტატურას მოითხოვს.

ბრიანს მეტი შანსები აქვს.

ლონდონი, 9 მარტი. „დეილი მეილ"-ის პარიზელი კორესპონდენტის ცნობით, დუმერგი მთელი დღის განმავლობაში ღებულობდა პოლიტიკურ პარტიების ბელადებს, რომლებთანაც მოლაპარაკება ჰქონდა ახალი კაბინეტის შედგენის შესახებ. ყველაზე უფრო მეტი ყურადღება მიიქცია ბრიანმა, რომელსაც პრეზიდენტთან ლაპარაკი ჰქონდა მთელი ერთი საათის განმავლობაში. თუმცა ბრიანისათვის ჯერ კიდევ არ დაუვალებიათ ახალი კაბინეტის შედგენა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, **პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ ბრიანს დუმერგი უყურებს, როგორც სახელმწიფო მოღვაწეს, რომელიც ყველაზე უფრო ადვილად მოაგვარებს მთავრობის კრიზისს.**

კომპეტენტურ წრეებში დღეს საღამოს შესაძლებლად მიაჩნდათ, რომ ბრიანი თანახმა იქნება ახალი სამინისტროს შედგენის და რომ ის ყოველგვარ კავშირს გასწყვეტს რადიკალ-სოციალისტების იმ ნაწილთან, რომლის პოლიტიკურმა ინტრიგებმა საგრძნობლად ხელი შეუწყო მისი კაბინეტის დამხობას.

„ერის მხსნელი მთავრობა".

პარიზი, 9 მარტი. საფრანგეთის გაზეთები ფიქრობენ, რომ ბრიანი თანახმა იქნება შეადგინოს ერის მხსნელი მთავრობა, რომლის გარშემო უმრავლესობა მოიყრის თავს. ყოველ შემთხვევაში, ბრიანი დაიჭერს გარეშე საქმეთა მინისტრის პოსტს, თუ მას ეს შესთავაზეს.

მემარცხენე მთავრობა.

პარიზი, 9 მარტი. მემარცხენე კაბინეტის შედგენას, რომელსაც მოითხოვს რადიკალ - სოციალისტების უმრავლესობა, თანაუგრძნობენ სხვა ჯგუფებიც. სახელდობრ—ცენტრი.

პარიზის პრესა კრიზისის შესახებ.

პარიზი, 9 მარტი. „ევრ"-ს, რომელიც შეუძლებლად სცნობს ერიოს სამინისტროს შედგენას, პრობლემატიურად მიაჩნია კაბინეტის შედგენა მხოლოდ მემარცხენე ბლოკის წარმომადგენლებისაგან. გაზეთის აზრით, შესაძლებელია კომბინაცია მემარცხენეების მემარცხენე ცენტრთან ერთად დე-მონზის, ან კაიოს პრემიერობით.

„კოდიტიენ"-ი მოითხოვს პუანკარეს ან ერიოს ერთფეროვან სამინისტროს და უარყოფს ყოველგვარ სიპოლეგს, ან მკვიდრი მდგომარეობის ძიებას.

„ომ ლიბრ"-ი აღნიშნავს, რომ შესაძლებელია მხოლოდ ბრიანის სამინისტროს შედგენა, რომელშიაც ფინანსთა მინისტრად იქნება დე-მონზი ან მალვი.

ბევრი გაზეთი ფიქრობს, რომ კაიოს შანსები აქვს.

„ჟურნალ"-ი შეუძლებლად სთვლის პალატის დათხოვნას, სანამ ის ბიუჯეტს არ მოიწონებს. გაზეთის აზრით, ბრიანის დაბრუნება ყველა პარტიებისათვის სასურველია, თუმცა ბრიანი მზად არის მიიღოს მხოლოდ გარეშე საქმეთა მინისტრის პორტფელი.

მემარცხენე ბლოკის გაზეთი „ერ ნუველ" ფიქრობს, რომ დუმერგი ერიოს სთხოვს კაბინეტის შედგენას.

დამარცხება აუცილებელია.

ბერლინი, 9 მარტი. პარიზიდან მიღებული ცნობებით, საფრანგეთის ახალი კაბინეტის სათავეში, ალბად იქნება ბრიანი, მიუხედავად ნაციონალური ბლოკის ოპოზიციისა, რომლის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ბრიანმა რომც აილოს ენერგიული ტონი გერმანიის მიმართ, მას მაინც დამარცხება მოელის ჟენევაში.

მთავრობის კრიზისი საფრანგეთში და ერთა ლიგა.

პარიზი, 9 მარტი. ერთა ლიგის საბჭოს სესია 8 მარტს გაიხსნა.

საფრანგეთის პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ მთავრობის კრიზისი საფრანგეთს საგრძნობლად ხელს შეუშლის იმ კომბინაციების გატარებაში, რომელსაც ის მხარს უჭერს ერთა ლიგის საბჭოს სესიაზე.

ბრიანი, რომელიც 7 მარტს მონაწილეობას იღებდა კერძო თათბირებში ჟენევაში, პარიზში დაბრუნდა. საფრანგეთის პოლიტიკურ წრეებში ამტკიცებენ, რომ ერთა ლიგის საბჭოს სესია გაჭიანურდება, მანამდე კი საფრანგეთი მოაგვარებს მთავრობის კრიზისს და გაგზავნის ჟენევაში ავტორიტეტულ წარმომადგენელს.

გერმანიის პრესა კრიზისის შესახებ.

ბერლინი, 8 მარტი. გერმანიის პრესა თავს იკავებს იმ გამოურკვეველ მდგომარეობის გამო, რომელიც ბრიანის დაცემამ შეჰქმნა.

მთავრობის პრესა ჟენევაში გუშინდელ თათბირების შემდეგ შექმნილ მდგომარეობას სთვლის გართულებულად, მაგრამ არა უიმედოდ. მთავრობის გაზეთების ცნობით, სერიოზული საფრთხე მდგომარეობას მხოლოდ მაშინ მოელის, თუ საფრანგეთში ნაციონალისტურმა პოლიტიკამ გაიმარჯვა.

ბრძოლა მუდმივი ადგილისათვის

პირველი კერძო სხდომა

ლონდონი, 9 მარტი. დღეს დილით გაიმართა ერთა ლიგის საბჭოს პირველი კერძო სხდომა მუშაობის პროგრამის განსახილველად. დღის სხდომა შესდგა იაპონიის დელეგატის იშის თავმჯდომარეობით. იშიმ აღნიშნა სესიის მნიშვნელობა და გამოსთქვა აზრი, რომ გერმანიის შესვლა ერთა ლიგაში უნდა ჩაითვალოს ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენათ ლიგის ისტორიაში.

ბრიანის დაუსწრებლათ

ლონდონი, 9 მარტი. ლონდონის პოლიტიკურ წრეებში მწუხარებას გამოსთქვამენ, რომ ბრიანმა დროებით უნდა დასტოვოს ჟენევა და ამის გამო ლიგის სესიის მუშაობა მოკლე ხნით სწყდება. ლონდონში ფიქრობენ, რომ ბრიანის გამგზავრების გამო მთავარ საკითხების განხილვა გადადებული იქნება, სანამ ის პარიზიდან დაბრუნდებოდეს. მანამდე კი გაგრძელდება მოლაპარაკება სხვა დელეგატებს შორის, განსაკუთრებით ერთა ლიგის საბჭოს შემადგენლობით დაინტერესებულ დელეგატებს შორის. ინგლისის წრეებში დარწმუნებული არიან, რომ ბოლოს და ბოლოს ყველა დაბრკოლებები გადალახული იქნება.

პოლიტიკური კომისია

ლონდონი, 9 მარტი. იმ პოლიტიკურ კომისიის თავმჯდომარეთ, რომელიც განიხილავს ერთა ლიგაში გერმანიის მიღების საკითხს, არჩეულია, ჩემბერლენი. ეს კომისია თავის მოხსენებას ოთხშაბათამდე ვერ წარადგენს. ამ მოხსენების შემდეგ საბჭო განიხილავს გერმანიისათვის მუდმივ ადგილის მიცემის საკითხს. იმ შემთხვევაში, თუ ამ საკითხში ერთსულოვანი მონაწილეობა მიიღეს, იგი გადაეცემა პლენარულ სხდომას, რომელიც ხუთშაბათს ან პარასკევს გაიმართება.

კოლონიალურ მანდატების კომისია

პარიზი, 9 მარტი. ბერლინიდან მიღებულ ცნობების თანახმად, რეიხსტაგთან არსებულმა კოლონიალურ საზოგადოების კომიტეტმა წინადადება მისცა შტრეზემანს ითხოვოს გერმანიის მიღება კოლონიალურ მანდატების მუდმივ კომისიაში.

საფრანგეთის კრიზისი—საერთაშორისო კრიზისია

პარიზი, 9 მარტი. პარიზის გაზეთების ჟენეველი კორესპონდენტები აღნიშნავენ, რომ დელეგატები ერთა ლიგის საბჭოს სესიაზე შეშფოთებული არიან საფრანგეთის სრულუფლებიანი დელეგატის არყოფნით. ჟენევაში ფიქრობენ, ბრიანის გამგზავრება მძიმე მდგომარეობას ჰქმნის და ამ გარად საფრანგეთის კრიზისს საერთაშორისო კრიზისის ხასიათი ეძლევა.

თუ ბრიანმა გაიმარჯვა

ბერლინი, 9 მარტი. ჟენევაში გერმანიის წარმომადგენლების წრეებში აცხადებენ, რომ, თუ ბრიანმა გაიმარჯვა, გერმანიის დელეგაცია დაბრუნდება ჟენევაში.

ბრიანის დაბრუნებას ჟენევაში მოელიან ხუთშაბათს.

ოსმალეთმა უარყო ერთა ლიგაში მიწვევა

პარიზი, 9 მარტი. სტამბოლიდან მიღებული ცნობებით, ოსმალეთმა უარყო ერთა ლიგის წინადადება ოსმალეთის მონაწილეობის შესახებ კამათში ირაქის საკითხის შესახებ.

„უფეხო მანდილოსანი"

ბერლინი, 9 მარტი. ეხება რა საფრანგეთის მთავრობის დაცემას, „ბერლინერ ტაგებლატი" ბრიანს უწოდებს „უფეხო მანდილოსანს", რადგან, თუმცა მისი თავი ჩვეულებრივად ბრწყინვალედ მუშაობს, მაგრამ ჟენევაში მას დასაყრდნობი აღარ ექნება, დეპუტატთა პალატაში დამარცხების გამო.

გაზეთი დასძენს, რომ „ჟენევიდან მატარებლები ყველა მიმართულებით მიდიან და გერმანიის დელეგაციისათვის ისევე ადვილია ერთ მათგანში ჩაჯდომა, როგორც ბრიანისათვის".

„გერმანიის შეურაცხყოფა"

ბერლინი, 9 მარტი. გერმენიის ერთა ლიგის საბჭოში მიღების გადადებას ბერლინის რეაქციონური პრესა გერმანიის შეურაცხყოფად სთვლის.

ახალი დაბრკოლება

ბერლინი, 9 მარტი. ჟენევიდან მიღებული ცნობით, რომ ბრაზილიის ახალი მოთხოვნილება ერთა ლიგის საბჭოში მუდმივი ადგილის მიცემის შესახებ, ითვლება სერიოზულ დაბრკოლებათ ჟენევის პროგრამის განხორციელებისათვის. საერთო აზრით, ბრაზილია, როგორც ერთ-ერთი იმ ათ სახელმწიფოთა შორის, რომელნიც სწყვეტენ საკითხს ერთა ლიგის წევრად მიღების შესახებ, გაილაშქრებს გერმანიისათვის საბჭოში მუდმივი ადგილის მიცემის წინააღმდეგ იმ შემთხვევაში, თუ ბრაზილიის მოთხოვნილება არ იქნება დაკმაყოფილებული.

კომინტერნის აღმასკომის გაფართოებული პლენუმი

მოსკოვი, 9 მარტი. კომინტერნის აღმასკომის გაფართოებულ პლენუმის 8 მარტის დილის სხდომაზე თავმჯდომარეობდა სემარი (საფრანგეთი).

პეპერმა წაიკითხა მოხსენება პოლიტიკურ კომისიის მუშაობის შესახებ. შემდეგ საბოლოო სიტყვა წარმოსთქვა ზინოვიევმა.

პოლიტიკურ კომისიის ანგარიში

„პოლიტიკური კომისია, — სთქვა პეპერმა,—იხილავდა ყველა შესწორებებს და ცვლილებებს, რომელიც შეტანილია ზინოვიევის თეზისებში. უნდა აღვნიშნო, რომ ამ თეზისებისათვის არავის არ დაუპირდაპირებია კონტრ-თეზისების საერთო პროექტი. არ ყოფილა წარმოდგენილი აგრეთვე მსოფლიო მდგომარეობის სხვანაირი ანალიზი, რომელიც განსხვავდებოდა ზინოვიევის მიერ მოცემულ ანალიზისაგან. მხოლოდ ბორდიგამ დაუპირდაპირა თავისი შეფასება ზინოვიევის ანალიზს. ბორდიგა ამტკიცებდა, რომ არსებობს მხოლოდ 2 ფაქტორი: საბჭოთა კავშირი და კაპიტალისტური გარემოცვა. შემდეგ როზენბერგმა აღნიშნა კაპიტალისტების გაერთიანების ცდა მუშათა კლასის წინააღმდეგ. ბოლოს, ფრანგ-მემარჯვენეებს არ სურდათ დაენახათ კრიზისი საფრანგეთში. საფრანგეთის დელეგაციამ შემოიტანა წინადადება, რომლის თანახმად საფრანგეთის მთავრობა წარმოადგენს მსხვილი ბურჟუაზიის მთავრობას.

პოლიტიკური კომისია კი მხარს უჭერდა თეზისების ანალიზს. რომლის თანახმად საფრანგეთის მთავრობა არის წვრილბურჟუაზიული მთავრობა, მაგრამ ის მსხვილი ბურჟუაზიის პოლიტიკასაც აკეთებს.

კომისიამ აღნიშნა, რომ ზინოვიევის თეზისები სწორ ანალიზს უკეთებს მსოფლიო სიტუაციას და აშკარავებს იმპერიალიზმის შეურიგებელ წინააღმდეგობებს. კომისიამ აღნიშნა, რომ ამერიკის იმპერიალიზმი აყვავების ხანას განიცდის.

კომისიამ უარჰყო ზოგიერთი პირების ტენდენციები, რომელნიც ზედმეტად აფასებდენ ინგლისის კაპიტალიზმის ხელსაყრელ მომენტებს, რადგან ასეთი შეფასება დაჰრღვევდა თეზისებში აღნიშნულ ინგლისის იმპერიალიზმის დაცემის ტენდენციას.

სერიოზული დისკუსია გაიმართა ლოკარნოს საკითხის გარშემო. ზინოვიევის თეზისებში სწორადაა აღნიშნული, რომ ლოკარნოს ხელშეკრულება ემსახურება კაპიტალიზმის საერთო მიზნებს. ამასთან ერთად კომისიამ აღნიშნა, რომ ლოკარნო წარმოადგენს პირველ სუსტ ცდას ევროპის მოვალეების ბლოკის შესადგენად ამერიკის წინააღმდეგ.

გარდა ამისა, ლოკარნო ნიშნავს ინგლისის იმპერიალიზმის ცდას მოაწყოს ანტისაბჭოთა ბლოკი.

პოლიტიკურმა კომისიამ აღნიშნა, რომ მოვალე სახელმწიფოები ბლოკის შედგენას სცდილობენ ამერიკის წინააღმდეგ და, რომ საფრანგეთმა ვერ შესძლო სამხედრო ჰეგემონიის შენარჩუნება ევროპის კონტინენტზე.

კომისიამ აღნიშნა აგრეთვე, რომ თეზისებში სწორადაა გათვალისწინებული ურთიერთ დამოკიდებულება ინგლისის მეტროპოლიასა და კოლონიებს შორის.

კომისიამ ზინოვიევის თეზისები შეავსო ფაშისტური იტალიის უფრო ვრცელი ანალიზით.

კომისიამ შეიტანა დამატება გერმანიის შესახებ. აღნიშნა წინააღმდეგობა გერმანიის იმპერიალისტურ ტენდენციებსა და ფაქტიურ უძლურებას შორის, რაც გერმანიაში ალბად კრიზისს გამოიწვევს.

კომისიამ თეზისებში ახალი მუხლები შეიტანა დუნაის ფედერაციის, ბალკანეთის ქვეყნების და თეთრი ტერორის შესახებ.

კომისიამ აღნიშნა მე-2 ინტერნაციონალის ტაქტიკის შეცვლა დასავლეთის მუშათა მოძრაობის საკითხში.

შემდეგ უფრო სისწორით იქნა ჩამოყალიბებული მუხლები უმუშევრობის შესახებ.

კომისიამ უფრო სწორად ჩამოაყალიბა მუხლი ინგლისის დამოუკიდებელ მუშათა პარტიის წინადადების შესახებ მე-2 და მე-3 ინტერნაციონალების გაერთიანების საკითხში. მან მხარი დაუჭირა ინგლისის კომპარტიის პაზიციას, რომელიც მოითხოვს, რომ დამოუკიდებელმა მუშათა პარტიამ მხარი დაუჭიროს გაერთიანებას არა მარტო საერთაშორისო მაშტაბით, არამედ სერიოზული ყურადღება მიაქციოს თავისი ქვეყნის კომუნისტებთან გაერთიანებას.

კომისიამ შეავსო თეზისები პატარა მუხლით ახალ საორგანიზაციო მეთოდების შესახებ".

დასასრულ პეპერი მოუწოდებს პლენუმს მიიღოს თეზისები იმ შესწორებებით, რომელიც კომისიაში ერთხმად იქნა მიღებული.

ზინოვიევის საბოლოო სიტყვა

პეპერის მოხსენების შემდეგ საბოლოო სიტყვა წარმოსთქვა ზინოვიევმა (მისი სიტყვა გადმოცემული იქნება ხვალ).

ბორდიგას სიტყვა

რეზოლიუციის კენჭის ყრის დაწყებამდე ბორდიგამ წაიკითხა შემდეგი განცხადება:

„ორ ჩემ გამოსვლაში აღნიშნულ მიზეზების გამო მე წარმოდგენილი რეზოლიუციის წინააღმდეგ მივცემ ხმას.

ამ რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ საჭიროა ინტერნაციონალის შინაური რეჟიმის შეცვლა; მაგრამ ამ პლენუმის მუშაობა არ გამოხატავს ამ ახალ მეთოდებს და ახალ კურსს კომინტერნის პოლიტიკაში. მე არ წარმომიდგენია არც თეზისები, და არც რეზოლიუციები და შემიძლია მხოლოდ დავეყრდნო იმ თეზისებს, რომელიც იტალიის მემარცხენე ფრთამ წარადგინა უკანასკნელ პარტიულ ყრილობაზე. მე ვსთხოვ აღმასკომს გამოაქვეყნოს ამ თეზისების ზოგადი ნაწილი კომინტერნის მე-6 კონგრესის მოწვევამდე".

რეზოლიუციის კენჭის ყრა გადაიდო პლენუმის უკანასკნელ სხდომისათვის.

საღამოს პლენუმის სხდომა არ შემდგარა. მუშაობა სწარმოებდა კომისიებში. პლენუმის საბოლოო სხდომა გაიმართება 11 მარტს.

გერმანიის კრედიტების გამოყენება

მოსკოვი, 9 მარტი. რამდენიმე დღის წინად რეიხსტაგმა დაამტკიცა საბჭოთა კავშირზე გასაცემი საექსპორტო კრედიტი 300 მილ. მარკა.

ამის შესახებ სახ. ვაჭრობის კოლეგიის წევრმა განეცკიმ შემდეგი განაცხადა:

„ეხლა სასწრაფოდ მუშავდება გეგმა ამ კრედიტის გამოსაყენებლად. შეკვეთა განზრახულია როგორც ლითონის წარმოების, ისე ქაღალდის, ნავთის, სამთამადნო, ელექტროამშენებლობის და საფეიქრო წარმოების გასაუმჯობესებლად. უკვე დადებულია ხელშეკრულება 30 მილ. მარკის შეკვეთაზე ოტტო ვოლფის ცნობილ კონცერნთან 4 წლის საკრედიტო ვადით. სხვა ფირმებთანაც სწარმოებს მოლაპარაკება, რაც სასურველად დამთავრდება მახლობელ დროში.

უნდა აღინიშნოს შემდეგი: იმ დროს, როცა ინგლისის მთავრობა გვერდს უხვევს კრედიტების გაცემის კანონს საბჭოთა კავშირის მიმართ, გერმანია ამ კანონს ახორციელებს მხოლოდ საბჭოთა კავშირის მიმართ. უეჭველია, ეს სამასმილიონიანი კრედიტი გააუმჯობესებს გერმანიისა და საბჭოთა კავშირის ეკონომიურ ურთიერთობას".

ინგლისის მუშების ბრძოლა

წინააღმდეგობას უწევენ მეწარმეებს.

ლონდონი, 8 მარტი. მანქანების საამშენებლო მუშების ლონდონის საოლქო კომიტეტების, განყოფილებების მდივნების და ფაბრიკა-ქარხნების უხუცესების კონფერენციამ გამოიტანა დადგენილება, რომელშიაც მოითხოვს სამუშაო ხელფასის დაუყოვნებლივ მომატებას 20 შილინგით (დაახლოვებით, 19 მან. 50 კაპ.) კვირაში. ამასთან ერთად კონფერენციამ ლონდონის მანქანების საამშენებლო ქარხნების მუშათა კავშირების გაერთიანებულ კომიტეტს დაავალა,—იმ შემთხვევაში, თუ ეს მოთხოვნილება მოკლე ხნის განმავლობაში არ იქნა დაკმაყოფილებული, სთხოვოს გაერთიანებულ კომიტეტში შემავალ კავშირების აღმასკომებს უფლება მისცენ კომიტეტს კენჭი უყაროს გაფიცვის საკითხს მთელი ოლქის მასშტაბით.

კონფერენციამ უარი სთქვა, რომ ფილტამის საარმიო სახელოსნოების 900 გაფიცული მუშისთვის მუშაობის განახლება მოეთხოვა.

მეორე კონფერენციამ, რომელიც ელექტრო-ტეხნიკოსების ლონდონის კომიტეტმა მოიწვია, დაადგინა კვლავ შეიკრიბოს 12 მარტს იმ შემთხვევაში, თუ მწარმოებლები არ მოხსნიან გამოცხადებულ ლოკაუტს; კონფერენციამ დაადგინა განიხილოს წინადადება ლონდონის ელექტროსადგურებსა და სხვა წარმოებებში გაფიცვის გამოცხადების შესახებ.

ლიონის ბაზრობაზე

დუმერგი საბჭოთა პავილიონში

პარიზი, 8 მარტი. პრეზიდენტი დუმერგი ერიოს, მინისტრების და დეპუტატების თანხლებით ეწვია საბჭოთა პავილიონს ლიონის ბაზრობაზე. დუმერგი საბჭოთა კავშირის ექსპონატებით ძალიან დაინტერესდა. დუმერგს განმარტებებს აძლევდა რაკოვსკი, რომელიც ბაზრობაზე ჩამოვიდა მდივანთან და პრეობრაჟენსკისთან ერთად.

საბჭოთა პავილიონს სივრცით 510 კვად. მეტრი უჭირავს, ის ყველაზე დიდი პავილიონია ბაზრობაზე. პავილიონს დიდძალი ხალხი ნახულობს.

ამერიკის პროფკავშირთა „დემოკრატია"*)

პირველი ზერელე შთაბეჭდილება, რომელიც მე შეერთებულ შტატებიდან მივიღე, იყო არაჩვეულებრივი სიდიდე სოციალური და ინდუსტრიული ცხოვრების დამახასიათებელი მოვლენებისა. ყოველივე „მილიონი დოლარით" განიზომება, ყოველივეს დიდი მასშტაბი აქვს. ეს, რასაკვირველია, ბუნებრივია, იმიტომ, რომ შეერთებულ შტატებში კაპიტალიზმი ყველაზე მეტად გიგანტიური, პროგრესიული და ძალოვანი ფორმით გვევლინება.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ამერიკა ტრესტებისა და კარტელების და უაღრესად განვითარებული კაპიტალისტური მონოპოლიის სამშობლოა. მაგრამ მე ვეჭვობ, რომ ამ ფაქტის შედეგები და მნიშვნელობა მუშათა კლასისათვის სავსებით ესმოდეს ყველა იმათ, ვისაც ერთხელაც კი ფეხი არ დაუდგამს ამ „თავისუფლების ქვეყანაში". ამ ბოლო დროს ბევრს ლაპარაკობენ ამერიკის მაღალ ხელფასსა, მუშათა კლასის საუცხოვო მდგომარეობასა და იმ მუშების რიცხვზე, რომელთაც საკუთარი ავტომობილები აქვთ და სხ. ჩვენ ეს ამბები ინგლისშიც გვქონდა გაგონილი, სადაც ამერიკის მაგალითს იყენებდენ, რათა დაემტკიცებიათ, რომ მაღალი სამუშაო ხელფასი ერთნაირად ხელსაყრელია მწარმოებლებისა და მუშებისათვის.

მონური სისტემა

რა მეცა მე თვალში უწინარეს ყოვლისა, როგორც მუშას იმ ქარხნებისა და ფაბრიკებში, რომელიც დავათვალიერე? მე არ გაუოცებივარ მათ დამთავრებულ ტეხნიკურ მოწყობილებას, თუმცა ეს თავის - თავად მეტად საყურადღებოა. არა, ჩემზე დაუვიწყარი შთაბეჭდილება მოახდინა საშინელი ერთფეროვნების სულმა, უკიდურესათ განვითარებულმა შრომის განაწილებამ, რომელიც ადამიანს უბრალო ავტომატად აქცევს, ხოლო ეს ავტომატი წლიდან წლამდე ერთსა და იმავე მექანიკურ მოძრაობას ასრულებს. ამერიკული ინდუსტრიის რეჟიმი, სანაქებო მაღალი ხელფასის მიუხედავად, ერთფეროვან ტირანიას წარმოადგენს, რომელიც მუშებს უაღრესად რაზმავს, ბრმა ჩებლობს და მათ დისციპლინასა და კონტროლს უქვემდებარებს.

ამერიკული ინდუსტრიალიზმი ნამდვილი მონური სისტემაა; მისი ეგრედწოდებული „კეთილ - განწყობილება" მუშებისადმი მხოლოდ საშუალებას წარმოადგენს, რომ კაპიტალისტებმა უზარმაზარი, ზღაპრული მოგება მიიღონ. დამახასიათებელია, რომ მწარმოებლების თავგამოდებული დამცველები მუშები კი არ არიან, არამედ მოსყიდული მწერლები და სხვა დამქაშები. ძალიან ადვილია ლაყბობა ამერიკის „უპირატესობის" შესახებ, როცა ამ „უპირატესობას" ადამიანი საკუთარ ზურგზე არ გრძნობს.

ერთი რამ, რასაც განსაკუთრებული ყურადღება მივაქციე, იყო მაღალი ხელფასის საკითხი. ამ მხრივ განსაკუთრებით ძვირფასი იყო იმ ინგლისელი მუშების მოწმობა, რომელნიც ამერიკაში უკანასკნელ წლებში გადასახლდენ. ისინი ყველანი ერთსა და იმავეს ლაპარაკობდენ. თუმცა მათი ნორმალური ხელფასი ამერიკაში სჭარბობს იმ ხელფასს, რომელსაც ინგლისში მიიღებდენ, მაგრამ ცხოვრება იმდენად ძვირია, რომ რეალური ხელფასი იქა და აქ დაახლოვებით ერთი და იგივეა. ზოგიერთ შემთხვევაში იქ ნაკლებიც არის. ყველა ჩემ მიერ დაკითხული ინგლისელი მუშა განსაკუთრებით აღნიშნავდა, რომ შრომას ამერიკაში საშინელი ტემპი და დამქანცავი ხასიათი აქვს. დაღლილობა იმდენად დიდია, რომ ჩვეულებრივ ორმოცი წლის ადამიანის ჯანმრთელობა სავსებით განადგურებულია და მას პირდაპირ ქუჩაში ისვრიან. ესეც ალბად „ქველმოქმედების" ნიშანია.

რასაკვირველია, შეუძლებელია, უარყოფა, რომ ზოგიერთ დარგში ხელფასი მეტად მაღალია. მაგალითად ამშენებელთა დარგში გაწვრთნილი მუშები: მღებავები, მეგიპსეები, კალატოზები, დღეს უმაღლეს, „უჩვეულო ხელფასს" ღებულობენ; მათი საშუალო ქირა 16 სტერლინგი ან კიდევ მეტია კვირაში. მაგრამ ეს გამონაკლისია.

ჯაშუშები და პინკერტონები

ზემოაღნიშნულ მოვლენებს გარდა, ამერიკის სამრეწველო ცხოვრებისათვის დამახასიათებელია არაჩვეულებრივად განვითარებული ჯაშუშური სისტემა. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ამერიკაში ჯაშუშური სისტემა ისე გავრცელებულია, ისე ძლიერია და იმდენად გადაბმულია მრეწველობასთან, როგორც სხვა ქვეყნებში მუშათა დაზღვევა. ეს გასაკვირველი არ არის, იმიტომ, რომ დაბეზღების სისტემა დაზღვევის ფორმას წარმოადგენს გაფიცვების, პროფესიულ მოძრაობისა და ყოველგვარი პროლეტარული აჯანყების წინააღმდეგ.

ჯაშუშების საზოგადოებანი, პინკერტონები, ბოლდვინ-ფელტსები, ბერნსები და ბევრი სხვები მეტად გავრცელებული, შეძლებული და ძლიერი ორგანიზაციებია, რომლებიც პარაზიტებივით ცხოვრობენ კაპიტალიზმის სხეულზე. თვით მაშინაც კი, როცა ხანდახან მწარმოებლები გრძნობენ, რომ ჯაშუშების გამოყენება სახიფათო და საბედისწეროა, ისინი ვერ სძლებენ მათ თავიდან მოცილებას. ჯაშუშების საზოგადოებას მწარმოებლები კლანჭებში ჰყავთ ჩაჭერილი, მათ „მფარველობას" განაგრძობს და მათ ექსპლოატაციას ეწევა. ამას გარდა პინკერტონებსა, ბერნსებსა და სხვა საზოგადოებათ, გარდა იმ ჯაშუშებისა, რომელთაც ისინი უბრალო მუშების სახით ფაბრიკებში გზავნიან, თავიანთი „კაცები" ჰყავთ, რომელნიც პროფკავშირებში ძვრებიან, იქ ხელმძღვანელ ადგილებს იჭერენ და თავიანთ მდგომარეობას სათანადო მიზნისათვის იყენებენ. მე შევხვდი ადამიანებს, რომელნიც წინად ჯაშუშები ყოფილან და ამას ნაკლებ მალავენ, ვიდრე რევოლვერებს თავიანთ ჯიბეში.

ერთმა ამერიკელმა მწერალმა, ჰებერ ბლანკენშორნმა ამ სამიოდე წლის წინად სთქვა, რომ დაბეზღების სისტემა „გამოწვეულია კაპიტალის განუსაზღვრელი ძლიერებით, რომელსაც სუსტი მუშათა ორგანიზაციები უპირისპირდებიან"-ო. ამერიკულ პროფკავშირებში (ისევე, როგორც რამდენიმედ უცხოეთშიც) ძლიერია. ტენდენცია „არისტოკრატიის" შექმნისადმი, რის გამო შესაძლებელი გახდა ჯაშუშების სისტემის წარმოშობა. შობა. ამ გარემოებამ პროფკავშირების გარეშე დასტოვა მუშათა კლასის მასები, რომელნიც ჯაშუშების განმანადგურებელი მუშაობის სარბიელად გადაიქცენ, ხოლო თვით პროფკავშირების ზედაფენებმა თავიანთი არადემოკრატიული პრაქტიკით პირდაპირ აღზარდეს და ასაზრდოეს დაბეზღების სისტემა; შემდეგ მწარმოებლებმა გამოიყენეს პროფკავშირების ბიუროკრატიული ხელმძღვანელების მიერ შექმნილი საშუალებანი, რათა თვით ეს პროფკავშირული ბიუროკრატია ხელში ჩაეგდოთ.

პროფესიული მოძრაობის ჩამორჩენილობა

შეუძლებელია იმ ფაქტის უარყოფა, რომ ინგლისის პროფესიულ მოძრაობასთან შედარებით ამერიკული პროფესიული მოძრაობა ჩამორჩენილია. „ამერიკული შრომის ფედერაცია" ისეთ ვიწრო, კარჩაკეტილ ცეხურ სისტემაზეა აშენებული, რომ მის გვერდით ის ბეჩავი ცეხური ნაშთები, რომელნიც ჯერ კიდევ ინგლისურ მოძრაობაში დარჩენილა, სრულიად უმნიშვნელოდ გვეჩვენება. ამერიკული პროფკავშირების დამოკიდებულება 16 თუ 20 მილიონ შეუკავშირებელ მუშებისადმი კიდევ უფრო მტრულია, ვიდრე ამ სამოცი წლის წინად ინგლისელი ცეხური კავშირების დამოკიდებულება იყო გაუწვრთნელ მუშებისადმი, ხოლო მათი ყოფაქცევა შავკანიან მუშების მიმართ პირდაპირ აღმაშფოთებელია.

ამერიკული პროფკავშირები თავიანთ თავს გაწვრთნილი თეთრკანიანი „მუშათა არისტოკრატიის" ორგანიზაციად სთვლიან: ნამდვილად კი ეს არის „უმცირესობის მოძრაობა", რომელიც შეერთებული შტატების სამრეწველო მუშების მცირე ნაწილს აკავშირებს. მე არ შემიძლია დიდხანს შევჩერდე მათ დამახასიათებელ თვისებებზე, რომელნიც ჩვენს ასე რეაქციურად გვეჩვენებიან; მაგალითად ისინი ეწინააღმდეგებიან ნაციონალიზაციას და მუშათა კლასის დამოუკიდებელ პოლიტიკურ მოქმედებას. ეს საკმაოდ ცნობილია; საჭიროა რომ ეს მუდამ გვახსოვდეს. ინგლისელ მუშებს აღშფოთებს, როცა ისინი ხედავენ, რომ ამერიკული პროფკავშირების ზოგიერთი გამოჩენილი მოხელე კონგრესის დეპუტატი ხდება, როგორც წევრი ბურჟუაზიული რესპუბლიკანური ან დემოკრატიული პარტიისა.

ამერიკული პროფკავშირების წლიურ ყრილობაზე მე, როგორც ინგლისელი პროფკავშირების წარმომადგენელი ვითხოვდი, რომ ამერიკას დახმარება გაეწია საერთაშორისო მუშათა მოძრაობის მთლიანობისათვის. თავმჯდომარემ გრინმა უკუაგდო ეს მოთხოვნილება და განაცხადა, რომ ამერიკული პროფკავშირები მხოლოდ ისეთ მოძრაობას შეუთანხმდებიან მთლიანი ფრონტის შესაქმნელად, „რომელიც დემოკრატიის. სამართლიანობის, უფლების და ადამიანური თავისუფლების ჯანსაღ პრინციპებს ემხრობა"-ო.

იგივე თვალსაზრისია დაცული კონგრესის ერთ რეზოლიუციაში, სადაც არსებითად პროფკავშირების „მონროეს დოქტრინა" (ე. ი. „ამერიკა ამერიკელებისათვის") არის გამოხატული; ამ რეზოლიუციაში სხვათა შორის სწერია:

„ამერიკული პროფკავშირული მოძრაობა დემოკრატიას ემხრობა... არც ავტოკრატიული მოსკოვის წითელ ინტერნაციონალს, არც სხვარომელიმე ინტერნაციონალს უფლება არა აქვს ამერიკული პროფკავშირების პოლიტიკის ამ ძირითად პრინციპს გვერდი აუხვიოს. ამერიკული პროფკავშირული მოძრაობა მეგობრულად ეპყრობა ყველას, ვინც დემოკრატიის მიზნებს ისახავს, მაგრამ ის სასტიკად შეიბრძოლება იმათ, ვინც შეეცდება ავტოკრატიას დაუმორჩილოს ჩვენი ქვეყნის წმინდა ნიადაგი. და ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ მივემხრობით „მსოფლიო მუშათა მოძრაობის ისეთ მთლიანობას", რომლის ნიღბით გამთიშველები და განმანადგურებელნი ცდილობენ ჩვენში შემოჭრას".

(დასასრული ხვალ)

შ. პერსელ.

---

*) ეს წერილი, რომელიც ამხ. პერსელმა დასწერა ამერიკის შეერთებული შტატებიდან დაბრუნების შემდეგ, მოთავსებულია ბერლინის „როტე ფანე"-ში (28 თებერვალი). მოგვყავს ის სავსებით.

რედ.

საბჭოთა პრესა

ერთად-ერთი სწორი გზა

გერმანიის მთავრობამ გადასწყვიტა უზრუნველჰყოს საბჭოთა კავშირისათვის გრძელვადიანი საქონლის კრედიტი 300 მილიონი მარკის რაოდენობით. გერმანია თავის სამრეწველო პროდუქციის გასაღების უდიდეს კრიზისს განიცდის. მსოფლიო ბაზარზე მის საქონელს სასტიკ კონკურენციას უწევენ და გზას უხშობენ ამერიკა, ინგლისი, საფრანგეთი. გერმანიის სხვა გზა არ დარჩენია, თუ არა საბჭოთა ბაზრისაკენ პირის მობრუნება და აქ თავის ექსპორტის გაძლიერება. ამაში აგრეთვე დაინტერესებულნი არიან ის უცხოელი კაპიტალისტები. რომელთაც გერმანიაში დიდძალი კაპიტალი აქვთ დაბანდებული, იმიტომ რომ გერმანია ვერ შეძლებს დაუესის გეგმით მასზე დაკისრებულ პროცენტების გადახდას. თუ იგი ბაზარს ვერ იშოვის თავისი ნაწარმოებისათვის. ამიტომ ამერიკის ფინანსისტები ხელს უწყობენ გერმანია-საბჭოთა კავშირის ეკონომიურ დაახლოვებას. როგორიც არ უნდა იყოს ხსენებულ კრედიტის გახსნის მიზეზები, მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის. **„ეკონომიჩესკაია ჟიზნ"**-ი სწერს:

„გერმანიის მიერ კრედიტის გახსნის ფაქტი გვიჩვენებს, თუ რამდენად აუცილებელია საბჭოთა ბაზარი კაპიტალისტურ ქვეყნებისათვის. ღრმა სამეურნეო კრიზისი, კაპიტალისტურ გარემოცვის ნებისყოფისათვის საბჭოთა კავშირის დაქვემდებარების ცდის უნიადაგობა და უიმედობა, დაბოლოს, აიძულებს საქმიან ბურჟუაზიას დაადგეს ერთად - ერთ სწორ გზას — საბჭოთა კავშირთან შეთანხმების გზას სამეურნეო ურთიერთობათა ფორმების და მეთოდების შესახებ, რეალურ დახმარების აღმოჩენის გზას ორივე მხარისათვის სასარგებლო პირობებზე. გერმანიის კრედიტი საბჭოთა კავშირს აძლევს საშუალებას უფრო ენერგიულად შეუდგეს ქვეყნის საწარმოო მშენებლობას და სასოფლო მეურნეობის მექანიზაციას. სიძნელენი, რომელთაც საბჭოთა მეურნეობა განიცდის ძირითადი კაპიტალის მოძველების გამო, რამოდენიმედ შესუსტებული იქნება".

მაგრამ ამ კრედიტის მნიშვნელობა არ განისაზღვრება ზემოთ თქმულით, გერმანია-საბჭოთა კავშირის ეკონომიური თანამშრომლობის განმტკიცებით და აქედან ჩვენთვის (ისე, როგორც გერმანიისათვის) გამომდინარე უშუალო სარგებლობით. უეჭველია, ეს გავლენას მოახდენს ჩვენსა და დანარჩენ კაპიტალისტურ ქვეყნების მომავალ ურთიერთობაზე.

„გერმანიის კრედიტები, — განაგრძობს გაზეთი, — იმდენად ამტკიცებს გერმანიის მრეწველობის პროდუქციის პოზიციებს საბჭოთა ბაზარზე, რომ ამას სათანადო გამოხმაურება უნდა მოყვეს ევროპის დანარჩენ სამრეწველო ქვეყნებშიც. გერმანიის კრედიტები იძლევიან მიმართულებას, რომლითაც შეიძლება ერთად - ერთი სწორი გზის გაკვლევა საბჭოთა ბაზრისაკენ. თუ დღეს ინგლისის კაპიტალის პოლიტიკური წარმომადგენელნი პარლამენტში ჯიუტურად იმეორებენ, როგორც გაზეპირებულ ზღაპარს, ძველ ფორმულებს საბჭოთა კავშირისათვის ისეთივე საექსპორტო პრივილეგიების მინიჭების შეუძლებლობის შესახებ, რომელნიც მიცემული აქვთ სხვა ქვეყნებს, ხვალ ან ზეგ ისინიც იძულებული გახდებიან ხელი აიღონ ასეთ თვალსაზრისზე. გასაღების კრიზისი ინგლისში არა ნაკლებ მწვავეა, ვინემ გერმანიაში. აგრეთვე ამერიკის კაპიტალიც, რომელიც ჯერჯერობით არჩევს საბჭოთა ბაზართან დამოკიდებულება გააბას სხვების დახმარებით, შეცვლის თავის ტაქტიკას, ვინაიდან შეერთებულ შტატებისათვის დიდი ხანია საარსებო მნიშვნელობა აქვს გასაღების და კაპიტალების საექსპორტო ბაზრების საკითხს".

ეს პირველი შემთხვევაა, როცა საბჭოთა კავშირს აძლევენ მსხვილ და გრძელვადიან კრედიტს. ამით აღიარებულია საბჭოთა ხელისუფლების დაუძლეველობა, საბჭოთა მეურნეობის სიმტკიცე და კრედიტუნარიანობა. ეს ნიშნავს ინტერვენციის და ბლოკადის იდეის გაკოტრების საჯაროდ აღიარებას. ამას აგრეთვე უაღრესი მნიშვნელობა ექნება საბჭოთა კავშირსა და მთელ კაპიტალისტურ მსოფლიოს შორის სამეურნეო ურთიერთობათა განვითარებისათვის.

მდგომარეობა ჩინეთში

მოძრაობა ინგლისელების წინააღმდეგ.

პეკინი, 8 მარტი. ჩინეთის გაზეთები იტყობინებიან, რომ ლიუ-ჩჟოუში (სი-ჩუანის პროვინციაში) დაიწყო მოძრაობა ინგლისელების წინააღმდეგ.

ადგილობრივმა სტუდენტებმა ცეცხლი გაუჩინეს 200 ბიდონ ნავთს, რომელიც ინგლისელების ფირმას ეკუთვნოდა.

ამის გამო ინგლისის ელჩმა პეკინში პროტესტი განუცხადა გარეშე საქმეთა მინისტრს და დაიტოვა ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

გაფიცვა შანხაიში.

პეკინი, 8 მარტი. შანხაიში გაიფიცნენ იაპონელების კიდევ ერთი საფეიქრო ფაბრიკის მუშები, რომელნიც ჯამაგირის მომატებას მოითხოვენ.

ფაბრიკაში 100 პოლიციელი გაგზავნეს წესრიგის დასაცავად.

ინგლისის ლიბერალიზმის უკანასკნელი დღეები

„ჩაფერფლილ ცეცხლის უკანასკნელი გამოკრთობა".

ლონდონი, 8 მარტი. ინდოეთის საქმეთა მინისტრის ამხანაგმა ლორდ ვინტერტონმა სიტყვა წარმოსთქვა ვიტინგტონში და განაცხადა, რომ ლიბერალიზმის პრინციპები მხოლოდ კონსერვატიულ პოლიტიკაში ცოცხლობენ. რაც შეეხება ლიბერალურ პარტიას, ვინტერტონის სიტყვით, ის შეიძლება შევადაროთ ჩაფერფლილ ცეცხლის უკანასკნელ გამოკრთობას.

ვინტერტონის განცხადება — ეს კონსერვატორ მინისტრის პირველი აშკარა მოწოდებაა ლიბერალებისადმი, რომ ისინი კონსერვატიულ პარტიას შეუერთდენ.

სხვადასხვა

რადიო-ინფორმაცია. 8 მარტს ლონდონის პრესის წარმომადგენლებს რადიო-ტელეფონით ხანგრძლივი საუბარი ჰქონდათ ნიუ-იორკის ჟურნალისტებთან.

რადიოს საშუალებით ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა კარგ შედეგებს იძლევა.

ომის შედეგი. ტიეპვალის მახლობლად გზატკეცილების სამუშაოზე, ერთ-ერთმა მუშამ შეამჩნია მავთული და მოინდომა მისი ამოღება, რასაც მოჰყვა დიდი ომის დროს მიწაში ჩაფლულ ფუგასის საშინელი აფეთქება. აფეთქებამ მახლობელ სასაფლაოზე დაანგრია 100-მდე საფლავი. ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა. ზარალი 100.000 ფრანკამდე აღწევს.

კობხემის გადაფრენა. ლონდონში მოფრინდა ინგლისის სამხედრო პილოტი კობხემი, რომელიც მიფრინავს კაპშტატიდან ლონდონში. კობხემი მეცხრე დღეა გზაშია. მან ერთი დღე ანგოლაში დაჰკარგა ტროპიკულ ნიაღვარის გამო. ხარტუმსა და ასუანს შორის კობხემი დაფრინავდა 11.000 ფუტის სიმაღლეზე. კობხემი გაფრინდა ათინაში.

ინგლისი და ოსმალეთი. ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგმა ლოკერ ლამპსონმა თემთა პალატაში განაცხადა, რომ ოსმალეთიდან ინგლისის ელჩის დაბრუნების შემდეგ, ინგლისის და ოსმალეთის მთავრობას შორის არ ყოფილა წარმოებული არავითარი მოლაპარაკება მოსულის საზღვრების საკითხის მოსაგვარებლად.

კონფერენცია შრომის შესახებ. გერმანიამ, საფრანგეთმა, ბელგიამ და იტალიამ სურვილი განაცხადეს მიიღონ მონაწილეობა კონფერენციაზე, რომელსაც იწვევს ინგლისის შრომის სამინისტრო. კონფერენცია გაიხსნება ლონდონში 15 მარტს.

კელნის ბაზრობა აღარ შესდგება. „დეილი მეილი"-ს კორესპონდენტი იუწყება, რომ ოფიციალური განცხადების თანახმად, კელნის საგაზაფხულო ბაზრობა მიმდინარე წელს არ შესდგება გერმანიის საბაზრო ვაჭრობის საერთო დაცემის გამო.

კელოგი ხაუტონი. ვაშინგტონიდან მიღებული ცნობით, კელოგმა პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ ის არ აპირებს საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელის პოსტის დატოვებას და, რომ ხაუტონის გამგზავრება ლონდონიდან ვაშინგტონში სრულებითაც არ ნიშნავს კაბინეტში ცვლილებების შეტანას.

პლებისციტი ანაზღაურების შესახებ უზრუნველყოფილია. ბერლინიდან მიღებულ ცნობით, პლებისციტი ყოფილ მეფის გვარეულობის ქონების ანაზღაურების შესახებ, როგორც სჩანს, უზრუნველყოფილია. პლებისციტისათვის საჭირო ხმების რაოდენობა ბერლინში მიღებულ იქნა სამი დღის განმავლობაში.

გადასახადი სამუშაო ხელფასზე

ჩეხო-სლოვაკიის კომპარტია გაძლიერებულ მუშაობას აწარმოებს სამუშაო ხელფასზე 3 პროცენტიანი გადასახადი დაწესების წინააღმდეგ. ამ პროექტის თანახმად ახალი გადასახადი უნდა ირიცხებოდეს მუშის კვირეულ ხელფასზე.

უმუშევრობასთან ბრძოლის პროექტი უარყოფილია

ინგლისის თემთა პალატამ უარჰყო მუშათა პარტიის კანონპროექტი უმუშევრობასთან ბრძოლის შესახებ.

ამ კანონპროექტის თანახმად უნდა დაარსებულიყო განსაკუთრებული კომიტეტი, რომელიც სახელმწიფო საშუალებებს მიაწოდებდა სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო წარმოებებს პროდუქციის გასაფართოებლად.

— **საგანგებო ზომა საფრანგეთის წინააღმდეგ.** კანადის მთავრობამ გამოაქვეყნა დადგენილება სპეციალური გადასახადის დაწესების შესახებ იმ საქონელზე, რომელიც შემოდის იმ ქვეყნებიდან, სადაც ვალიუტა დაცემულია 50 პროცენტით. ეს ზომა უმთავრესად მიმართულია საფრანგეთის წინააღმდეგ.

— **ქურდი მინისტრი.** იაპონიის მმართველი პარტიის—„კენსეკაის" გამოჩენილმა ბელადმა—ნაკანო სეიგომ პარლამენტში ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც გამოამჟღავნა პარტია „სეიიუკაის" თავმჯდომარე გენერალ ტანაკას და სხვა მილიტარისტების ბნელი საქმიანობა; მათ დიდძალი ფული მიუთვისებიათ ციმბირის ექსპედიციის დროს.

ნაკანო-სეიგომ განაცხადა, რომ იაპონიის მე-14-ე დივიზიის მიერ ციმბირში კონფისკაცია ქმნილი რუსეთის ოქრო 10 მილ. იენის რაოდენობით სადღაც გაქრა; გარდა ამისა გენერალმა ტანაკამ „სეიიკაის" პარტიაში შესვლისათვის 3 მილ. იენი მიიღო ერთ-ერთ კობელ მილიონერებისაგან, რომელიც სადღაც დაიკარგა, როცა ტანაკას სამხედრო მინისტრობის დროს საომარი მასალები მიჰყიდა ჩჟან-ცზო-ლინს.

პარლამენტმა ხმების უმრავლესობით მიიღო ნაკანოს მიერ წარმოდგენილი რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს საპარლამენტო კომისიის არჩევას ამ საქმის გამოსაძიებლათ.

აღმოსავლეთში

ინდოეთი

სვარაჯელების ობსტრუქცია

ლონდონი, 8 მარტი. რეიტერის სააგენტო იუწყება: „როცა ინდოეთის საკანონმდებლო კრებაზე დაიწყო საბიუჯეტო ასიგნობების განხილვა, სვარაჯის პარტიის (ზომიერი კონსერვატიული ორგანიზაცია) ყველა წევრებმა დასტოვეს კრება პროტესტის ნიშნად იმის გამო, რომ მთავრობამ არ დააკმაყოფილა სვარაჯის პარტიის მოთხოვნილება საკონსტიტუციო რეფორმის დაუყოვნებლივ გატარების შესახებ.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

ერნსტ ტოლლერ მოსკოვში

მოსკოვი, 9 მარტი. 5 მარტს მოსკოვში ჩამოვიდა ცნობილი გერმანელი მწერალი-დრამატურგი ე. ტოლლერი.



ტოლერს განზრახული აქვს იმუშაოს საბჭოთა კავშირში 2—3 თვეს, რათა ყოველმხრივ გაეცნოს ყველა საზოგადოებრივ, თეატრალურ და ლიტერატურულ სფეროებს.

სამხედრო-სამეცნ. საზოგადოებათა თათბირი.

მოსკოვი, 9 მარტი. 8 მარტს გაიხსნა საბჭოთა კავშირის სამხედრო-სამეცნიერო საზოგადოებათა პირველი საკავშირო ყრილობა. ყრილობაზე ჩამოვიდა 1.100 დელეგატი გადამწყვეტი ხმით, მათ შორის 400 დელეგატი წარმოადგენენ სამოქალაქო ორგანიზაციებს. ყრილობა გახსნა საბჭოთა კავშირის სამხედრო-სარევოლუციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ უნშლიხტმა.

კოოპერაციის ზედნადები ხარჯების შემცირება.

მოსკოვი, 9 მარტი. ცენტრალურ კოოპერატიულ კავშირმა აირჩია სპეციალური კომისია, რომელსაც დავალებული აქვს ორი კვირის ვადაში შეიმუშავოს კოოპერაციის ზედნადები ხარჯების შემცირების კონკრეტიული ზომები.

კერძო კაპიტალი სამრეწველო სამეურნეო ორგ. მუშაობაში.

მოსკოვი, 9 მარტი. საკავშირო სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოში გაიმართა სინდიკატების და ტრესტების წარმომადგენელთა თათბირი სამრეწველო-სამეურნეო ორგანოების კერძო კაპიტალით მუშაობის შესახებ.

თავმჯდომარე მანცევმა აღნიშნა, რომ ამ საკითხს ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმი უდიდეს მნიშვნელობას აძლევს. ჩვენი სამეურნეო მუშაკები ვერ აქცევენ სათანადო ყურადღებას თავიანთი ნაწარმოების გასაღებას და კერძო კაპიტალის როლს ასრულებენ ამ საქმეში. ამ საკითხს უდიდესი მნიშვნელობა აქვს და საჭიროა მისი ყოველმხრივი გამოკვლევა და შესწავლა. ჩვენმა სამეურნეო ორგანოებმა ეს მუშაობა, რაც შეიძლება, მალე უნდა შეასრულონ.

მანცევის წინადადება მიღებულ იქნა სამეურნეო ორგანოებისათვის დასაგზავნი დირექტივის საფუძვლად.

მომჭირნეობის რეჟიმის ცხოვრებაში გატარება.

მოსკოვი, 9 მარტი. საკავშირო მნიშვნელობის წარმოებათა სარევიზიო კომისიების თათბირმა საჭიროდ სცნო მომჭირნეობის ცხოვრებაში გასატარებლად ტრესტების გამგეობათა აპარატები გადაკეთებული იქნან ისე, რომ ეს ორგანოები გახდენ როგორც ხელმძღვანელ, ისე საკანტროლო ორგანოებად. თავიდან უნდა იქნას აცილებული მუშაობის პარალელიზმი. გამარტივებული უნდა იქნას ანგარიშების წარმოების სისტემა.

თათბირმა საჭიროდ სცნო აგრეთვე, რომ მრეწველობის იმ დარგებში, სადაც სინდიკატები არსებობენ, უკანასკნელებს უნდა გადაეცეთ სავაჭრო ფუნქციები.

მჭიდრო კავშირი უნდა იქნას დამყარებული პროფკავშირებთან და, განსაკუთრებით, დაბალი საფეხურის ორგანიზაციებთან.

განსაკუთრებული ყურადღება გლეხ-მგზავრებს.

მოსკოვი, 9 მარტი. გზათა სახ. კომისარიატმა წინადადება მისცა ადგილებს—განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ გლეხ-მგზავრებს. გლეხი-მგზავრები უნდა იღებდენ საჭირო ცნობებს და განმარტებებს სპეციალურად დაყენებულ თანამდებობის პირთაგან. ის პირნი, რომელნიც დაარღვევენ ამ განკარგულებას, პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი.

ზომა და წონა.

მოსკოვი, 9 მარტი. საკავშირო სახ. კომისართა საბჭომ დაადგინა ნება დართოს სხვა სისტემების ზომა-წონის ერთეულების დამზადებისა, გარდა მეტრიულისა; ამისათვის საჭიროა შრომის და თავდაცვის საბჭოსთან არსებულ ცენტრალურ მეტრიულ კომისიის ნებართვა სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოსა და ვაჭრობის სახ. კომისარიატთან შეთანხმებით.

ექიმ გეშელინის თვითმკვლელობა

ადესა, 9 მარტი. ამას წინეთ თვითმკვლელობით დაამთავრა სიცოცხლე კარგად ცნობილმა ექიმმა გეშელინმა. მიზეზი მდგომარეობდა შემდეგში: ის სამსახურიდან დაითხოვეს მისი ადგილის მოსურნე პარტიულმა ექიმმა ბირმა და სამკურნალო ქსელის ინსპექტორმა პარტიულმა იუდელისმა, მოიმიზეზეს რა ვითომდა მისი კონტრ-რევოლიუციონერობა.

გეშელინი დიდ გაჭირვებაში ჩავარდა—ადგილი ვერსად იშოვა. სასოწარკვეთილმა ბოლოს თავი მოიკლა. მან დასტოვა წერილი, რომელშიაც თავის მკვლელობის მიზეზად ასახელებს პარტიულ ექიმ იუდელისს.

იუდელისი და ბირი მოხსნილ იქნენ ყოველგვარი თანამდებობიდან და გადაცემულნი როგორც პარტიულ, ისე სასამართლოს პასუხისგებაში.

საერთაშორისო აგრარული ინსტიტუტის გახსნა

მოსკოვი, 9 მარტი. 8 მარტს ზეიმით გაიხსნა საერთაშორისო აგრარული ინსტიტუტი.

ზეიმს დაესწრენ რუსეთის და უცხოეთის პარტიული, საზოგადოებრივ და სამეცნიერო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

დომბალის სიტყვა

სხდომას ხსნის გლეხთა ინტერნაციონალის მდივანი დომბალი, რომელიც განსაკუთრებით აღნიშნავს ახალი ინსტიტუტის უდიდეს მნიშვნელობას გლეხთა ფართო მშრომელ მასებისათვის.

დომბალი იმედს გამოსთქვამს, რომ ინსტიტუტი იქცევა მსოფლიო სამეცნიერო ცენტრად და გლეხობის ბრძოლაში დიდ როლს ითამაშებს, რასაც ის გარემოება მოწმობს, რომ ის არსდება საბჭოთა კავშირში და მთელი მშრომელი ინტელიგენცია და მსოფლიოს საუკეთესო სამეცნიერო ძალები მზად არიან დაეხმარონ გლეხობას.

მეშჩერიაკოვის მოხსენება

შემდეგ ინსტიტუტის გამგეობის წევრი მეშჩერიაკოვი კითხულობს მოხსენებას.

მომხსენებელს შემცდარად მიაჩნია ის აზრი, თითქოს გლეხობას ამოეწუროს მთელი თავისი რევოლიუციონური ძალები. მომხსენებელი ემყარება მარქსის, ენგელსის და ლენინის შეხედულებას და ამტკიცებს, რომ გლეხობა ენერგიის დაუშრეტელ წყაროს წარმოადგენს და მას საერთო გზა აქვს პროლეტარიატთან. მსოფლიო ომის შემდეგ, აცხადებს მეშჩერიაკოვი, გლეხთა მოძრაობა სწრაფად ვითარდება ყველა ქვეყნებში.

გლეხთა ინტერნაციონალის მთავარი ლოზუნგია მუშათა და გლეხთა ხელისუფლების დამყარება. მუშათა და გლეხთა კავშირი არ უნდა დაკმაყოფილდეს მარტო ბურჟუაზიული ხელისუფლების დამხობით, მან უნდა განაგრძოს ახალი კომუნისტური საზოგადოების შენება. საერთაშორისო აგრარულმა ინსტიტუტმა ამ მშენებლობას უნდა შეუქმნას მეცნიერული საფუძველი.

დუბროვსკის მოხსენება ინსტიტუტის სტრუქტურის შესახებ

ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე დუბროვსკი, ეხება ინსტიტუტის სტრუქტურას და გაწეულ ორგანიზაციულ მუშაობას.

ინსტიტუტთან დაარსებულია ეკონომიკის, გლეხთა მოძრაობის, საკანონმდებლო პოლიტიკის, საბჭოთა კავშირის რევოლიუციის და მისი მშენებლობის შემსწავლელი კაბინეტები.

უკვე არსებობს 50.000 ტომიანი ბიბლიოთეკა.

მისალმებები

აღმოსავლეთის ხალხთა გლეხობის სახელით ინსტიტუტს მიესალმენ იაპონიის წარმომადგენელი კატაიამა, ინდოეთის წარმომადგენელი როი და გომინდანის დელეგაციის მდივანი ჩუუ.

გარდა ამისა ინსტიტუტს მიესალმენ პროფესორები: ჩაიანოვი, რომინსონი, ლაშჩენკო, შეფლერი, ბანკელი, ბრაკკო.

მიღებულ იქნა აუარებელი მისასალმებელი დეპეშები საბჭოთა კავშირიდან და ევროპიდან.

სხდომა აღტაცებით შეხვდა კომინტერნის მისალმებას.

კომინტერნის მისალმება

კომინტერნის მოწოდება ახასიათებს გლეხობას, როგორც პროლეტარიატის მოკავშირეს მსოფლიო რევოლიუციის განვითარებაში და უაღრესად მიზანშეწონილად სთვლის ისეთ სამეცნიერო ორგანოს დაარსებას, როგორიც არის საერთაშორისო აგრარული ინსტიტუტი.

დასასრულ მოწოდებაში ნათქვამია: „კომუნისტური ინტერნაციონალის პრეზიდიუმი ესალმება საერთაშორისო აგრარული ინსტიტუტის გახსნას და სურვილს გამოსთქვამს, რომ ინსტიტუტის ყველა თანამშრომელთა და მის გარშემო თავმოყრილი სამეცნიერო ძალების შეთანხმებულ მუშაობას ახლო მომავალში ისეთი ნაყოფი გამოეღოს, რომელიც სწორ და მეცნიერულ ნიადაგზე დააყენებს მსოფლიო გლეხობის რევოლიუციონურ ბრძოლას და უზრუნველყოფს გლეხობის საბოლოო გამარჯვებას ახლო მომავალში".

უკანასკნელი ცნობები

შეთანხმება არ არის მიღწეული.

პარიზი, 9 მარტი. როგორც ჟენეველი კორესპონდენტი იტყობინება, ლიგის გუშინდელ სხდომაზე შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული ლიგის საბჭოში ადგილების განაწილების საკითხის შესახებ. კორესპონდენტები აღნიშნავენ, რომ უთანხმოების მიზეზია ის გარემოება, რომ გერმანიის დელეგაცია მტკიცედ და უცვლელად იცავს თავის თვალსაზრისს.

გერმანიის შეურიგებლობა.

პარიზი, 9 მარტი. გერმანიის პრესა კვლავ შეურიგებელ პოზიციას ადგია ერთა ლიგის საბჭოს საკითხში. გამონაკლისს წარმოადგენს „ფორვერტს"-ი, რომელიც მოითხოვს, რომ პრობლემა განხილული იქნეს არა იურიდიულად, არამედ პოლიტიკურად მომავალის თვალსაზრისის მიხედვით.

გერმანიის არჩევამდე.

ლონდონი, 9 მარტი. როგორც იტყობინებიან, ლიგის საბჭომ გუშინდელ სხდომაზე დასმულ საკითხების გადაჭრის შემდეგ, დანარჩენი პროგრამის განხილვა გადასდო გერმანიის არჩევამდე.

გამოსავალს ეძებენ.

პარიზი, 9 მარტი. დღეს პრეზიდენტმა დუმერგმა მიიღო რენოდელი, ლე-ტროკე და დარიაკი.

პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს რენოდელმა განაცხადა, რომ მისი აზრით, კრიზისის გადაჭრის ერთად-ერთ საშუალებას 11 მაისის პოლიტიკის გატარება წარმოადგენს.

დარიაკო ფიქრობს, რომ ბრიანმა უნდა შეინარჩუნოს ხელისუფლება მემარცხენე პარტიების კონცენტრაციის შემთხვევაში.

სოციალისტები გადაჭრით უარჰყოფენ კონცენტრაციის კაბინეტს.

დაუესის გეგმის თანახმად.

ბერლინი, 9 მარტი. დაუესის გეგმის განხორციელების მეთვალყურე გენერალურ აგენტის მოხსენებიდან სჩანს, რომ 84.440.271 ოქროს მარკიდან, რომელიც გერმანიამ თებერვლის განმავლობაში გადაიხადა, საფრანგეთს 46.640.556 ოქროს მარკა მიუღია.

კამპანია სახალხო კენჭის ყრის სასარგებლოდ

ბერლინი, 8 მარტი. ფართო ხასიათს ღებულობს კამპანია ყოფილი მეფის საგვარეულოს ქონების აუნაზღაურებლად კონფისკაციის სასარგებლოდ.

ბერლინში გაიმართა დემონსტრაცია სახალხო კენჭის ყრის სასარგებლოდ. დემონსტრანტებს პოლიციასთან მოუხდათ შეტაკება, რომლის დროსაც რამოდენიმე დემონსტრანტი დაიჭრა.

ახალი ალფაბეტი ოსმალეთში

სტამბოლი, 8 მარტი. ოსმალეთის მთავრობას განზრახული აქვს შემოიღოს ლათინური ალფაბეტი, რისთვისაც უკვე დაარსებულია კომისია, რომელიც შეისწავლის ევროპიულ ალფაბეტების ფონეტიკურ თვისებებს.

საბჭოთა კავშირის მაგალითის მიხედვით.

ვილნო, 8 მარტი. დაბა გლუდოკში პოლონეთის სეიმის დეპუტატმა გეტლამ მრავალრიცხოვან ბელორუს გლეხების მიტინგზე მოხსენება გააკეთა საბჭოთა კავშირში მოგზაურობის შესახებ.

მოხსენების შემდეგ გლეხებმა მიიღეს რეზოლიუცია, რომელშიაც მოითხოვენ მემამულეების მიწების უსასყიდლოდ გადაცემას გლეხებისათვის, გადასახადისაგან განთავისუფლებას და სეიმის დათხოვნას.

პეკინის ახალი გარეშე საქმეთა მინისტრი

პეკინი, 8 მარტი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, იენ-ხო-ჩინმა უარი სთქვა გარეშე საქმეთა მინისტრის პორტფელზე. ეს პოსტი შესთავაზეს ვან-ჩუნ-მიუს, გამოჩენილ ჩინელ დიპლომატს, რომელიც ამას წინად დანიშნულ იქნა ექსტერიტორიალობის საკითხის გამომრკვევ კომისიის თავმჯდომარეთ.

სახალხო არმიების გამარჯვება

პეკინი, 8 მარტი. ადასტურებენ ცნობებს, რომ პირველმა სახალხო არმიამ დაიკავა მაჩანი (ტიან-ცზინის სამხრეთით 50 კილომეტრის მანძილზე), აგრეთვე ცზინ-სიანი და პოტოუჩანი.

სახალხო არმიის მხრივ ბრძოლაში ჰაეროპლანებიც იღებდენ მონაწილეობას. რუს თეთრგვარდიელების რაზმი ძალიან დაზარალდა.

იტყობინებიან აგრეთვე, რომ მე-3 სახალხო არმიამ დაიკავა კინ-ჩჟოუ ჩჟილი-შანდუნის საზღვარზე.

გაზეთების ცნობით, პირველ სახალხო არმიასა და მუკდენელებს შორის მოლაპარაკება სწარმოებს დროებითი ზავის ჩამოგდების შესახებ.

კანტონის არმია მზად არის

პეკინი, 8 მარტი. სუნ-იატ-სენის ყოფილმა მრჩეველმა ვეი-შუნ-მინმა პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ კანტონის მთავრობის ჯარებს არ აკლიათ საომარი მასალები და პოლიტიკური მომზადება.

შეი-შუნ-მინის აზრით, თუ კანტონის არმიას მოუხდა გალაშქრება უ-პეი-ფუს წინააღმდეგ, გამარჯვება უზრუნველყოფილია.

სრულიად საქართველოს პროფკავშირთა მეხუთე ყრილობა

მეორე სხდომა

9 მარტის დილის სხდომაზე ყრილობამ მოისმინა ამხ. მელნიჩანსკის მოხსენება საბჭოთა კავშირის პროფკავშირთა საბჭოს მუშაობაზე.

ამხ. მელნიჩანსკის მოხსენება

კავშირის წევრთა რიცხვის ზრდა

ამხ. მელნიჩანსკი იწყებს თავის მოხსენებას საბჭოთა კავშირის საერთო ეკონომიური ზრდის და მოღონიერების დახასიათებით,—წარმოების განვითარებამ და გაფართოებამ გამოიწვია მუშა - მოსამსახურეთა რიცხვის გადიდება, ხოლო ამასთან დაკავშირებით გაიზარდა პროფკავშირთა წევრების რიცხვიც. ასე მაგალითად, თუ 1924 წლის აპრილში პროფკავშირებში 5.822.682 წევრი ირიცხებოდა, 1925 წლის პირველი ოქტომბრისათვის, ე. ი. დაახლოვებით ორი წლის შემდეგ, ეს რიცხვი 7.846.789-მდე გაიზარდა.

აქ უნდა აღინიშნოს, რომ კავშირის წევრთა რიცხვის გადიდებასთან ერთად იზრდება იმ მუშა - მოსამსახურეთა რიცხვიც, რომლებიც არ არიან ჩათრეული პროფესიონალურ ორგანიზაციებში. ეს მოვლენა ერთის მხრივ იმით აიხსნება, რომ ცალკე კავშირები ვერ ასწრებდენ მუშა - მოსამსახურეთა ახალ - ახალი ფენების ჩათრევას კავშირში, ხოლო მეორე მხრივ ზოგან ხელოვნურათ აფერხებდენ მშრომელთა მიღების საქმეს ხანგრძლივი სტაჟის დაწესებით და სხვა.

უმუშევრობა

მიუხედავათ იმისა, რომ სახალხო მეურნეობა და მასში ჩაბმულ მუშათა რიცხვი გაიზარდა, უმუშევრობა მაინც არ მცირდება. პირიქით, მას გაზრდის ტენდენცია ემჩნევა. 1924 წლის ოქტომბერში ჩვენ მთელ საბჭოთა კავშირში 672 ათასი უმუშევარი გვყავდა, ხოლო 1925 წლის ამავე თვეში უმუშევართა რიცხვი 837 ათასს აღწევდა.

მიზეზი ერთის მხრივ ის იყო, რომ წარმოება ითრევდა უმთავრესად სოფლიდან ჩამოსულ ახალ ძალას, ხოლო მეორე მხრივ უმუშევართა არსებული კადრში ძალიან მცირეა კვალიფიციური წარმოებისათვის გამოსადეგი მუშა ძალა.

უახლოვეს ხნის განმავლობაში ყურადღება უნდა მოექცეს სამუშაოზე არა კავშირის წევრ კვალიფიციურ მუშების გაგზავნას.

გადავიდა რა შემდეგ კავშირების მასიურ მუშაობის დახასიათებაზე მომხსენებელმა აღნიშნა დიდი მიღწევები ამ დარგში. კავშირების მუშაობის შესახებ საკონცესიო წარმოებებში, ორატორმა სთქვა, რომ აქ განსაკუთრებული სიფრთხილე არის საჭირო. პროფორგანიზაცია ფხიზლად უნდა იდგეს თავის სადარაჯოზე, მაგრამ გადამლაშებასაც არ უნდა ჰქონდეს ადგილი და საკონცესიო წარმოებათა დირექციას და მუშებს შორის არ უნდა შეიქმნეს ისეთი განწყობილება, რომ შეუძლებელი დარჩეს მუშაობის წარმოება.

სოფლად მუშაობა

სოფლად მუშაობას პროფესიონალურ ორგანიზაციების საქმიანობაში საპატიო ადგილი უჭირავს. ამ მხრივ ბევრია გაკეთებული, მაგრამ არის ნაკლიც. პირველ ხანებში თვითეულმა პროფორგანიზაციამ ცალკე დაიწყო სოფლად მუშაობა და დაარსა თავისი პროფესიონალური უჯრედები, რომლებიც ათეულ წევრს აერთიანებდენ. აქედან შესაფერისი შედეგებიც მივიღეთ; სოფლად დაიხარჯა ძალები, ნივთიერი საშუალებები და მუშაობა მოდუნდა. უნდა ვაღიაროთ, რომ სოფლად მუშაობა უმთავრესად მიწა - ტყის კავშირმა უნდა აწარმოოს. რასაკვირველია აქედან ის დასკვნა არ უნდა გამოვიყვანოთ, რომ ყველა სხვა კავშირებმა ხელი შეუშვან სოფლად მუშაობას. სოფლად მუშაობა უნდა აწარმოონ მიწა-ტყის კავშირის გარდა ისეთმა კავშირებმა, რომლებსაც წევრთა საკმაო რიცხვი ჰყავთ —იქ.

კავშირების ეროვნული პოლიტიკა

კავშირების ეროვნული პოლიტიკის დარგში მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. ცალკე რესპუბლიკების პროფესიონალურ ორგანიზაციების მიერ ამ მხრივ სწორი ხაზია აღებული. საკავშირო პროფსაბჭომ ამ რამოდენიმე თვის წინათ საგანგებო გამოკვლევა მოახდინა საქართველოში, აზერბეიჯანში, სომხეთში, ყირიმში, უკრაინაში და სხვაგან. ამ გამოკვლევის შედეგათ დაგროვილია დიდი მასალები, რომლებიც დამუშავებული იქნებიან საგანგებოთ მოწვეულ თათბირზე.

შემდეგ ამხ. მომხსენებელი შეეხო კავშირების სატარიფო მუშაობას, მათ მონაწილეობას სამეურნეო ორგანოების საქმიანობაში და დაწვრილებით შეჩერდა შემფასებელ საკონფლიქტო კომისიების მუშაობაზე.

მომხსენებლის აზრით საჭიროა ამ კომისიებში მუშათა ფრაქციის გაძლიერება, რადგან ხშირად მათ არ იციან შრომის ელემენტარული კანონები.

შეეხო რა კავშირების კულტმუშაობას მომხსენებელმა აღნიშნა დიდი მიღწევები ამ დარგში.

კავშირების ფინანსიური მდგომარეობის გაშუქების შემდეგ მომხსენებელი დაწვრილებით შეჩერდა საკავშირო პროფსაბჭოს საერთაშორისო მუშაობაზე.

პროფკავშირების საერთაშორისო მუშაობა

მთლიანი ფრონტისათვის ბრძოლის საკითხი საკავშირო პროფსაბჭოს ყურადღების ცენტრში იდგა და დღესაც სდგას. ჩვენ ვიღებთ ყოველგვარ ზომებს იმისათვის, რომ დაქსაქსული და დანაწილებული საერთაშორისო მუშათა პროფმოძრაობა გავაერთიანოთ და დავრაზმოთ ერთ ოჯახში.

ჯერ კიდევ საკავშირო პროფკავშირთა პირველ ყრილობაზე იდგა საკითხი პროფმოძრაობის გაერთიანების შესახებ და მას შემდეგ საკავშირო პროფსაბჭო დაუღალავით მუშაობს ამ მიმართულებით.

დღეს მსოფლიო პროფმოძრაობის ორი ინტერნაციონალური გაერთიანება არსებობს. ერთია ამსტერდამის ინტერნაციონალი, რომელიც უმთავრესად ეყრდნობა გერმანიისა და ინგლისის პროფკავშირებს, ხოლო მეორე პროფინტერნი, რომლის უმთავრეს საყრდენს საკავშირო პროფესიონალური ორგანიზაციები წარმოადგენენ.

თუ ამსტერდამის ინტერნაციონალის ცნობებს დაუჯერებთ, ხოლო ჩვენ გვაქვს საბუთი მაინც და მაინც არ ვერწმუნოთ მათ, დღეს ეს ინტერნაციონალი 15 მილიონ წევრს აერთიანებს. დაახლოებით 10-11 მილიონს აერთიანებს წითელი პროფინტერნი. ამსტერდამის ინტერნაციონალში 15 მილიონ წევრიდან დაახლოებით 9 მილიონი ინგლისისა და გერმანიის პროფკავშირებს ეკუთვნის, ხოლო დანარჩენები სხვადასხვა ქვეყნის კავშირებს. აქ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამსტერდამის ინტერნაციონალი თავის რიგებში ითვლის ისეთ პროფორგანიზაციებს, რომლებიც სინამდვილეში არ არსებობენ. ასე მაგალითად რუმინიის, ბულგარეთის, ვენგრიის პროფკავშირები განადგურებული არიან და სინამდვილეში უკვე აღარ არსებობენ.

ამიტომ ვამბობთ, ჩვენ, რომ ამსტერდამის ინტერნაციონალის ციფრები არ არის სწორი. ეს ინტერნაციონალი გაცილებით უფრო სუსტია, ვიდრე ის აცხადებს, რადგან გარდა იმისა, რომ მთელი რიგი მასში შემავალ კავშირებისა უკვე ფაქტიურათ აღარ არსებობენ, არსებულთა შორისაც არ არის მთლიანობა და სიმტკიცე.

თქვენ იცით ამხანაგებო, რომ ამსტერდამსა და ინგლისის პროფკავშირებს შორის ვერ არის დამყარებული მაინც და მაინც კეთილმეგობრული დამოკიდებულება. გარდა ამისა ცალკე ქვეყნებშიაც იმ კავშირებში, რომლებიც ამსტერდამში შედიან არიან საკმაოთ ძლიერი უმცირესობანი, რომლებიც პროფინტერნის გავლენის ქვეშ იმყოფებიან და თუ ისინი არ არსებობენ ცალკე და არ შედიან პროფინტერნში, ეს იმით აიხსნება, რომ ჩვენ გაურბით განხეთქილებას და. წინადადებას ვაძლევთ მათ დარჩენ არსებულ პროფესიონალურ გაერთიანებაში.

როგორია მდგომარეობა პროფინტერნში?

პროფინტერნის მიერ საყრდნობ ძალას, როგორც აღვნიშნე საბჭოთა კავშირის პროფორგანიზაცია წარმოადგენს, რომელიც თავის რიგებში დაახლოებით 8 მილიონ წევრს ითვლის, გარდა ამისა ამ ინტერნაციონალში შემოდიან კიდევ კავშირები, რომლებიც 2-3 მილიონ წევრთ აერთიანებენ.

მთავარი განსხვავება, რომელიც არსებობს პროფინტერნსა და ამსტერდამს შორის და რომელიც უსათუოდ უპირატესობათ უნდა ჩაეთვალოს პირველს, იმაში მდგომარეობს, რომ ამსტერდამი მხოლოდ ევროპიული ორგანიზაცია არის, მაშინ, როდესაც პროფინტერნი აღმოსავლეთის მუშათა პროფესიონალურ ორგანიზაციებსაც აერთიანებს.

გარდა ამ ორი ინტერნაციონალისა, პროფკავშირთა საერთაშორისო გაერთიანება არ არსებობს. მაგრამ უნდა ითქვას, რომ მთელ რიგ ქვეყნებში არიან პროფკავშირები, რომლებიც არც ერთ საერთაშორისო გაერთიანებაში არ შედიან.

ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანია მათ შორის ამერიკის შრომის ფედერაცია.

ეს ფედერაცია არ შედის ამსტერდამის ინტერნაციონალში, რადგან მისი აზრით ამსტერდამი სოციალისტური ორგანიზაცია არის. ამერიკის შრომის ფედერაცია სასტიკა წინააღმდეგია სოციალიზმის, რევოლიუციის და საზოგადოთ არსებულ წყობილების გარდაქმნის. ის არ იზიარებს კლასთა ბრძოლას და მომხრე არის კლასთა შორის ჰარმონიული ურთიერთობის დამყარებისა.

მათ ამერიკაში დაარსეს ეგრედწოდებული სამოქალაქო ფედერაცია, რომელიც შესდგება შრომის ფედერაციის გამოჩენილ მოღვაწეთა და მილიარდერებისაგან. ამ საზოგადოების მიზანია მუშათა და მწარმოებლებს შორის შეთანხმებული მუშაობის და ჰარმონიის სასარგებლოთ პროპაგანდის წარმოება. საინტერესოა, რომ საზოგადოების თავმჯდომარეთ ცნობილი მილიარდერი მორგანი ირიცხებოდა, ხოლო მის მოადგილეთ ამერიკის შრომის ფედერაციის თავმჯდომარე გომპერსი. ამ უკანასკნელის სიკვდილის შემდეგ, მისი ადგილი ფედერაციაშიც და ამ საზოგადოებაშიაც გრინმა დაიჭირა.

ამერიკის მუშათა მოძრაობაში ამ ბოლო ხანებში ახალმა მიმდინარეობამ იჩინა თავი. იქ დაარსდა ეგრედწოდებული კომპანიური კავშირები, რომლებშიაც შედიან, როგორც მუშები, ისე მწარმოებლები. ეს კომპანიები აარსებენ ბანკებს და ავალებენ თავის წევრებს ზედმეტი ფული ამ ბანკებში შეინახონ. ამ ბანკებში დაგროვილ ფულებით ყიდულობენ აქციებს და ამრიგათ აპირებენ, მათი თქმით, მუშების გადაქცევას „ხაზეინებათ". აღსანიშნავია, რომ ეს კავშირები დიდი გავლენით სარგებლობენ ამერიკის მუშათა კლასში და მასში დღეს 4 მილიონი წევრი ირიცხება.

ასეთია დაახლოებით პროფმოძრაობის სურათი ეხლა.

ამრიგათ საერთაშორისო მუშათა პროფესიონალური მოძრაობა დაქსაქსულია. ჩვენ წამოვაყენეთ ლოზუნგი ამ მოძრაობის გაერთიანების შესახებ. ამ ლოზუნგს გამოეხმაურენ ინგლისის პროფკავშირები, და მათთან ერთად ჩვენ ვაწარმოებთ ბრძოლას ამ მიმართულებით.

ამსტერდამის ინტერნაციონალი, რომელშიაც საკმაოთ დიდი გავლენა აქვთ გერმანიის პროფკავშირებს, ეს უკანასკნელნი კი გერმანიის მენშევიკების სრული გავლენის ქვეშ იმყოფებიან, სასტიკად ეწინააღმდეგება მთლიანი ფრონტის შექმნას. ამ უკანასკნელათ, 18 თებერვალს შესდგა ამსტერდამის ინტერნაციონალის აღმასკომის სხდომა, რომელზედაც კვლავ იდგა საკითხი მთლიანობის შესახებ. ამსტერდამი არაფერს ამბობს ახალს და მოითხოვს ,რომ საბჭოთა პროფკავშირებმა წინასწარ განაცხადოს სურვილი ამსტერდამის ინტერნაციონალში შესვლის შესახებ. რასაკვირველია ჩვენ ამაზე ვერ წავალთ.

მთლიანობის იდეის საქმე ცუდათ იქნებოდა, რომ ჩვენ მხოლოდ ამსტერდამის პროფმოხელეებთან გვქონდეს ლაპარაკი ამის შესახებ. მთლიანობისათვის ბრძოლა ჩვენ მასებში გადავიტანეთ და უნდა აღინიშნოს, რომ მთელი ქვეყნის მუშათა შორის ამ იდეას მტკიცე ნიადაგი აქვს მოპოვებული.

მთლიანობისათვის ბრძოლას დიდათ უწყობენ ხელს ის დელეგატები, რომლებიც მოდიან ჩვენში ევროპიდან. ამ ახლო ხანში ჩვენ კიდევ ველით რამოდენიმე დელეგაციას და ვფიქრობთ, რომ ამერიკის მუშათა კლასიც გამოგზავნის თავის წარმომადგენლებს.

ამრიგათ შეუწყვეტელი ბრძოლა მთლიანობისათვის სწარმოებს, ადრე თუ გვიან ჩვენ მივაღწევთ მუშათა ფრონტის გაერთიანებას, რადგან მთლიანობის იდეას დიდი გავლენა აქვს მოპოვებული მუშათა ფართო ფენებში. ეს გვაძლევს საბუთს ვიფიქროთ, რომ გაერთიანებას ჩვენ შევსძლებთ ან ამსტერდამის თანხმობით, ან და მისი სურვილის წინააღმდეგ (მხურვალე ტაში).

ამხ. მელნიჩანსკის მოხსენების შემდეგ დილის სხდომა დაიხურა.

მესამე სხდომა

9 მარტს, საღამოს სხდომაზე გაიხსნა კამათი ამხ. მელნიჩანსკის მოხსენების გარშემო. კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ათოევმა, კარაპეტოვმა, მარიამიძემ, გურგენიძემ, ხარებოვმა, ფირალოვმა, ფრუიძემ, ხვედელიჩნიმ და ბრელიძემ.

ორატორები მიაქცევდენ საკავ. პროფსაბჭოს ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ კავშირების ცენტრალური კომიტეტები მოითხოვენ ანარიცხებს თავის განყოფილებებიდან მიუხედავათ იმისა, აქვთ თუ არა მათ გადახდის საშუალება. გარდა ამისა ორატორები გამოსთქვამდენ მოსაზრებებს იმის შესახებაც, რომ 500 კავშირის წევრზე ერთი განთავისუფლებული მუშაკი არ არის საკმარისი პროფმუშაობის თავის სიმაღლეზე დასაყენებლათ.

რაც შეეხება კავშირის წევრების მიღებას სამუშაოთ პირველ რიგში, მიუხედავათ იმისა, რომ ეს გათვალისწინებულია კოლექტიურ ხელშეკრულებებით სამეურნეო მუშაკები მაინც არ ასრულებენ მას.

რამოდენიმე ორატორმა მიუთითა პროფმუშაობის სისუსტეზე მილიციაში და აგრეთვე მილიციელთა ხელფასის სიმცირეზე და მოითხოვა საკავშირო პროფსაბჭოსაგან ამ საკითხისათვის მეტი ყურადღების მიქცევა.

კამათის დასრულების შემდეგ ამხ. მელნიჩანსკიმ ამომწურავი პასუხი გასცა ორატორებს და უპასუხა შეკითხვებზე. დასასრულ ყრილობამ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია საბჭოთა რესპუბლიკების პროფკავშირთა საბჭოს მუშაობაზე:

მოისმინა რა ამხ. მელნიჩანსკის მოხსენება საკავშირო პროფსაბჭოს მუშაობის შესახებ სრულიად საქართველოს პროფკავშირთა მეხუთე ყრილობა მთლიანად იწონებს მის მუშაობას, რომელიც მიმართული იყო საბჭოთა კავშირის პროფმოძრაობის გაძლიერებისაკენ და მსოფლიო პროფმოძრაობის მთლიანობის დამყარებისაკენ, რასაც სავსებით შეეფერება, როგორც საბჭოთა კავშირის ისე მთელი მუშათა ქვეყნის მუშათა კლასის ინტერესებს.

რეზოლიუციის მიღების შემდეგ სხდომა დაიხურა საღამოს 8 საათზე.

პარტიული ცხოვრება

უჯრედების მუშაობის პრესაში გაშუქების შესახებ

2 მარტს შესდგა მე-2 რაიონის საბჭოთა უჯრედების ბიუროების კონფერენცია. კონფერენციამ თავის რეზოლიუციაში სხვათა შორის აღნიშნა, რომ **ყველა უჯრედები ვალდებული არიან თავისი მიღწევები და ნაკლულევანებები გააშუქონ პრესაში.**

კონფერენცია სურვილს კი არ გამოსთქვამს, კი არ ურჩევს უჯრედებს, არამედ კატეგორიულად მოითხოვს, **ავალდებულებს** უჯრედებს თავისი **მიღწევები** და **ნაკლულევანებები** გააშუქონ პრესაში. კონფერენცია აქ სრულიად სწორად უდგება საკითხს. საჭიროა პარტიის თვითეულმა წევრმა ქალაქში თუ სოფელში იცოდეს, რას აკეთებს ესა თუ ის უჯრედი, რა მიღწევები აქვს მას ამა თუ იმ დარგში. ამ მიღწევებით ისარგებლებენ სხვა უჯრედებიც, აქაც ამ ხაზით აწარმოებენ მუშაობას.

როგორი მდგომარეობაა დღეს, შუქდება თუ არა უჯრედების ცხოვრება პრესაში? უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ კიდევ ბევრია გასაკეთებელი; მართალია, ზოგიერთი უჯრედების ცხოვრება, მათი მიღწევები და ნაკლულევანებები დღეს შუქდება პრესაში, მაგრამ ისიც არა ისე და არა იმ სახით, როგორც ეს სასურველია.

ჯერ-ჯერობით უჯრედების ძლიერ მცირე რიცხვია ამ მუშაობაში ჩაბმული, ძლიერ მცირე რიცხვი აშუქებს პრესაში თავის საქმიანობას, რომელიც კი აშუქებს, ისიც ვერ უდგება საკითხს სწორად. უსათუოდ ქება-დიდებით იწყება კორესპონდენცია და ასეთივე ქება-დიდებით თავდება. ამხანაგ პარტკორებს თითქოს ეხამუშებათ, რომ გამოაქვეყნონ უჯრედის მუშაობის უარყოფითი მხარეები, მაშინ, როდესაც ჩვენთვის საინტერესოა ვიცოდეთ უჯრედის დადებით მხარეებთან ნაკლულევანებებიც, რომ თავის დროზე მიაქციონ პარტიის უმაღლესმა ორგანოებმა ყურადღება და ზომები მიიღონ მათ გამოსასწორებლად.

ჩვენს პარტკორებს ავიწყდებათ, რომ კომუნისტურ პარტიას არ სჩვევია დამალოს თავისი ნაკლულევანებები. ის აშკარად, ყველას გასაგებად გაიძახის თავის ნაკლულევანებებზე და ამავე დროს ზომებსაც იღებს ამ ნაკლულევანებათა გასაჯანსაღებლად. როგორც ქალაქის, ისე სოფლის უჯრედები ამ მხარეს თავის საქმიანობისას ძლიერ გულგრილად ეპყრობიან. მთელი რაიონები, სადაც პარტიული მუშაობა გაძლიერებულია, ეს საქმე არანაკლებად დაყენებული, ვიდრე სხვა რომელიმე მოწინავე მუშურ ცენტრში, ის კი სრულ. გაუშუქებელი რჩება პრესაში, პარტიის წევრებმა და ორგანიზაციებმა არაფერი იციან ამ მუშაობის შესახებ. ბევრ ჩვენს ამხანაგებს, ადგილებზე მომუშავეებს კიდევ ვერ აქვთ გათვალისწინებული, თუ რა მნიშვნელობა აქვს ადგილობრივი პარტმუშაობის გაშუქებას.

პარტიის ყოველმა წევრმა ვალდებულად უნდა სთვლიდეს თავის თავს უჯრედის, თემკომის მუშაობიდან სისტემატიურად მიაწოდოს გაზეთს ცნობები. თბილისის ორგანიზაციის მე-2 რაიონის საბჭოთა უჯრედების ბიუროების კონფერენციის კატეგორიული მოთხოვნა, რომ უჯრედებმა აუცილებლად გააშუქონ პრესაში თავისი მუშაობა, მისაბაძი, მაგალითი უნდა გახდეს ყველა ორგანიზაციებისთვის. უჯრედები უნდა დავავალდებულოთ ფართოდ გააშუქონ პრესაში თავისი ავი და კარგი, დადებითი და უარყოფითი მხარეები. ერთ-ერთ მორიგ ამოცანად უჯრედებმა ეს საკითხი უნდა წამოაყენონ.

ლ.

საოლქო საკონტროლო კომისიის პლენუმი

6 თებერვლის დილის სხდომა

დილის სხდომაზე ამხ. დოლიძე აკეთებს მოხსენებას ამიერ-კავკასიის საოლქო საკონტროლო კომისიის, ამიერ-კავკასიის საოლქო საკონტროლო კომისიის პარტკოლეგიის, ეროვნულ ცენტრალურ საკონტროლო კომისიების და ამიერ-კავკასიის საოლქო საკონტროლო კომისიის წევრთა უფლება-მოვალეობათა შესახებ. წარმოდგენილი პროექტები ზემოაღნიშნულ საკითხებზე წარმოადგენენ საკონტროლო კომისიების ხელმძღვანელ ორგანოების ურთიერთ დამოკიდებულებას, მათი მუშაობის ხასიათს და მათ კომპეტენციას. ეს პროექტები წარმოადგენენ ცენტრში მიღებულ დებულებათა განვითარებას და მათში შეტანილია ზოგიერთ ცვლილებები ადგილობრივ პირობების მიხედვით.

შემდეგ საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. ხუმარიანმა, რომელიც შეეხო ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის და რესპუბლიკანურ მუშათა გლეხთა ინსპექციის მუშაობის შესახებ.

ამხ. ხუმარიანის მოხსენების გამო მიღებული იქნა რეზოლიუცია, რომელიც აღნიშნავს მნიშვნელოვან მიღწევებს, როგორც ამიერ-კავკასიის, ისე რესპუბლიკანურ მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობაში.

რეზოლიუციაში ყურადღება არის მიქცეული მთელ რიგ დეფექტებზე და აღნიშნულია მთელი რიგი ღონისძიებათა ამ დეფექტების თავიდან ასაცილებლად.

პლენუმი საჭიროდ სთვლის განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაკების შერჩევას, მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაკთა საოლქო თათბირის მოწვევას, ინსტრუქტორების გაძლიერებას და სხვ.

შრომის მეცნიერული ორგანიზაციის კითხვები

(მოხსენება ამ.-კავკ. საოლქო საკანტრ. კომ. პლენუმზე).

7 მარტს, დილის სხდომაზე ამ.-კავ. საოლქო საკონტროლო კომისიის პლენუმმა მოისმინა ამხ. ვარდანიანის მოხსენება ამ.-კავკ. სახელმწიფო აპარატის რაციონალიზაციის შედეგების და პერსპექტივების შესახებ.

მომხსენებელი შეჩერდა ამ.-კავკ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის ინიციატივით სახალხო კავშირის საოლქო სამმართველოსთან და ამ.-კავკ. ფინსახკომთან დაარსებულ საორგანიზაციო ბიუროების მუშაობაზე. აღნიშნა რა საორგანიზაციო ბიუროების მუშაობაში უეჭველი წარმატებები, მომხსენებელმა განსაკუთრებით ხაზი გაუსვა იმას, რომ როგორც ორგბიუროების, ისე მუშათა და გლეხთა ინსპექციების საპერსპექტივო მუშაობის წარმატებისათვის საჭიროა მათი მუშაობა სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესების დარგში სწარმოებდეს პროფკავშირებთან, პარტუჯრედებთან და მუშკორებთან ხელი-ხელ ჩაკიდებით. მომხსენებლის აზრით, მუშათა და გლეხთა ინსპექციების მუშაობა განსაკუთრებით დაკავშირებული უნდა იქნეს ეკონომიურ კომისიებთან. უნდა ითქვას, რომ მუშათა და გლეხთა ინსპექციების მუშაობას საგრძნობლად აფერხებდა საკმაო კვალიფიციურ ძალების სიმცირე, და აგრეთვე პირველ ხანებში ზოგიერთ მუშაკების ერთგვარი სკეპტიკური დამოკიდებულება რაციონალიზატორულ მუშაობისა და შრომის მეცნიერული ორგანიზაციის საკითხებისადმი. მაგრამ ის უდაო მიღწევები, რომელიც ამჟამად გვაქვს, უსათუოდ ჩააბამს რაციონალიზატორულ მუშაობაში როგორც სახელმწიფო, ისე საზოგადოებრივ დაწესებულებებს.

ამხ. ვარდანიანის მოხსენების გარშემო გაიმართა გაცხოველებული კამათი. ორატორები საჭიროდ სთვლიდენ მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოების მუშაობის მიმართვას რაციონალიზატორული კალაპოტით. სახელმწიფო აპარატის რაციონალიზაციის ამოცანებისადმი ეჭვის თვალით ცქერას, როგორც დღემდეც ვამჩნევთ, ორატორების აზრით ერთხელ და სამუდამოდ ბოლო უნდა მოეღოს. ამისდამიხედვით გაძლიერებული უნდა იქნენ რაციონალიზატორული უჯრედები ადგილებზე.

ბორჯომის კომბინატი და მოქ. ქებაძე

(საქ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის მასალებიდან)

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციამ მოახდინა ბორჯომის კომბინატის გამოკვლევა.

ბორჯომის კომბინატი დაარსდა 1924 წელს. კომბინატში შევიდა შემდეგი წარმოებები: გაზის ქარხანა, მუშის ქარხანა, ხე-ტყის სახერხი ქარხანა, ჰიდრო - ელექტრო სადგური, ტელეფონის სადგური და სხვა.

ბუხჰალტერია

ბუხჰალტერიის გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ ცენტრალურ ბუხჰალტერიაში საქმეები ვერ არის კარგად დაყენებული. ძირითადი დეფექტები: ოპერაციების აღრიცხვის სისტემის მოუგვარებლობა, მასალების და ნედლეულობის დამზადების აღრიცხვის არწარმოება და ბორჯომის წყალის გასაღების მოუგვარებლობა, რის გამო კონტრაგენტ ქებაძესთან დამყარებულ ურთიერთობის გამოსარკვევად საჭირო შეიქნა სპეციალური კომისიის დანიშვნა ცენტრიდან.

სამეურნეო მოღვაწეობის ნაკლულევანებანი

დეტალური გეგმის უქონლობის გამო, კომბინატის დამამზადებელი მოღვაწეობას არ ჰქონდა გეგმაშეწონილი ხასიათი, რამაც გამოიწვია შეფერხება ნედლეულის მიწოდებაში. მასალების მიწოდება გაზის ქარხნისათვის უწესრიგოთ სწარმოებდა და ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც საქონელს აწოდებდნენ მომატებულ ფასებში.

უმეტეს შემთხვევებში, მასალების და ნედლეულის დამზადება სწარმოებდა სახელმწიფო ორგანოების საშუალებით, მაგრამ კომერციულ ურთიერთობაში სახელმწიფო ორგანოებთან კომბინატი ხშირად არღვევდა თავის თავზე მიღებულ ვალდებულებას: კომბინატი ხშირად თავის დროზე არ იხდიდა ფულს და სხვა. ამის გამო ადგილი ჰქონდა ხელშეკრულების დარღვევას, თამასუქების გასაჩივრებას, რაც სახელს უტეხდა კომბინატს. ყველა ამან შექმნა ისეთი მდგომარეობა, რომ კომბინატი ბანკების მიერ მიჩნეული იქნა არასასურველ კლიენტათ, რომელთანაც ბანკები ერიდებოდენ ოპერაციების წარმოებას.

საწარმოო - საექსპლოატაციო მოღვაწეობა

მთავარ დეფექტათ ამ სფეროში მიჩნეული უნდა იქნეს მუშის ქარხნის პროდუქციის მაღალი თვითღირებულება, რომელიც სამჯერ აღემატება ომის წინა ხანების თვით ღირებულებას. ამის მიზეზია წარმოების სათანადო ნიადაგზე დაუყენებლობა, ტეხნიკური ხელმძღვანელობის უქონლობა, და როგორც ამისი შედეგი, ბორჯომის მუშის ქარხნის ფაბრიკატების დაბალი ღირსება.

კომერციული მოღვაწეობა და მოქ. ქებაძე

ამჟამად ბორჯომის წყალის ექსპლოატაცია მინდობილი აქვს კერძო კონტრაგენტს ქებაძეს, რომელსაც გადაცემული აქვს განსაკუთრებული უფლება ბორჯომის წყალის გასაღება - გავრცელებაზე. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად კონტრაგენტის მიერ წარდგენილია საწინდარი 40.000 მანეთი და საკუთარი სახლი.

კომბინატის კომერციული ურთიერთობა ქებაძესთან ამტკიცებს, რომ ამ ურთიერთობაში ადგილი აქვს მრავალ არანორმალურ მოვლენებს და ფინანსიური ანგარიშების უსისტემოთ წარმოებას. ამის გამო კომბინატს საშვალება არ ჰქონდა სისწორით გაეთვალისწინებია თავისი ურთიერთობა კონტრაგენტთან.

ოპერაციების ანალიზიდან გამოირკვა, რომ ხელშეკრულების დადების მომენტისას—1925 წლის 10 მაისისათვის ქებაძეს კომბინატის ვალი ემართა 100.372 მანეთი, ეს დავალიანება მოქ. ქებაძის მიერ დაფარული იქნა ხელშეკრულების დადებიდან ორი თვის განმავლობაში, მაგრამ საანგარიშო წლის ბოლოს მასზე მაინც დარჩა დავალიანება 44.931-94 კაპ.

გარდა პერიოდული დავალიანებისა, ადგილი ჰქონდა შემთხვევებს, როდესაც კონტრაგენტი თავის დროზე არ იხდიდა ვალს თამასუქების მიხედვით. გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ მოქ. ქებაძის არც ერთი თამასუქი არ ყოფილა გასაჩივრებული. ქებაძე თავის თამასუქებს რეგისტრაციაში ატარებდა მეორე სახელმწიფო ნოტარიალურ კანტორაში, სადაც მას „ნაცნობობით" საპროტესტო წიგნში შეუვსებელს უტოვებდნენ იმ ადგილს, სადაც გატარებული უნდა ყოფილიყო გასაჩივრებული თამასუქი; ეს ხდებოდა იმ მიზნით, რომ საჭიროების დროს შესაძლებელი ყოფილიყო თამასუქების გასაჩივრების გატარება უკანა რიცხვით. ასეთ გზით მოქ. ქებაძე ყოველთვის სარგებლობდა ნდობით და კრედიტით ბანკებში.

ყველა აღნიშნული დეფექტების გამოსასწორებლად საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიის მიერ შემუშავებულია სათანადო ღონისძიებები.

მ.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

კინო

ფოთი, 8 მარტი. ლენინის სახელობის მუშათა ცენტრალურ კლუბში გაიხსნა ახალი კინო.

მოსახლეობის მოძრაობა

ჭიათურა, 8 მარტი. 1925 წლის განმავლობაში შორაპნის მაზრაში დაბადებულა: 3,687 ვაჟი, 3376 ქალი; მომკვდარა: 941 მამაკაცი, 891 ქალი.

რეგისტრაციაში გატარებულია 1,536 ქორწინება, 40 განქორწინება.

ფოთის ნავთსადგურში

ფოთი, 8 მარტი. თებერვლის განმავლობაში ფოთის ნავთსადგურში შემოვიდა 58 გემი, გავიდა ამდენივე. შემოტანილ იქნა 9,153 ტონა ტვირთი, გატანილ იქნა—1,145 ტონა.

უცხოეთის გემების მოსვლა

ფოთი, 8 მარტი. თებერვლის განმავლობაში ნავთსადგურში შემოვიდა უცხოეთის 8 გემი, გავიდა—8.

გემებმა შემოიტანეს 5 ტონა საძირე ტყავი, გაიტანეს 146 ტონა თხილი და 36,24 ტონა შავი-ქვა.

შავი ყვავილი

ბათომი, 9 მარტი. ქალაქში და მაზრაში რამდენიმე შემთხვევა იყო შავი ყვავილით ავადმყოფობისა. სახ. ჯანსაღ. კომისარიატის მიერ მიღებულია ზომები. გადაწყვეტილია, შემოღებულ იქნეს ყვავილის საწინააღმდეგო აცრა.

ალიუმინის მადნები

ბათომი, 9 მარტი. აჭარისტანის ეკონ.-მრეწ. სამთამადნო გამოკვლევამ აჭარისტანის მთიან ნაწილში აღმოაჩინა ალიუმინის მდიდარი მადნები.

მადნების გამოსაკვლევ წინასწარ მუშაობისთვის გადადებულია 34.000 მან.

მუშათა სახლები

ბათომი, 9 მარტი. ნავთსადგურის სამმართველოს მიერ მუშათა სახლების ასაგებად გადადებულია 75.000 მანეთი.

ნავთის რეზერვუარების შეკეთება

ბათომი, 9 მარტი. ნავთის სინდიკატის მიერ ბათომში ნავთის შესანახ რეზერვუარების შესაკეთებლად გადადებულია 200.000 მან.

მანქანები—ჭიათურის წარმოებისთვის

ბათომი, 9 მარტი. ჭიათურის მარგანეცის წარმოებისთვის მოვიდა 100.000 მანეთის მანქანები, რომელთა შორის არის ელექტრო-მოტორები.

ბათომის ნავთსადგურში

ბათომი, 9 მარტი. 7 მარტს ადესიდან მოვიდა გემი „კამენეც-პოდოლსკი", რომელმაც მოიტანა 1.500 ტონა სხვადასხვა საქონელი.

გენუისკენ გავიდა იტალიის გემი „მარიანეტტი" 2.000 ტონი ნავთის ნაწარმოებით.

წერილები

ერთი ხულიგნობის წინააღმდეგ

(წერილი ქუთაისიდან)

თავისუფალი სკოლა ბევრმა თავისებურათ გაიგო. „კომუნისტის" (და არა მარტო „კომუნისტის") მკითხველი ხშირათ ნახავს კორესპონდენციებს სხვადასხვა კუთხეებიდან, რომლებშიაც იტყობინებიან მოწაფეთა დაუშვებელ თავგასულობაზე.

გალიდან (სამურზაყანო) ამას წინათ ერთი გლეხკორი სწერდა, რომ ადგილობრივ მოწაფეებს კაი ბიჭობათ მიაჩნიათ სკოლაში პაპიროსის აშკარათ წევა, ქუჩა-ქუჩა ძმა-ბიჭურათ სეირნობა და მასწავლებლებისადმი უდიერათ მოპყრობაო.

გორელი კორესპონდენტიც დაახლოებით ასეთივე საყვედურით იხსენება იქაურ მოწაფეების საქციელს. ქუჩაში მშვიდობიან მოქალაქე კაცსა და ქალს ერთად არ გაევლება. უსაქმოთ მოხეტიალე მოწაფეები თავის მოვალეობათ სთვლიან მათ რაიმე შეურაცხყოფა მიაყენონ სიტყვით და, თუ საქმე მივიდა. ფიზიკურ შეურაცხყოფის წინაშეც არ დაიხიონ.

არ ვიცი სხვაგან რა მდგომარეობაა, ხოლო უნდა ითქვას, რომ ქუთაისშიაც ძალიან ხშირია ასეთი შემთხვევები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ მხრივ მოზრდილ მოწაფეების ქცევა. უშვერი სიტყვები, ჩხუბი, უსარგებლო ყიალი და, როგორც აქ იტყვიან, „ლაი-ლაი" ჩვეულებრივი მოვლენაა მოწაფეებს შორის. მთავარი მოქმედების ასპარეზი კი ბულვარია და მის გარშემო მდებარე ქუჩები. საღამოობით და უქმე-კვირა დღეებში აქ კაცი და განსაკუთრებით კი ქალი უშიშრად ვერ გაივლის.

ჩვენ დღეს ვებრძვით ხულიგნობას სოფლად და ქალაქად. ეს ბრძოლა ბევრს წარმოუდგენია, როგორც მხოლოდ დიდების ცოდვა და აქეთ მიმართავს თავის ყურადღებას. ამავე დროს გვავიწყდება, რომ ახალი თაობის ერთი ნაწილიც არა ნაკლებ არის დაავადებული ამ სენით.

შეიძლება აქ იმდენათ თვით მოწაფენი არ არიან დამნაშავე, რამდენადაც ჩვენი საერთო პირობები, სკოლები, როგორც ხელმძღვანელი შემადგენლობის, ისე ნივთიერ უზრუნველყოფის მხრივ ვერ არიან მაინც და მაინც სანუგეშო მდგომარეობაში, რომ გაკვეთილებისაგან თავისუფალი დრო მოწაფეებმა შესაფერისად გაატარონ. მაგრამ ამ მიზეზების გამოდევნება ჩვენ შორს წაგვიყვანდა. ფაქტი მაინც ფაქტად რჩება და საჭიროა მის წინააღმდეგ ზომების მიღება.

პირველყოვლისა კომკავშირმა უნდა ამოიღოს ხმა. მისი გავლენა დიდია ახალგაზრდობაში და აქ კომკავშირის უთუოდ შეუძლია მნიშვნელოვანი საქმის გაკეთება. ამასთანავე საჭიროა მასწავლებლობამაც გახადოს ეს საკითხი თავის ყურადღების საგნათ და გამონახოს მის საწინააღმდეგო ბრძოლის საშუალებები. ამასთანავე დიდი დახმარების გაწევა შეუძლია ამ საქმეში თვით მოწაფეთა ორგანიზაციებსაც.

ხულიგნობას ვებრძვით ჩვენ დიდებში. ის არ იქნება აღმოფხვრილი სამუდამოთ, თუ ახალთაობის აღმზრდელობა წარმატებით წინ არ წავიდა.

ლიკოშა.

ნურც ჩვენს თემს დაივიწყებთ

(მუხურა, შორ. მ.).

მუხურა, როგორც ეტყობა, შემთხვევით არ ჰქვია ჩვენს სოფელს. მისი ადგილ-მდებარეობა მართლაც ისეთია, რომ ეს სოფელი ნამდვილ კარიკატურს, მუხურით დებულ კუთხეს წარმოადგენს. ოთხივ მხრიდან ის მთების კალთებითაა შემოხღუდული და ეს მთები ირგვლივ მაღალ კედლებით შემორტყმიან ამ პატარა სოფელს და ერთი შეხედვით ის ვეებერთელა, დაუხურავ სახლს წარმოადგენს.

ალბათ სწორეთ ასეთ გეოგრაფიულ მდებარეობით აიხსნება, რომ ჩვენი სოფელი განსხვავდება მაზრის სხვა კუთხეებისაგან თავის კულტურულ ჩამორჩენილობით. მაგრამ კულტურულ ჩამორჩენილობას ვინ ჩივოდა, რომ სხვა რაიმე იყვეს ჩვენს თემში რიგზე.

მუხურა საერთოდ, როგორც მთა-გორიანი ადგილი, ცნობილია თავი მიწის სიმწირით და სიმცირითაც, კერძოთ კი ამ ნაკლებობას ყველაზე უფრო გრძნობს ამ თემის ორი სოფელი: საკვირაო და ვარდოსანიძეების უბანი. ეს კუთხეები დასახლებულია უმეტესათ ღარიბი გლეხებით. ბევრი მათგანი იძულებულია სამუშაოს საძებრათ ქალაქს მიაშუროს. მუხურის მახლობლათ არის ტყიბულის მაღაროები, რამდენიმე ათეული ვერსით დაშორებულია ჩვენგან ჭიათურა. აქაური გლეხებიც უმთავრესად ამ ორ სამრეწველო ადგილებს ეტანებიან. ეს, რაც შეეხება გლეხების ეკონომიურ მდგომარეობას.

თვით თემში კი თავიდანვე არ ყოფილა ყველაფერი რიგზე. ჯერ იყო და პარტორგანიზაციაში მოჰყვა საეჭვო წარსულის მქონე და მოკულაკო ელემენტები: ყოფ. მამასახლისი, ერთი საეკლესიო მსახური, რომელიც დღეს ანაფორაში დაიარება და სხვა. თემაღმასკომში იყო ხალხი, რომელნიც ყოველივე საზიზღროებაზე აწერდენ ხელს, თვით გლეხ ქალთა გაუპატიურებამდე. ეს ყმაწვილები ერთი ხელით გამოაცალხა პარტიიდან მწმენდავ კომისიამ, რომელიც აქ ჩამოვიდა ჯერ კიდევ სამი თუ ოთხი წლის წინათ.

მაგრამ, უნდა ითქვას, საქმეები არც ეხლა მიდის რიგზე. თემში გამეფებულია საშინელი კუთხური კინკლაობა. ყველა თავისკენ იწევს საქმით პუნქტს, სკოლები უპატრონო მდგომარეობაშია, გზებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. მთაში რომ კაცი წავა ურმით, მას ანდერძი დატოვებული უნდა ჰქონდეს, არავინ იცის თუ ის ცოცხალი დაბრუნდება.

პარტიაში ეხლაც არიან ისეთები, რომელნიც არ სარგებლობენ გლეხების თვალში სათანადო ნდობით.

აღმასკომის მუშაობაში ბევრი არაფერი ჩანს. ერთი წლის განმავლობაში აქ ორი თავმჯდომარე გამოიცვალა. დროა მაზრამ მოიცალოს მუხურისათვის: მიიღოს ზ[illegible]ბი პარტუჯრედის გაჯანსაღებაში და ღარიბ გლეხების შეკავშირებაში.

ნოხტელი ბიჭი.

რას ვაკეთებთ აგრონომიულ დარგში

(სანაკის მაზრა)

აგრონომიული მუშაობის გაფართოებისათვის სამაზრო აღმასკომს გადადგმული აქვს სათანადო ნაბიჯები. ბამბის თესვის და მისი დასათესი არეს 2.000 დესეტინამდე აყვანა—მიმდინარე წლის ამოცანაა. სამაზრო აგროდახმარების კომისია, რომელიც დაარსდა 18 თებერვალს—ხელმძღვანელობას უწევს, როგორც მებამბეობის განვითარებას ისე, საერთოდ აგრომუშაობის განვითარების საქმეს.

მაზრაში კულტურულ და ძვირფას მცენარეთა გასავრცელებლად მოეწყო ნოსირის სანერგე, რომელსაც 8 დესეტინა საუკეთესო მიწა აქვს; ეს სანერგე შემოკავებულ იქნა აკაციის მესრებით. გასულ წელს დაითესა 3 ფ. ციტრუსის თესლი, რომელიც უკვე ამოვიდა, ხუთი ფუთი ატამის, ორი ფუთი ტყემლის და სხვა ხეხილების თესლები.

შეძენილია დასარგავად მანდარინა, ლიმონი, ფორთოხალი და ათასი ძირი დამყნილი ვაზი. ხოლო 50.000 მეტრი ამერიკული ვაზის ლერწი დასამყნობად.

აგრონომიული განყოფილება დიდ ყურადღებას აქცევს უკანასკნელ დროში თამბაქოს პლანტაციის გაფართოებას და მეთამბაქოთა კავშირის დაარსებას.

რაიონებში მუშაობა ფართე ხასიათს იღებს. აბაშის რაიონში კეთდება საჩვენებელი და საცდელი მინდორი, რომლისთვის სამაზრო აღმასკომმა 374 მან. უკვე გადასდო. მარტვილის რაიონში 1½ დესეტინა მიწაზე დაწყებულია ხეხილის ბაღის გაშენება.

დაარსებულია სამეურნეო იარაღების გასაქირავებელი პუნქტები აბაშაში, ნოსირში და დიდიჭყონში.

მართალია, სას.-სამ. იარაღების მიწოდების საქმე გლეხებისადმი არ არის ჯერ კიდევ მოწესრიგებული—მაგრამ მიღებულია ზომები, რათა მაზრა უზრუნველყოფილ იქნეს გუთნებით, სამარგლავებით და სხვა.

გ. უჩანეიშვილი,

დალაქია თუ მეჯლანე?

(სურამის ჯანინსპექტორის საყურადღებოდ)

სოფელ ტეზერში აგერ ხუთი-ექვსი წელი არის ერთი დალაქი. ის ამასთანავე მეჯლანეობასაც ეწევა და ორივე საქმეს ერთად აკეთებს.

როცა გასაპარსი არავინ არის, ჯღანებს კერავს, ხოლო როცა „მუშტარი" მოვა, ადგება და დაუბანელი ხელებით პარსვას იწყებს. ეს დაუშვებელია. სადალაქოში საშინელი სიბინძურეა.

საჭიროა სურამის ჯანმრთელობის ინსპექტორმა მიაქციოს ამ უსუფთაობის ბუდეს ყურადღება.

ტეზრელი გიგო,

ტყეები მშრომელ გლეხებს

(წერილი სენაკის მაზრიდან)

სენაკის მაზრის საადგილ-მამულო განყ. და სატყეომ მიიღეს ზომები და დაიწყეს ტყეების გადაცემა გლეხობაზე.

უკვე გამოიყო ადგილობრივ მნიშვნელობის ტყე თეკლათის აგარაკიდან 1.200 დეს. სუჯუნის აგარაკიდან—330 დეს. ზანის აგარაკიდან—600 დეს.

მუშაობა გრძელდება და მიმდინარე წელს განზრახულია გადაცემა სრულიად დამთავრდეს.

გ. უჩანეიშვილი,

მიხედეთ სახალხო ქონებას

(თიანეთი, თბილ. მ.)

თიანეთის საზამთრო კლუბი არის მეტად ცუდ მდგომარეობაში. ავდრისაგან დალპა აივნის სახურავი, ჩამოიმტვრა კრამიტი, კავი, ლამფა და ფიცარი. შიგნით კედლის ლუმელები დანგრეულია, იატაკი ჩამტვრეულია, სკამები დანჯღრეულია.

ეხლა გადავავლოთ თვალი საზაფხულო თეატრის შენობას. არც აქ არის სანუგეშო სურათი. ეს თეატრი აშენდა 1922 წელში. როგორც ზამთრის, ისე ამ თეატრსაც არ ჰყავს გამგე. თეატრს არა აქვს საკეტავები, აკლია ფანჯრის მინები, აქაც დამტვრეულია სკამები და სხვა.

კიდევ უფრო უნუგეშო მდგომარეობაშია ქოხ-სამკითხველოს ბინა. წვიმა ისე ჩამოდის, როგორც საცერში. კედლები მთელ ზამთარში სოველია.

საჭიროა თიანეთის სახალხო სახლების მდგომარეობას ეხლა მაინც მიაქციოს ყურადღება ახლად არჩეულმა თიანეთის რაიაღმასკომმა და აჩქარებით შეუდგეს მათ შეკეთებას.

ზაქარია ბადურაშვილი.

ვინ მოაგვარებს ამ საქმეს?

(ს. მეჯვრისხევი, გორის მ.)

მეჯვრისხევის თემის მცხოვრებლები აქტიურ მონაწილეობას იღებენ საბჭოთა ხელისუფლების ყოველგვარ საქმიანობაში, გამონაკლისს შეადგენენ ის პირები, რომელნიც მეჯვრისხევის თემიდან წასული არიან და მუშაობენ წარმოება-დაწესებულებაში. მათ თავიანთ სოფლებში აქვთ „ნორმა" სახნავ-სათესი ადგილები, მოდიან ზაფხულობით, ამუშავებენ დაქირავებული ძალით, მოიწევენ ნაყოფს და გაუდგებიან ხოლმე ქალაქის გზას.

ამ ჟამათ მეჯვრისხევის თემში თითქმის ყველამ გადაიხადა სასოფლო-სამეურნეო გადასახადი, ამ წასულ პირებზე კი სამი წლის გადასახადი დღესაც ირიცხება. მიუხედავათ იმისა, რომ სარაიონო მილიციამ მათ თავიანთ მისამართზე გაუგზავნა გადასახადის ფურცლები, მაინც დღემდე არც ერთ მათგანს გადასახადი არ შემოუტანიათ. ამას გარდა, სოფლის მკვიდრი მცხოვრებლები, რომელნიც გამოდიან ბეგარაზე სოფლის საქმისათვის მაგ. ტირიფონის არხზე ცემენტის და სხვადასხვა მასალის მიტანაზე, პირნათლათ იხდიან მოვალეობას და „სეზონური მცხოვრებლები" კი ამ საქმეზე ყურსაც არ იბერტყავენ. ეს გარემოება გლეხებში უკმაყოფილებას იწვევს. შესაფერისმა ორგანოებმა უნდა მოაგვარონ ეს საქმე.

კოსი.

სასწავლებელია თუ...

(ლანირ-ჭაგანი)

ლანირის სკოლის გამგემ დიდი ხანია უკვე სასწავლებელი კარტის სათამაშო კლუბათ გახადა აქ ღამე გამართული ნარდის და კარტის თამაში. რასაკვირველია, სკოლის გამგესთან ერთად ზოგიერთი მასწავლებლებიც და გარეშე პირებიც იღებენ მონაწილეობას ამგვარ „გართობაში". განსაკუთრებით დაეჩვია სკოლაში „დროს ტარებას" მიკიტანი კოწია ოდილავაძე. სკოლის გამგე დიდი მადლობის ღირსია ასეთი „კარგი" მაგალითის მიცემის გამო მოწაფეებისათვის. ზარაქალა სტოლის გამგე შენგელია!

იქაური.

პასუხად მასწ. მესხს

(ხონი)

გაზ. „კომუნისტი"-ს 10 თებერვლის ნომერში მოთავსებულია მოქ. მესხის წერილი ლანირ-ქვიტირიდან, რომელშიაც ის მე დაუმსახურებელ შეურაცხყოფას მაყენებს.

მოქ. მესხი გამოცხადდა ჩემთან იმ დროს, როდესაც გარს მეხვია ავადმყოფები და მთხოვა სახლში წავყოლოდი. რა თქმა უნდა მასთან წასვლა და ავადმყოფების მიტოვება იმავე წუთში მე არ შემეძლო და ალბათ ამან გააბრაზა ის. ბრაზმორეული მესხი სწერს, თითქოს მე პირველ ხარისხოვან ეტლის მოყვანამდე ფეხსაც არ ვსძრავ სახლიდან. ეს არ არის მართალი. მართალია, ცხენით წასვლა ავადმყოფთან მე არ ძალმიძს, რადგან ცხენზე ჯდომა არ შემიძლია, მაგრამ ავადმყოფის სანახავათ მე ძალიან ხშირად ფეხით წავსულვარ, ან ჩემი ფულით მიქირავებია ეტლი. ძალიან ხშირად ფულიც არ გადამიხდევინებია, როდესაც ჩემთან ღარიბი ავადმყოფი ან მისი პატრონი მოსულა.

ექიმი ვ. სანაძე.

წერილებიდან

ჭიათურა

— მეტი სიფხიზლეა საჭირო. ამ ბოლო ხანს ჭიათურაში მეტად გახშირდა კერძო სავაჭროებში კონტრაბანდით ვაჭრობა. ჰყიდიან მოურიდებლად შევიოტს, ჩულქებს, ლაქიან ტყავს და სხვა. მილიცია, თუ ქუჩაში არ წააწყდა ვისმეს, ისე არავითარ ზომებს არ ღებულობს. საჭიროა მეტი სიფრთხილე.

მცოდნე.

გლეხკოვის ხმამ გასჭრა

გაზ. „კომუნისტი"-ს 9 იანვრის ნომერში მოთავსებულ წერილის შესახებ აღმ. საქართველოს პროკურატურა გაცნობებთ, რომ მუხრანის თემაღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე დუმბაძე და საქმის მწარმოებელი სოფიო შარიფაშვილი მიცემული არიან პასუხისგებაში, მათი საქმე დანიშნულია განსახილველად მუხრანის სესიაში ა. წ. 8 მარტს.

პროკ. მოადგილე ტატიშვილი.

საბჭოთა არჩევნები

რუხაძის თავხედობას ბოლო მოეღო

(ქოლობნის თემი, სენაკის მაზრა)

მოახლოვდა თუ არა საბჭოს არჩევნები, და მისთვის სათანადო მზადება, თემაღმასკომის თავმჯდომარე რუხაძემ შექმნა ერთი პატარა, მაგრამ გავლენიანი ჯგუფი, რომელსაც დაევალა სათანადო აგიტაცია-პროპაგანდის გაწევა რუხაძის სასარგებლოთ და მასალების შეკრება იმ პირებისა, რომლებიც რუხაძის წინააღმდეგი იყვნენ. მოახლოვდა არჩევნებიც.

მიუხედავათ იმისა, რომ ძლიერ ცუდი ამინდი იყო, კრებას თემის მოსახლეობის უმრავლესობა დაესწრო. ყველა მოუთმენლად ელოდა, თუ რა რიგი იქნება აღმასკომის თ-რის რუხაძის მოხსენება, რომელმაც მთელი წლის განმავლობაში ერთი ხანი ღვინის სმაში და მაუზრის ტრიალში გაატარა, ხოლო მას შემდეგ, რაც გლეხკორ „ელვა"-მ რუხაძის ვაჟკაცობა გაზეთ „კომუნისტი"-ს ფურცლებზე აღნიშნა, რუხაძემ დაანება ღვინის სმას თავი და ყველა მთხოვნელს და არა მთხოვნელთ ყვირილით უმასპინძლდებოდა.

თემის საბჭოთა საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ამხ. ე. ფრანგიშვილი ხსნის კრებას და სიტყვას მოხსენებისათვის აძლევს რუხაძეს. რუხაძე ატყობდა თავის თავზე მოახლოვებულ უბედურებას და ხალხის გული რომ ცოტათ მაინც მოედუნებია თავის ორ წუთიან მოხსენებაში აღნიშნა: „ყოველ დღე გაზეთში ვიყავ გაკმული და ვერაფრის გაკეთება ვერ მოვახერხეო"

გლეხობის მოთმინებლობით თანამოხსენებით აღმასკომის მუშაობის შესახებ გამოვიდა აღ-მის წევრი ამხ. გ. დენიაგა-მიქაძე.

აი რა გამოირკვა ამხ. დენიაგას თანამოხსენებიდან: რუხაძეს საბჭოს დაუკითხავათ და ნებადაურთველათ უწარმოებია ფულის გასესხება კერძო მოქალაქეებზე.

რუხაძის გაუკეთებინებია სკოლის პარტები და სხვა საჭირო საგნები, რომლებიც დამზადებულია ცუდი მასალისაგან და მისი ღირებულება არ აღემატება 120 მანეთს, რუხაძეს კი გადაუხდია ორასი მანეთი. მაზრიდან თუ რაიონიდან მოვლინებულ ამხანაგებს რუხაძე დუქანში და თავის ოჯახში უმასპინძლდებოდა სახალხო ქონებიდან. მიუთვისებია ორმოცდახუთი მანეთი და სხვა ასეთი მრავალი.

მომხსენებელ რუხაძეს მისცეს მრავალი შეკითხვები, რაზედაც რუხაძემ დაბნეული პასუხი მისცა. გლეხებმა მოითხოვეს, რათა რუხაძეს კამათის დროს დაეტოვებინა დარბაზი, რის შემდეგ სრული თავისუფლება მისცემოდა დამსწრე გლეხობას კრიტიკის ქარცეცხლში გაეტარებიათ რუხაძის მოღვაწეობა.

მრავალ გლეხებმა წარმოსთქვეს სიტყვა, რომლებიც აღნიშნავდნენ რუხაძის უმოქმედობას, ლანძღვა-გინებით მიმართვას გლეხობისადმი და სხვა უარყოფით მხარეებს. დაბოლოს კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, სადაც რუხაძის მოღვაწეობა ჩაითვალა „არა დამაკმაყოფილებლათ და ძლიერ სუსტათ". კრების ხელმძღვანელებმა გამოუცხადეს დამსწრე საზოგადოებას, რომ არჩევნები მოხდება ერთი კვირის შემდეგ. რუხაძესაც მიეცა საშუალება, რომ თავის სასარგებლოთ ეწარმოებია არალეგალური მუშაობა, ერთ ამხანაგს კიდეც აუკრეს ჭიშკარზე განცხადება, რომ არ გაებედა არჩევნების დროს რუხაძის წინააღმდეგ გამოსვლა, მაგრამ ყველაფერმა ამაოთ ჩაიარა.

დადგა არჩევნების დღეც. ძველი თავმჯდომარე მშრალზე დარჩა. კრებამ მისი კანდიდატურა უარჰყო და მცირე შეცვლით მიიღო კომპარტიის და ადგილობრივ აქტივის მიერ წამოყენებული სია საბჭოს წევრებისა.

გლეხობა მოითხოვს აგრეთვე სასტიკი გამოძიება მოხდეს რუხაძის მოქმედების გარშემო.

ტანჯული.

დავალებანი ჩვენს დეპუტატებს

(თამაკონის თ., სენაკის მაზ.)

თამაკონის თემში საბჭოს არჩევნები მოხდა 23 და 24 თებერვალს. არჩევნების ნორმალურ მსვლელობას ხელი შეუშალა ცუდმა ამინდებმა, რის გამო არჩევნებზე გამოცხადდა 2074 ამომრჩეველიდან 674. ამათგან მამაკაცები 561, დედაკაცები 113. საარჩევნო უფლებაალკვეთილი იყო 13 კაცი.

საბჭოს წევრებად აირჩიეს 31 კაცი. მათ შორის 1 ქალია. საბჭოს წევრების პოლიტიკური მიმართულება ასეთია: 11 კომუნ., 20 უპარტიო. პროფესიის მიხედვით: მიწის მუშა 16, მასწავლებელი 9, სხვა პროფესიის 6. არჩევნების შემდეგ შედგა ახლად არჩეულ საბჭოს კრებამ, რომელზედაც მოხდა აღმასკომის და საბჭოს თავმჯდომარის არჩევნები.

ახალ საბჭოს დაევალა საავადმყოფოსთვის შესაფერი სახლის შეძენა, ექიმის დანიშვნაზე ზრუნვა, მდ. ტეხურზე ხიდის გაკეთება, პარკის ფირდულის გაშენება თემის ცენტრში, აფთიაქის დაარსება, ახალი გზების გაყვანა სოფ. თარგამელიდან—აბედათის საზღვრამდე და ს. თამაკონიდან—ნახუნოვის საზღვრამდე. ყველა ძველი გზების შეკეთება თემის ფარგლებში, მდ. ტეხურზე დამბების გაკეთება თამაკონის სამეურნეო სკოლის ბაღის დასაცავად, თემში შემავალ ყველა სკოლების შენობების შეკეთება, მდ. ჩოუშიაზე და ტკვარჩელზე ხის ბოგირების გაკეთება და სხვა.

ვუსურვებთ ახალ საბჭოს საქმიან მუშაობას და დავალებების შესრულებას.

საბჭოს წევრი.

საბჭოს არჩევნები ძველ აბაშის თემში

(სენაკის მაზრა)

არც ერთ ხელისუფლების დროს, არც ერთ არჩევნებზე არ დასწრებია მშრომელი მასსა კრებაზედ იმდენი, რამდენიც 4 მარტის თემსაბჭოს არჩევნებზე დაესწრო.

კრებას დაესწრო ამომრჩეველთა 75 პროცენტი. აღსანიშნავია 70—80 წლის მოხუც ქალის და კაცის გამოცხადება. საბჭოში აირჩიეს 26 დეპუტატი, მათგან 7 კომუნისტი, 1 კომკავშირელი და სხვა უპარტიო. დეპუტატებში ორი ქალია.

ამავე დღეს მოხდა საბჭოს 1-ლი სხდომა, სადაც არჩეულ იქნა აღმასკომი.

პერო.

რას მოველით ახალ საბჭოსაგან

(სუფსის თემი, გურია)

4 მარტს, სუფსის თემში მოხდა საბჭოების ხელახალი გადარჩევა.

კრებას დაესწრო ამრჩეველთა 64 პროცენტი. ხელი შეგვიწყო კარგმა ამინდმაც. საბჭოში აირჩიეს 27 კომუნისტი, 5 კან. და 24 კომკავშირელი. მათ შორის 6 ქალია.

ახალ საბჭოს კრებამ დაავალა: კომუნალური წისქვილის მოწყობა, წყალის გამოყვანა, სახალხო სახლის დამთავრება, ორ სოფელში სამკითხველოს აგება, სკოლ. შენობის წამოწყება, გზების და ჭაობის გაშრობა, მდინარე სუფსის პირზე დამბის გაკეთება, რომელიც წყალდიდობის დროს აწიოკებს მთელ თემს და სხვა.

არჩევნების შემდეგ გაიხსნა საბჭოს პირველი სხდომა. პრეზიდიუმში აირჩიეს 2 კომუნისტი და ერთი უპარტიო, აღმასკომის თავმჯდომარეთ კომუნისტი. სამაზრო ყრილობის დელეგატებად 4 კომუნისტი და 2 უპარტიო.

აპ. იმნაიშვილი.

სად ჩატარდა არჩევნები

თელავის მაზრა

თელავი, 9 მარტი. თელავის მაზრაში საბჭოთა არჩევნები დამთავრდა. სულ არჩეულია 1,026 წევრი, აქედან 114 თელავის ქალაქის საბჭოში.

ამორჩეულებს შორის: 118 კომუნისტია, 70—პარტიის კანდიდატი, 85—კომკავშირის წევრი, დანარჩენი—უპარტიო. არჩეულია 122 ქალი.

სოციალური მდგომარეობის მიხედვით: 725—გლეხი, 39—მუშა, 26—წითელარმიელი და 246—მოსამსახურე.

ეროვნების მიხედვით: 846—ქართველი, 61—სომეხი და დანარჩენი ეროვნებიდან—119.

განათლების ცენზის მიხედვით: უმაღლესი განათლებით—29, საშუალო განათ.—93, დაბალი განათლებით—93, შინაური განათლებით—533, წერა-კითხვის უცოდინარი—278. წერა-კითხვის უცოდინართა დიდი პროცენტი შესდგა მიყრუებული რაიონებიდან და მთაგორიან ადგილების მოსახლეობიდან.

საბჭოს წევრებს შორის დიდ ნაწილს შეადგენს მშრომელი ინტელიგენცია: აგრონომები, მასწავლებლები და სხვ.

ცხინვალი, 9 მარტი. მთელს სამხრეთ ოსეთში დამთავრდა საბჭოთა არჩევნები, რომელიც ცოცხლად იყო ჩატარებული.

არჩეულია სულ 910 წევრი, აქედან—264 კომუნისტი, 85—კომკავშირის წევრი, დანარჩენი—უპარტიო. არჩეულ იქნა—82 ქალი.

არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველა 66-დე პროცენტმა. ყველაზე მეტი (92%) გამოცხადდა ქემულეთის რაიონში, ყველაზე ნაკლები (36%)—მონასტრის რაიონში.

ოზურგეთის მაზრა

ზემო-სურების თემ-საბჭოში არჩეულ იქნა 17 წევრი. მათ შორის 9 კომუნისტი, 3 კომკავშირელი, 5 უპარტიო. აქედან 2 ქალია.

აჩანის თემსაბჭოში აირჩიეს 37 წევრი. მათ შორის 18 კომუნისტი, 2 კომკავშირელი, 17 უპარტიო. არჩეულთა შორის 7 ქალია.

სამხრეთ-ოსეთში

ცხინვალი, 8 მარტი. სამხრეთ-ოსეთის 9 რაიონში უკვე დამთავრდა საბჭოთა არჩევნები.

არჩეულია 540 წევრი აქედან პარტიული და კომკავშირელი—181. დანარჩენი უპარტიონი; ქალები—52.

არჩევნები უფრო ცხოველად ჩატარდა, ვიდრე შარშან, გამოცხადდა ამომრჩევლების 60 პროც. ემჩნევა ქალების აქტიური მონაწილეობა, დანარჩენ ხუთ რაიონში გრძელდება არჩევნები.

რაჭის მაზრა

ხვანჭკარის თემ-საბჭოში აირჩიეს 31 წევრი. მათ შორის 7 კომუნისტი, 1 კომკავშირელი, 2 ქალი, 21 უპარტიო.

ქუთაისის მაზრა

ქუთაისი, 8 მარტი. გოდოგანის, საპაიჭაოს და ეწერის თემებში დამთავრდა საბჭოთა არჩევნები.

მონაწილეობას იღებდა ამომრჩეველთა 45—60 პროც. არჩეულია 80 წევრი, რომელთაგან 7 ქალია.

ზუგდიდის მაზრა

ლიის თემსაბჭოში აირჩიეს 19 წევრი. მათ შორის 6 კომუნისტი, 1 კომკავშირელი, 12 უპარტიო. აქედან 1 ქალია.

ნოჯიხევის თემში აირჩიეს 94 წევრი. მათ შორის 4 კომუნისტი, 1 კომკავშირელი, 10 უპარტიო. აქედან ერთი ქალია.

ხიბის თემ-საბჭოში აირჩიეს 15 წევრი. მათ შორის 4 კომუნისტი, 1 კომკავშირელი, 10 უპარტიო. აქედან 1 ქალია.

კირცხის თემ-საბჭოში აირჩიეს 29 წევრი. მათ შორის 5 კომუნისტი, 2 კომკავშირელი, 23 უპარტიო. მათ შორის 6 ქალია.

ჯვარის თემ-საბჭოში არჩეულ იქნა 27 წევრი. მათ შორის 3 კომუნისტი, 2 კომკავშირელი, 22 უპარტიო. აქედან 3 ქალია.

აბასთუმანის თემ-საბჭოში გაყვანილი იქნა 32 წევრი. მათ შორის 9 კომუნისტი, 3 კომკავშირელი, 20 უპარტიო, აქედან 1 ქალია.

რიყეს თემ-საბჭოში აირჩიეს 7 კომუნისტი, 6 უპარტიო. სულ 13 წევრი.

ჯალეჩიანის თემ-საბჭოში აირჩიეს 35 წევრი. მათ შორის 8 კომუნისტი, 1 კომკავშირელი, 26 უპარტიო. არჩეულთა შორის 5 ქალია.

კახათის თემ-საბჭოში აირჩიეს 32 წევრი. მათ შორის 3 კომუნისტი, 2 კომკავშირელი, 27 უპარტიო. აქედან 3 ქალია.

აღნიშნულ თემების საბჭოებში საშუალოთ მონაწილეობა მიიღო ამრჩეველთა 54 პროცენტმა.

ახალქალაქის მაზრა

ოკამის თემ-საბჭოში არჩეულ იქნა 66 წევრი. მათ შორის 7 კომუნისტი, 68 უპარტიო. აქედან 1 ქალია.

ოკანის თემსაბჭოში არჩეულ იქნა 66 წევრი. მათ შორის 8 კომუნისტი, 3 კომკავშირელი. 55 უპარტიო. აქედან 1 ქალია.

დემურ-ბულახის თემ-საბჭოში აირჩიეს 36 წევრი. მათ შორის 2 კომუნისტია.

ბორჩალოს მაზრა

კამარლინის თემ-საბჭოში აირჩიეს 40 წევრი. მათ შორის 2 კომ., 2 კომკავშ. და 36 უპარტიო.

კულიკამის თემში არჩეულ იქნა 84 წევრი; მათ შორის 9 კომუნისტი, 6 კომკავშირელი და 69 უპარტიო. არჩეულთა შორის 11 ქალია.

ბაშკიჩეთის თემში აირჩიეს 12 წევრი. მათ შორის 2 კ. პ. კანდიდატი. დანარჩენი უპარტიო.

ეკონომიური ცხოვრება

ტრანსპორტის მდგომარეობა იანვარში

(საქ. საგეგმო კომისიის კონიუნქტურულ მიმოხილვიდან)

რკინის გზა

რკინის გზების ტვირთ-ბრუნვის ზრდა რომელსაც ჰქონდა ადგილი წინა თვეში (5,3 პროც.) იანვრის განმავლობაში შემცირებით იცვლება (8,3 პროცენტით).

იანვრის განმავლობაში დაიტვირთა ხაზზე—10.045 რონოდა; გაიგზავნა მეზობელ რესპუბლიკებში—4.242 რონოდა; მიღებულია მეზობელ რესპუბ.—4.595 რონ., სულ—18.882 რონ.; დეკემბერში დაიტვირთა—20.597 რონ. ე. ი. 8,3 პროცენტით მეტი.

ტვირთ-ბრუნვის შემცირება საერთოა, როგორც ადგილობრივი დატვირთვისათვის, ისე მეზობელ რესპუბლიკებში საქონლის გაგზავნა-მიღებისათვის, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პირველი უფრო ინტენსიურად მცირდება (10,6 პროცენტით) სეზონური და კონიუნქტურული პირობების გამო.

ადგილობრივი დატვირთვის შემცირება, რომელიც წარსული წლის იანვართან შედარებით 66, 1 პროცენტით არის გადიდებული, საყოველთაო ყველა მთავარ საგნებისათვის, გარდა პურეულისა (36,7 პროც.)

საქართველოს რ/გ ხაზზე დაიტვირთა: პურეული—250 რონოდა, ხილი—95 რონ.; ღვინო—468 რონ.; ხე-ტყის მასალა—371 რონ.; დან. საამშენებლო მასალა—703 რონოდა, შავი ქვა—2.583 რონ.; ქვანახშირი—464 რონ.; შეშა—1.107 რონოდა.

ყველაზე ძლიერ შემცირებულია ხილის დატვირთვა (53 პროცენტით), შეშის (30,5 პროცენტით), შავი-ქვის (21,2 პროცენტით) და ქვანახშირის (12,6 პროცენტით).

ზემოაღნიშნულის მიხედვით შემცირებულია რ/გზების საერთო შემოსავალიც (41,6 პროცენტით).

მოქმედებაში მყოფ რონოდების საერთო გარბენა დღე-ღამეში უდრის 256,8 ათ. ვერსს; იანვართან შედარებით შემცირებულია 4 პროცენტით; მათშორის შემცირებულია ქვაბების გარბენა 5,7 პროცენტით. მატულობს დანარჩენი რონოდების გარბენა 14,4 პროცენტით.

პირველ თებერვლისათვის მუშაობაში მყოფი სად ორთქმავალთა რიცხვი უდრიდა—200, ხოლო 15—ვიწრო ლიანდაგისა.

ნავთსადგურები

ბათომის, ფოთის და სოხუმის ნავთსადგურების საერთო ტვირთ-ბრუნვა უდრის 8,6 მილიონ ფუთს. დეკემბერთან შედარებით შემცირებულია 10,7 პროცენტით 1925 წ. იანვართან შედარებით მომატებულია 14,7 პროც, ხოლო 1924 წ. იანვართან შედარებით—75,6 პროცენტით.

საანგარიშო თვეში გაიგზავნა—7.667,2 ათ. ფუთი. მიღებულია—980,1 ათ. ფუთი; სულ—8.647,3 ათ. ფ.

ტვირთ-ბრუნვის შემცირება გამოწვეულია საზღვარგარეთ გაგზავნის დაკლების გამო (15,2 პროც.); წინააღმდეგ მიღების გადიდებისა და კაბოტაჟური ტვირთ-ზიდვის საერთო გაძლიერებისა.

საზღვარ-გარეთ გატანის შემცირება გამოწვეულია უმთავრესად ნავთეულის გაგზავნის დაკლებით.

საურმე გზები

საურმე გზების ტვირთ-ბრუნვა, რომელიც ხუთი მთავარ საგნისათვის გამუდმებით მცირდებოდა უკანასკნელ სამი თვის განმავლობაში, იანვარშიც კლებულობს (35,2 პროცენტით).

რძის ნაწარმოების მიღება, საანგარიშო თვეში, გაიზარდა 16,7 პროცენტით. შეშის და ხილის შემოტანა უცვლელი რჩება დეკემბერთან შედარებით. ყველაზე მნიშვნელოვანად შემცირდა პურეულის და ნახშირის მიღება (29,8 და 26,9 პროცენტით). წ. წ. იანვართან შედარებით შემცირებულია პურეულის, ცხოველთა და ნახშირის მიღება, ხოლო გაიზარდა ბოსტნეულის (11,3 პროც.); ღვინის (11,8 პროც.); ხილეულის (13,4 პროც.) და შეშის (39,7 პროც.) მიღება.

საერთოდ შარშანდელთან შედარებით ტვირთ-ბრუნვას ემჩნევა ზრდა, როგორც საურმე და რკინის გზით, ისე საზღვაო მიმოსვლაში. დეკემბერთან შედარებით კი შემცირებულია სეზონური და კონიუნქტურული მიზეზებით.

ბრძოლა კონტრაბანდასთან

ამხ. ძერჟინსკის უკანასკნელი ბრძანების გამო კონტრაბანდასთან ბრძოლის გაძლიერების შესახებ, ჩვენს თანამშრომელს შემდეგი ცნობები მიაწოდეს ა.-კ. საბაჟოების სამმართველოში:

კონტრაბანდის საქონლის შემოზიდვის გაძლიერებას ხელს უწყობს საქონლის ნაკლებობა და აგრეთვე ის გარემოება, რომ კონტრაბანდი საქონელი უფრო იაფათ იყიდება.

უმთავრესად ამიერ-კავკასიაში კონტრაბანდით შემოაქვთ: მანუფაქტურა, ტყავეულობა, თამბაქო, ტრიკოტაჟი და მედიკამენტები.

კონტრაბანდით საქონლის გაზიდვას თითქმის არ არქვს ადგილი. იშვიათ შემთხვევაში გააქვთ საბჭოთა ვალიუტა.

კონტრაბანდის დაკავების შემთხვევა განსაკუთრებით ხშირია ბათომში, სადაც მას სამგზავრო მატარებლებითაც კი ეზიდებიან დიდი რაოდენობით. კონტრაბანდის შემოტანას სანაპირო მოსახლეობაც ხელს უწყობს.

სამი თვის განმავლობაში ამიერ-კავკასიის ფარგლებში დაკავებულია 300.000 მანეთის კონტრაბანდა.

სათანადო ორგანოები ენერგიულ ზომებს ღებულობენ კონტრაბანდის შემოტანის წინააღმდეგ.

სამკურნალო მცენარეების გავრცელება

საქართველოს მ. გ. ინსპექციის სახალხო კომისარიატმა წარუდგინა საქ. სახალხო კომისართა საბჭოს განსახილველად საკითხი სამკურნალო მცენარეთა გავრცელებისა და შეგროვების შესახებ. საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციამ შესაფერ სპეციალისტების მონაწილეობით განიხილა ხსენებული საკითხი და საჭიროდ სცნო ამ საქმის მოწესრიგების მიზნით მთელ რიგ ღონისძიებათა განხორციელება და მათ შორის, როგორც უმთავრესი, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან სპეციალურ ორგანოს შექმნა სამკურნალო მცენარეთა კულტურისა, მოგროვებისა და გადამუშავების მოსაწყობად.

მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის აზრით სამკურნალო მცენარეთა გასავრცელებლად საჭიროა წინასწარ გამოკვლევითი მუშაობის წარმოება, როგორც მიწათმოქმედების კომისარიატის საცდელ დაწესებულებებში (თბილისის ბოტ. ბაღი, აჯამეთის, ოზურგეთის, ყარაიას საცდელი სადგურები და სხვ.), არეთვე სახელმწიფო უნივერსიტეტის სპეციალურ სამკურნალო მცენარეთა საცდელ სადგურზე. საგანგებო აპარატის შექმნა და შენახვა არ არის საჭირო, რადგან ეს მძიმე ტვირთად დააწვება შეგროვილი მცენარეულობის თვითღირებულებას, რაც გააძნელებს მის გასაღებას და მეორეს მხრივ დასცემს გლეხის შრომის ხელფასს. ამასთანავე მიწადმოქმ. სახ. კომისარიატი აღიარებს, რომ სამკურნალო მცენარეთა მოგროვება-გაშრობისათვის საჭიროა შესაფერ ცნობების გავრცელება ხალხში.

ამის განსახორციელებლად მიწსახკომს შესაძლებლად მიაჩნია თავის არსებულ შტატიდან გამოჰყოს ერთი თანამდებობა და მიიწვიოს სამკურნალო მცენარეთა სპეციალისტი ან ინსტრუქტორი. მცენარეთა სამკურნალო ღირსების გამოკვლევა შეუძლია აწარმოოს სახ. უნივერსიტეტის ფარმაცია-ფარმაკოლოგიის კათედრამ. ქარხნული დამუშავება კომისარიატის აზრით შეუძლია აწარმოოს ს. მ. უ. საბჭომ.

ყველა ზემოხსენებული მოსაზრებათა გამო მიწათმოქმედების სახ. კომისარიატს შეუძლებლად მიაჩნია განსაკუთრებულ ორგანოს შექმნა კომისარიატთან.

საგეგმო კომისიის აზრით გამოკვლევითი მუშაობის წარმოება შეუძლიათ ამ არსებულ საცდელ სამეცნიერო დაწესებულებებს, რომელნიც აღნიშნულია მიწ. სახ. კომისარიატის მიერ. არსებულ მასალების მიხედვით ჯერ არ მოიპოვება საკმარისი დამარწმუნებელი ცნობები საქართველოში გავრცელებულ სამკურნალო მცენარეების მტკიცე მოთხოვნილების და ხელსაყრელ ფასების არსებობის შესახებ, პირიქით სრულიად საწინააღმდეგო მოვლენას აქვს ადგილი.

საგეგმო კომისიის აზრით ამ საქმის კომერციული და საორგანიზაციო მხარე უნდა მოაწესრიგოს კოოპერაციის არსებულმა ქსელმა და ტეხნიკური დახმარება გაუწიოს გლეხობას და კოოპერატივს მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის სპეციალისტმა. გარდა ამისა, საგეგმო კომისია არ სცნობს საჭიროდ, მოაწყოს ქარხნული გადამუშავება მცენარეულობისა. სახალხო მ. უ. საბჭომ, როგორც ამას ფიქრობს მიწ. მოქ. სახ. კომისარიატი, ამ საქმის მოწესრიგება საგეგმო კომისიის აზრით, უნდა დაევალოს „სახმედვაჭრობას", რომელსაც შეუძლია გადაიქცეს საქართველოს სამკურნალო მცენარეთა დამზადება-გადამუშავების და რეალიზაციის მძლავრ ცენტრად, რისთვისაც საჭირო იქნება მისთვის კრედიტის მიცემა.

საქართველოს ეკონომიურმა საბჭომ ა. წ. თებერვლის სხდომაზე განიხილა ხსენებული საკითხი და დაადგინა:

1. სამკურნალო მცენარეთა კულტურის გავრცელებისა, მცენარეთა დამზადებისა და ადგილობრივ გადამუშავების საქმე მეტად მნიშვნელოვან საკითხად იქნეს ცნობილი.
2. დაევალოს საცდელ დაწესებულებათ მიმდინარე წელში დაიწყონ მუშაობა სამკურნალო მცენარეთა კულტურის გავრცელებისა და მათ სამკურნალო ღირსების შესწავლისათვის იმ თანხებით, რომელიც უკვე მათ განკარგულებაში გაღებულია. მომავალ საბიუჯეტო წელში ამ საქმისათვის საჭირო ხარჯები გათვალისწინებულ იქნეს სათანადო ხარჯთაღრიცხვაში სპეციალური კრედიტის სახით.
3. სამკურნალო მცენარეთა კულტურის გავრცელებისა, მცენარეთა დამზადებისა და გადამუშავებისათვის მიწათმოქმედების სახ. კომისარიატთან სპეციალურ ორგანოს მოწყობა ზედმეტად იქნეს ცნობილი.
4. წინადადება მიეცეს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს უკვე დამტკიცებულ შტატის ფარგლებში, მოიწვიოს სამკურნალო მცენარეთა საქმის ერთი სპეციალისტი, რომელსაც დაევალოს მოსახლეობის შორის ტეხნიკური ცნობების გავრცელება და საერთოდ ამ საქმის მოწესრიგება.
5. დაევალოს მომქმედ კოოპერატიულ ორგანიზაციებს მოაწყონ სამკურნალო მცენარეთა დამზადება-გაშრობის საქმე, იქ სადაც ამისათვის ხელსაყრელი პირობები იქნება.
6. დაევალოს „სახმედვაჭრობას" განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს საქართველოში არსებულ სამკურნალო მცენარეთა დამზადება-დამუშავების საქმეს.

ქაღალდის ნაკლებობა და კერძო ვაჭრობა

ქაღალდის ნაკლებობის გამო გარდა სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციებისა ქაღალდის ტრესტი ქაღალდს არავის აძლევს. კერძო პირებზე ქაღალდის გაყიდვა სრულიად მოსპობილია.

შექმნილ მდგომარეობიდან გამოსავალის მოსანახავად თბილისის ბირჟის სამრეწველო სექციაში გაირჩა ეს საკითხი. ქაღალდის ტრესტის თბილისის განყოფილების წარმომადგენელმა ამხ ლევიტასმა განუმარტა რა სექციას ქაღალდის ნაკლებობის მიზეზები დასძინა, რომ, სხვათა შორის, ამ ნაკლებობას იწვევს ქაღალდის იმპორტის უქონლობა.

მომხსენებელმა სთქვა, რომ ასეთ პირობებში ქაღალდის გაცემა კერძო ვაჭრებზე შეუძლებელია.

თავის მხრივ კერძო ვაჭრების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ თუ ტრესტი მათ მისცემს ქაღალდის განსაზღვრულ რაოდენობას, ისინი მას გაჰყიდიან შ/ვაჭრობის კომისარიატის მიერ დაწესებულ ფასებში.

ამ განცხადების თანახმად სექციამ სთხოვა ქაღალდის ტრესტს, კერძო ვაჭრებს ყოველთვიურად აძლიოს 100 ფუთამდე ქაღალდი იმ პირობით, თუ უკანასკნელები მას არ გაჰყიდიან ნორმალურ ფასებზე ზევით.

ჯაგარის გატანა უცხოეთში

ამ უკანასკნელ დროს ა/კ. ვაჭრობის საპაიო ამხანაგობამ დიდი მუშაობა გასწია ჯაგარის გასატანად. უცხოეთის ბაზრებზე. თებერვლის უკანასკნელ კვირაში ლონდონში გაიყიდა თბილისში არსებულ ა/კ. ჯაგარის ფაბრიკის მიერ მთელი თვის განმავლობაში დამუშავებული ჯაგარი.

უნდა ითქვას, რომ უცხოეთში პირველად მოიპოვა ბაზარი ამიერ-კავკასიის ჯაგარმა.

ამიერ-კავკასიის, უმთავრესად, საქართველოს ჯაგარს, ამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ამუშავებდენ ადგილობრივ ეგრეთ წოდებული ჩინური წესით. ასეთი წესით დამუშავებული ჯაგარი უკვე დიდი ხანია იგზავნება საზღვარ-გარეთ.

ამ ბოლო ხანებამდე ამიერ-კავკასიის ჯაგარს ნაკლებად იცნობდენ ლონდონის ბაზარზე. ზოგიერთები აღნიშნავდენ, რომ ჯაგარს გასავალი არ ექნებოდა უცხოეთის ბაზარზე. მაგრამ ჯერ კიდევ შარშან ინგლისში გაიყიდა ამიერ-კავკასიიდან გაგზავნილ ჯაგარის 50 პროცენტი. ეს გასაღების მაქსიმალური პროცენტია, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ლონდონის ბაზარზე უკვე დიდი მა-

პროფკავშირები

პროფ-კურსანტების მდგომარეობა

საქართველოს პროფკავშირთა საბჭომ გახსნა კურსები პროფ. მუშაკების მოსამზადებლათ. ამ კურსებს დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი პროფ. კავშირებისათვის. პროფკურსების მსმენელების უმრავლესობას შეადგენს აქტივი იმ მუშებისა, რომლებიც კურსებზე შემოსვლამდის მუშაობდენ ფაბქარხკომებში, ადგილკომებში, სამაზრო განყოფილებებში და კავშირის ც/გამგეობებში. არიან კურსებზე აგრეთვე დამზღვევ სალაროს მომუშავეებიც, რომლებსაც აქვთ სათანადო სტაჟი დამზღვევ სალაროში მუშაობისა.

მეცადინეობა კურსებზე დაიწყო წარსული წლის 7 დეკემბერს საქ. პროფ. კავშ. საბჭოს შენობაში. მთავარი, რაც უნდა შეისწავლონ პროფ.-კურსანტებმა, პოლიტიკური ცოდნის საგნებია და შემდეგ წმინდა პროფესიონალური. კურსების დამთავრების შემდეგ ერთი თვე უნდა გაატარონ პრაქტიკაზე. მართალია ხუთი თვის განმავლობაში არ შეიძლება კაცმა დეტალურად შეისწავლოს მთელი ისტორია მუშათა მოძრაობისა, მაგრამ მას (კურსანტს) საშუალება ეძლევა ზემოაღნიშნულ დროის განმავლობაში გაეცნოს მუშათა მოძრაობის იმ მთავარ მომენტებს, რომლებიც ახასიათებენ მუშათა მოძრაობას როგორც საბჭოთა საკავშირო რესპუბლიკებში, ისე დასავლეთ ევროპაშიაც. საეჭვო არ არის, რომ ჩვენი კურსანტები კურსების დამთავრების შემდეგ შესძლებენ წარმატებით ამა თუ იმ დარგში მუშაობას.

ეხლა გადავავლოთ თვალი იმას, თუ როგორ მიმდინარეობს მეცადინეობა: კურსებს განაგებს ამხ. პაისტეცკი—და უნდა აღინიშნოს, რომ იშვიათია ასეთი ახალ-დაწყებული საქმის ასე შესანიშნავად ჩამოყალიბება, როგორიც არის ზემოაღნიშნული კურსები. მეცადინეობა სწარმოებს დილის 9 საათიდან და გრძელდება დღის 2 საათამდე. ლექტორები დიდ მუყაითობას იჩენენ და დანიშნულ დროზე ცხადდებიან.—თვითეულ ლექტორს აქვს მიცემული განსაზღვრული საათები და იმ საათებში ამთავრებენ თავის საგნებს. მსმენელებიც შეძლებისდაგვარად ითვისებენ ყველა საგანს, თუმცა კურსების გახსნის პირველ ხანებში ზოგიერთ ამხანაგებს ეძნელებოდათ საგნების შეთვისება, მაგრამ ეს იყო გამოწვეული იმით, რომ ნაწილს ამხანაგებისას არ ჰქონდათ კლასიკური ცოდნა. დროთა განმავლობაში კი თანდათან შეითვისეს იმათაც საგნები.

სამოსწავლო წიგნების შეძენა პირველ ხანებში მოიკოჭლებდა, ვინაიდან ქართულ ენაზე ნაწილი სახელმძღვანელოსი არ იშოვებოდა. პროფ. კავ. საბჭოს კულტ-განყოფილების დახმარებით და ხელმძღვანელთა მეცადინეობით, შეძენილ იქნა ყველა საჭირო წიგნები. კურსანტები სახელმძღვანელო წიგნებს ღებულობდენ საქ. პროფ. კავ. საბჭოს ლენინის სახ. ცენტ. სამკითხველოდან. ასე რომ წიგნების მხრივ ჩვენი კურსანტები უზრუნველყოფილი არიან.

კურსანტებმა დაათვალიერეს სარევოლუციო-ზოოლოგიური მუზეუმები. განზრახვა აქვთ დაათვალიერონ მთავარი სახელოსნო, ელექტრო-სადგური და ზაჰესი.

საქ. პროფ. კავ. საბჭოს მიერ დიდი ყურადღება აქვს მიქცეული ჩვენს კურსანტებს. ამხ. გ. ყურულაშვილმა დაათვალიერა ჩვენი კურსები, რასაც მსმენელები დიდის პატივისცემით შეხვდენ.

ამხ. ფანცხავამ დაათვალიერა საცხოვრებელი ბინა კურსანტებისა, სადაც, ცოტა არ იყოს, უსუფთაობას ჰქონდა ადგილი. მან კი წინადადება მისცა ს. პ. კ. ს. საერთო საცხოვრებლის თანამშრომლებს დაეცვათ სისუფთავე.

პროფკურსანტები უღრმეს მადლობას უძღვნით საქ. პროფ. კავ. საბჭოს ხელმძღვანელებს ასეთ თავდადებულ მზრუნველობისათვის.

პროფ.-კურსანტი ვალ. ნიკ.-ძე სიხარულიძე.

ახალი ხელშეკრულება „საქართველოს მარგანეცთან"

თბილისში ჩამოვიდა სამთო-მადნო მუშების პროფკავშირის ცეკას წევრი ამხ. ხაჩატუროვი. ხაჩატუროვი დაესწრება მოლაპარაკებას სააქციონერო საზოგადოება „საქართველოს შავიქვა"-სა და სამთო-მადნო მუშებს შორის ახალი კოლექტიური ხელშეკრულების დასადებათ.

სამთო-მადნო მუშების ცეკა მოითხოვს განაკვეთის გადიდებას პირველ თანრიგისათვის 19-დან 22 მანეთამდე.

მოლაპარაკება ახალი კოლექტიური ხელშეკრულების დასადებათ 15 მარტს დაიწყება.

პროფმუშაობის ქრონიკა

ფეიქართა კავშირის ც. გ-აში

◆ **ფეიქართა კავშირის ც. გამგეობამ** გადასწყვიტა მოახდინოს მუშა-ქალთა მდგომარეობის გამოკვლევა საფეიქრო წარმოება-დაწესებულებებში.

◆ **საფეიქრო მრეწველობის კურსები.** ფეიქართა კავშირის ც. გამგეობას განზრახვა აქვს კვალიფიციურ მუშა-ხელის მომზადების მიზნით მოაწყოს საფეიქრო მრეწველობის კურსები.

აღმშენებელთა კავშირის ც. გ-აში

◆ **ხელშეკრულების დასადებათ.** ბორჯომის სამრეწველოომ მიზანშეწონილად სცნო კოლექტიური ხელშეკრულება დასდოს აღმშენებელთა კავშირის ყველა დამქირავებლებთან.

◆ **სხდომის დღეები.** აღმშენებელთა კავშირის ც. გ. სხდომები მოწვეული იქნებიან ყოველ ხუთშაბათობით.

საქართველოს ელექტროფიკაცია

ახალი სადგურების აგება

გარდა ზემო-ავჭალის და აჭარის-წყალის მძლავრი ჰიდრო-ელექტრო-სადგურებისა, ამჟამად მუშაობა სწარმოებს ელექტრო-სადგურების მოსაწყობად შემდეგ რაიონებში: სახხერეში (70 კილოვატი), აბაშაში (1.900 კილ.), ზუგდიდში (60 კილ.), შოვში (160 კილ.) და ცხინვალში (60 კილ.); ყველა ეს სადგურები მზათ იქნება 1926—27 წლის განმავლობაში.

ამას გარდა ელექტროფიკაციის საპერსპექტივო გეგმაში გათვალისწინებულია მთელ რიგ ახალი სადგურების აგება, რომელთა შორის აღსანიშნავია ტყიბულის, ცხენის-წყალის, ქუთაისის და აფხაზეთის ჰიდრო-ელექტრო სადგურები.

ტყიბულის ჰიდრო-ელექტრო სადგურის დანიშნულება იქნება საუღელტეხილო რკინისგზის ელექტროფიკაცია. ტვირთების გადაზიდვის სწრაფი ზრდა ჩვენს რკინისგზებზე მოითხოვს მთელ რიგ ღონისძიების მიღებას ტეხნიკური დაბრკოლებების გადასალახავად საუღელტეხილო ხაზზე სად. ხაშურიდან სად. ზესტაფონამდე. ამ მიზნით განზრახულია ჰიდრო-ელექტრო სადგურის აგება მდ. ტყიბულზე, რომლის მაქსიმალური სიძლიერე იქნება 45.090 ცხ. ძალა. სადგურის აგება დაჯდება 6 მილ. მანეთი.

ჩვენ ბუნებრივ სიმდიდრეთა გამოყენების სფეროში უდიდესი მნიშვნელობა აქვს შავი-ქვის მთავარი რაიონის ელექტროფიკაციას და მარგანეცის გადამუშავებას ფერომარგანეცად ელექტროგადადუღების საშუალებით. ფერომარგანეცის მრეწველობისათვის საჭირო ელექტრო-ენერგია განზრახულია მიღებული იქნეს მდ. რიონის და ცხენის-წყალის გამოყენებიდან. ამ მიზნით, უკვე მოხდენილია ამ მდინარეების გეოლოგიური გამოკვლევა, რომელმაც დაამტკიცა, რომ ამ მდინარეების სრულიად გამოყენების დროს ყოველწლიურად შეიძლება მიღებული იქნეს 600.000 ცხ. ძალა.

პერსპექტიული გეგმის მიხედვით, პირველ რიგში დაწყებული იქნება მუშაობა ჰიდრო-ელექტრო სადგურის ასაგებად მდ. რიონზე ქალ. ქუთაისის ახლოს; სადგურის სიძლიერე იქნება 42.890 ცხ. ძალა; ამას გარდა, აგებული იქნება სადგური მდ. რიცეულზე—30.000 ცხ. ძალის სიძლიერით.

ამავე გეგმაში გათვალისწინებულია ალაზნის და აფხაზეთის (მდ. გუმისტაზე) ჰიდრო-ელექტრო სადგურების აგება.

ელექტრო-ენერგიას დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს სატყეო მრეწველობის განვითარებისათვის. ამ მიზნით სატყეო ტრესტის მიერ დაწყებულია გეოლოგიური გამოკვლევები აფხაზეთში, სვანეთში, რაჭაში, ლეჩხუმში და კახეთში. ამ რაიონების ტყეების ექსპლოატაციის განვითარების მიზნით, განზრახულია რამოდენიმე ჰიდრო-ელექტრო სადგურის აგება. წინასწარი მუშაობა ამ მიმართულებით უკვე სწარმოებს.

ჩვენი აგარაკები

მზადება საკურორტო სეზონისათვის

საქართველოს კურორტები, განსაკუთრებით კი აბასთუმანი, ძლიერ დაზარალდა ომისა და რევოლიუციის განმავლობაში. მათ აღსადგენათ საჭიროა დიდი დრო და თანხები; ჯერჯერობით აღდგენილი და სათანადოთ მოწყობილია 11 სანატორიუმი 700 საწოლით, შარშან კი მუშაობდა 6 სანატორიუმი 370 საწოლით.

სანატორიუმები მოწყობილია: აბასთუმანში—6. ბორჯომში—2, წაღვერში—1, პატარა ცემში—1 და ერთიც ითვლება განმანაწილებელ პუნქტად.

შარშანდელთან შედარებით წელს საგრძნობლად გაუმჯობესებული იქნება ავადმყოფების კვება. აბასთუმანში გარდა აღნიშნული სანატორიუმისა მოწყობილია საზამთრო სანატორიუმი 30 საწოლით.

საკურორტო სამმართველოს სპეციალურმა კომისიამ მოახდინა აგარაკ ბორჯომის და აბასთუმანის გამოკვლევა; ასეთივე გამოკვლევა განზრახულია ჩატარებული იქნეს ყველა დანარჩენ აგარაკებზე. გამოკვლევის მთავარი მიზანია გამორკვევა იმისა, თუ რამდენად გავრცელებულია ჩვენს აგარაკებზე მალიარია.

ბორჯომში მოწყობილია წყალით მკურნალობის საავადმყოფო.

აბასთუმანში აგებულია ჰიდრო-ელექტრო სადგური, რომელიც ელექტრო-ენერგიას აწოდებს სანატორიუმებს, აგარაკებს, ქუჩებს და ადგილობრივ ხე-ტყის სახერხ ქარხანას.

ელექტრონის ენერგია გაყვანილია აგრეთვე აგარაკ წაღვერში (ბორჯომიდან).

დაწყებულია გზატკეცილის გაყვანა ქუთაისიდან აგარაკ წყალტუბომდე; გზატკეცილის სიგრძე იქნება 10 ვერსი.

ჩატარებულია სათანადო გამოკვლევა და განზრახულია გზის გაყვანა აგარაკ ბახმაროზე 42 ვერსის მანძილზე.

დაიწყო 20-ოთახიანი დასასვენებელი სახლის აგება აგარაკ ბახმაროზე.

ამას გარდა დაწყებულია მუშაობა საკურორტო მნიშვნელობის ტყეების დასაცავად.

ამასთანავე შემუშავებულია დაწვრილებითი გეგმა საკურორტო მეურნეობის შემდეგი განვითარებისა.

დაიბეჭდა და გამოვიდა საქ. კომ. პარტიის ცენტრ. კომიტეტის ჟურნალი
„სოფლის კომუნისტი" № 1—2
შინაარსი:
მოწინავე: გამარჯვების და აღმშენებლობის პირველი ხუთი წელი
მამია ორახელაშვილი. ქართული ჟირონდის გზა.
ა. ნადირაძე. პარტია და გლეხობის საკითხი.
ვარო ჯაფარიძე. მშრომ. ქალ. საერთაშორისო დღე
ბ. ადამაძე. წითელი არმიის რვა წელი.
ა. ჭუნია. საბჭოთა არჩევნების გაკვეთილები.
ი. ბუაჩიძე. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია.
გ. მახვილიანი. ტრაქტორი სასოფლო მეურნეობაში.
ჟ. ფრანგიშვილი. კომკავშირის მე-8-ე ყრილობის შედეგები.
საერთაშორისო მიმოხილვა
გ. კვარაცხელია. საერთაშორისო მდგომარეობის საკითხები
ადგილობრივი ცხოვრება
ა. ურუშაძე. ზოგიერთი საკითხები სოფლად პარტიულ ხაზით მუშაობაში.
ი. ხუხუა. ადგილობრივი მუშაობის მტკივნეული მხარეები.
დ. ანაგელი. წერილი ანაგიდან.
გ. ქურდაძე. ფაქტიური მასალები საბჭ. არჩევნებიდან
კ. ზ—ძე. ძველი სენაკის კომუჯრედი.
ბიბლიოგრაფია
ფოლადიანი: ი. სტალინი. რ. კ. პ. ც. კ. პოლიტიკური ანგარიში მე-14 ყრილობაზე.
ნ. ტ. ჟურნალი „აგრონომიული კრებული" № 1.
პროლეტარიძე: ი. კაგანოვიჩი, სოფლად საბჭოთა მუშაობის გაუმჯობესება.
ჟურნალი დაურიგდება ხელისმომწერლებს და გაიყიდება ყველგან
3—26 872

ქრონიკა

თბილისის აღმასკომში

◆ **ტრამვაის** სამმართველომ რუსეთიდან მიიღო 30.000 ფუთი რკინა ტრამვაის საჭიროებისათვის.

◆ **ახალი ვაგონები.** ტრამვაის სამმართველო პირველ აპრილისათვის დამატებით გამოუშვებს 10 ახალ ვაგონს.

◆ **აგურის ქარხნებიდან** შემკვეთელებისათვის ადგილზე აგურის მისატანათ, აღმასკომმა გადასწყვიტა შეიძინოს საბარგო ავტომობილები, ან ფურგონები.

დამზღვევ სალაროში

◆ **ღამის სანატორიუმი.** თბ. დამზღვევი სალარო შეუდგა ღამის სანატორიუმის მოსაწყობათ საჭირო ხარჯთ-აღრიცხვის შედგენას.

◆ **დროებით შრომის** უნარ დაკარგულებს, დამზღვევ სალაროს პუნქტებმა გასულ თვეში დაურიგა 62.846 მან. გაცდენილ დღეების ასანაზღაურებლად.

◆ **მშობიარობის გამო** გაცდენილ დღეების ასანაზღაურებლად, თებერვალში დაზღვეულ ქალებს მიეცათ 4.974 მან.

განათლების კომისარიატში

◆ **მუზეუმის რეორგანიზაცია.** განათლების კომისარიატის დადგენილებით მოხდა საქ. მუზეუმის რეორგანიზაცია. შესდგა მუზეუმის დროებითი საბჭო, რომლის თავმჯდომარეთ დაინიშნა პროფ. ალ. ნათიშვილი.

◆ **სახელმწიფო უნივერსიტეტმა** შუამდგომლობა აღძრა განათ. კომისარიატის წინაშე ბათომში ჰიდრო-ბიოლოგიური სადგურის ასაგებათ საჭირო თანხის გაღების შესახებ.

◆ **პედაგოგიური ჟურნალის გამოსაცემად,** განათლების კომისარიატმა ყოველთვიურად გადასდო 400 მან.

◆ **ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს** გამგედ დაინიშნა ამხ. ნ. მახარაძისა.

სხვადასხვა

◆ **ჩაის გასაღება.** ა.-კ. კოოპერატივთა კავშირმა ხელშეკრულება დასდო ა.-კ. სახ. ვაჭრობის კომისარიატთან ჩაის საზღვარგარეთ გასაღების შესახებ.

◆ **ფხვნილი ყავა.** ა.-კ. სახ. ვაჭრობის კომისარიატის ქარხნებიდან ამ დღეებში გამოშვებულ იქნება საუკეთესო ხარისხის ფხვნილი ყავა.

◆ **დახმარება უპატრონო ბავშებს.** უპატრონო ბავშთა დამხმარე კომიტეტის სალაროში 1-8 მარტამდე შემოვიდა შემოწირულების სახით 4.606 მან.

◆ **ხე-ტყის დამზადება.** სატყეო ტრესტი სვანეთის სატყეო რაიონში ამზადებს უცხოეთის ბაზრისათვის 70.000 კ. ფუტ. ცაცხვის ხეს.

◆ **სესხი.** სასოფლო-სამეურნეო ბანკმა 2.000 მ. მისცა სესხათ სას.-სამ. ამხ.-ბას: „შემომქმედს“ მუშაობის გასაფართოებლად.

◆ **ბამბის დათესვა.** საბამბო კომიტეტი საქართველოს სხვადასხვა მხარეში წელს დათესავს 10.000 დეს. ბამბას.

კრებები და მოხსენებები

◆ **ქართველ ექიმთა საზოგადოებაში.** ხუთშაბათს, 11 მარტს, საღამოს 8 საათზე, საქართ. მუზეუმის აუდიტორიაში შესდგება საზოგადოების საგანგებო კრება.

რა ღირს სურსათ-სანოვაგე?

თბილისის ბაზარზე: ადგილობრივი ხორბალი ღირს—2 მ. 20 კ. ფუთი, ყუბანის ფქვილი პირველი ხარისხის—3 მ. 80 კ.—4 მ. ფ., მე-2 ხარ.—3 მ. 20 კ. ფ., მე-3 ხარ.—2 მ. 60 კ. ფ., სიმინდის ფქვილი—1 მ. 8 კ. ფ., სიმინდი— 1 მ. 70 კ. ფ., ღომი—15 კ. გირ., წითელი ლობიო—8 კ. გირ., გურული 10-12 კ. გირ., კარტოფილი—3-4 კ. გირ., ხახვი—6 კ. გირ., ბრინჯი აკულის—25-28 კ. გირ., — აგდაშის—20 კ. გირ., კობრი მტკვრის—15 კ. გირ, რძე—32 კ. ლიტრა, კარაქი—1 მ. 20 კ. გირ., ერბო—90 კ. გირ., ხაჭო—15 კ. გირ., ქონი—60 კ. გირ., კვერცხი—40-45 კ. ათეული, შვეიცარული ყველი—90 კ.—1 მან. გირ., თუშური—50-60 კ. გირ., თაფლი—50 კ. გირ., შაქარი ნატეხი—33 კ. გირ., ფხვნილი შაქარი—27 კ. გ., ყავა „მოკო“ მარცვალი—2 მ. 50 კ. გირ., კაკაო „მოსელპრომის“—4—5 მან. გირ., ჩაი—3 მ. 60 კაპიკიდან—1მან. გირ., ძროხის და ხარის ხორცი——35 კ. გირ., ღორის ხორცი—40-43 კ. გირ., ცოცხალი ქათამი—1 მ. 30 კ. ცალი,—დაკლული—2 მ., ცოცხალი ინდაური—5-6 მან.—დაკლული—7 მ., მაკარონი—20 კ. გირ., ვერმიშელი—20 კ. გირ., თხილი: [illegible] კ. გირ.— ანაკლიის—25 კ., ეშლი—15 კ. გირ., დაწნეხილი თივა—1 მ. 10 კ. ფ., ბზე—75-80 კ. ფ., თეთრი ქერი—1 მ. 80 კ. ფ., ქატო პურის—1 მ. 5 კ. ფუთი.

შემთხვევები

◆ **შეპყრობა.** 8 მარტს, ქურდობისათვის შეიპყრეს სამსონ გოცირიძე.

◆ **სახელოსნოს გაქურდვა.** 8 მარტს, გაქურდეს მოქ. ანდრო მელტონის სახელოსნო, (გოგოლის ქ., № 14.) საიდანაც წაიღეს 250 მ. ღირებული საქონელი.

◆ ამავე დღეს ფრიდა ფილერს მოპარეს კარაკულის პალტო ღირებული 200 მან.

ყალბი დოკუმენტების მკეთებელი მასწავლებელი

თბილისის სისხლის სამართლის მილიციამ მიიღო ცნობა, რომ მე-28-ე შრომის მასწავლებელი აკაკი ბერიაშვილი ყალბ დოკუმენტებს ამზადებს.

მისი ბინის გაჩხრეკის დროს, აღმოჩენილ იქნა სხვადასხვა დაწესებულებების მთელი რიგი მოწმობები, როგორც მის, ისე სხვების სახელზე.

გარდა ყალბი დოკუმენტებისა, აღმოჩენილ იქნა 12 მეტრი კონტრაბანდული შევიოტი და ჩულქები.

ბერიაშვილი დაპატიმრებულია.

ქურდი შიკრიკი

ამ რამოდენიმე დღის წინათ სალდათთა ბაზარზე ბუკინისტ კარანიანცთან აღმოჩენილ იქნა 2 ნახევარი ფუთის რაოდენობით წიგნები „მარგანეცის ადგილმდებარეობა ინდოეთში“.

ბუკინისტმა კარანიანცმა განაცხადა, რომ ეს წიგნები მას მიჰყიდა უცნობმა მოქალაქემ.

გამოირკვა, რომ ეს წიგნები მოუპარავს „ჩემო“-დან შიკრიკ გუგულაშვილს.

ეს უკანასკნელი დაპატიმრებულ იქნა და ბოროტმოქმედება აღიარა. სულ მას მოუპარავს 10 ფუთამდე წიგნები.

ა.-კ. ავიოქიმში

ა.-კ. ავიოქიმი რესპუბლიკებში უკვე აწყობს კომისიებს, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ გადაფრენას მოსკოვ-ანგორასა და მოსკოვ-თეირანს შორის, რომელსაც გაზაფხულზე ავიოქიმი აწყობს.

საბჭოთა აეროპლანი, რომელიც გადაფრინდება მოსკოვი ანგორის გზით, უკან დაბრუნებისას გამოივლის თბილისში. გადაფრენა მოსკოვ-თეირანს შორის ორივე გზით ბაქოს გავლით მოხდება. ამიერიდან, ამიერ-კავკასია დაინტერესებულია ორივე გადაფრენით.

ხელის შემწყობ კომისიებს, რომელთაც ა.-კ. ავიოქიმი აარსებს, ევალებათ ჩამოსაფრენ მოედნების სათანადოთ მოწყობა. გარდა ამისა, ამ კომისიებმა უნდა შეაგროვონ საშუალებები გადაფრენის სასარგებლოდ. მთელს საბჭოთა კავშირში უკვე სწარმოებს საშუალებების შეგროვება ამ მიზნით. სულ საბჭოთა კავშირში ექვსი თვის განმავლობაში შეგროვებული უნდა იქნეს სულ 500.000 მ. შემოწირულებები შეკრებილი იქნება ხელისმოწერის, საღამოების გამართვის და სხვა გზით. გამოწვევა პრესის საშუალებით აკრძალულია.

სას.-სამეურნეო გამოფენა ეკრანზე

კინო-სურათი „გამოფენა“

ვინაიდან სასოფლო - სამეურნეო გამოფენა იღებს გრანდიოზულ ხასიათს და ამავე დროს გამოფენა იპყრობს საბჭოთა—კავშირის მშრომელთა განსაკუთრებულ ყურადღებას, ამიტომ გამოფენის კომიტეტმა გადასწყვიტა გამოფენის ყველა კუთხე და გამოფენაზე წარმოებული ყოველგვარი მუშაობა გადაიღოს ეკრანზე. განსაკუთრებით გადაღებული იქნება ყოველი სახის იარაღ - მანქანების მუშაობა—გამოცდა, მანქანების დაშლა - აწყობა, გაწმენდა და სხვა.

ეს სურათი ერთად - ერთი იქნება სასოფლო მეურნეობაზე მთელ საბჭოთა კავშირში. ამავე დროს ეს სურათი შინაარსიანიც იქნება თავის მრავალფეროვანებით, რომლითაც ასე მდიდარი იქნება გამოფენა.

სურათი აგრეთვე დიდათ შეუწყობს ხელს სოფლის მეურნეთა გათვითცნობიერებასაც. გლეხ - მეურნეთა ფართო მასას საშუალება მიეცემა ამ სურათის საშუალებით გაეცნოს მიწის კულტურულ და ქიმიურ დამუშავების ცდებს და საერთოდ სასოფლო მეურნეობის მექანიზაციას. სურათის სახელი იქნება „გამოფენა“.

გამოფენის გადაღება დავალებული აქვს საქ. კინო - მრეწველობას.

რკინის გზებზე

ჩქარი მატარებლების მოხსნა

ა.-კ. რკ. გზების სამმართველომ ცენტრიდან მიიღო დეპეშა, რომლის ძალით 12 მარტიდან იხსნება მოძრაობიდან ჩქარი მატარებელი № 1 მოსკოვიდან და 15 მარტიდან—მატ. № 2 თბილისიდან.

ამ ცვლილების შესახებ ა.-კ. რკ. გზ. სამმართველომ უკვე აცნობა ხაზებს.

მგზავრობის წესი

ა.-კ. რკ. გზების მმართველობამ დაამტკიცა წესი მგზავრებისათვის. სხვათა შორის წესდებაში აღნიშნულია, რომ მგზავრებმა ბილეთები უნდა შეიძინონ მხოლოდ სადგურების ან ქალაქის სალაროებში; ის მგზავრები, რომლებიც შეიძენენ ბილეთებს ამ სალაროების გარეშე და ჩასხდებიან ვაგონებში ჩაითვლებიან უბილეთოებათ.

თითოეულ მგზავრს აქვს უფლება უბილეთოთ წაიყვანოს თან 1 ბავში არა უმეტეს 5 წლის ჰასაკისა. ვაგონებში ადგილების უქონლობის დროს უპირატესობა მიეცემათ ძველ მგზავრებს იმ შემთხვევაში, თუ ახალ მგზავრს მისი მოთხოვნის თანახმად ვერ აღმოუჩინეს ადგილი, უბრუნდება ფული.

თითოეულ მგზავრს ნება აქვს თან წაიღოს ხელის ბარგი 2 ფუთამდე, თუ მისი მოცულობა არ აღემატება ბარგის დასაწყობ ადგილს ვაგონში.

მგზავრს, რომელიც მგზავრობს დანომრილ ადგილებიდან ვაგონით ნება აქვს დაიკავოს დასაძინებელი ადგილი საღ. 9 საათიდან დილის 9 საათამდე.

ხელოვნება

ახალი ქართული ოპერა „განთიადი“

საქართველოს საოპერო სტუდიის ორკესტრის ახალგაზრდა მუსიკოსმა შალვა თაქთაქიშვილმა 7 მარტს ხელოვნების სასახლეში მუსიკალური ხელოვნების წარმომადგენელთა თანდასწრებით მოახდინა თავის პირველი ნაწარმოების ოპერა „განთიადის“ დემონსტრაცია. ავტორი თავის ნაწარმოებს უწოდებს ოპერა-ზღაპარს. ოპერა რევოლიუციონურ სიმბოლიური ხასიათისაა; იდეა—ყოველი ცოცხალი არსების მისწრაფება თავისუფლებისა და თვითგამორკვევისაკენ. ამ ნაწარმოებში მომქმედი პირები არიან ყვავილები, რომელთაც შეიგნეს ყვავილნარებში უმოქმედოთ ყოფნის უმიზნობა და უშინაარსობა ყვავილნარის მესაკუთრეთა გასართობათ (ალეგორია). ყვავილები მისწრაფვიან მინდორში თავისუფლებისაკენ, რომ დასტკბენ ქვეყნის სილამაზით.

ოპერა იწყება ცოცხალი სურათის პროლოგით—მოხუცი ბებია მოუთხრობს შვილიშვილებს ზღაპარს—და თავდება იმავე სურათის ეპილოგით.

ოპერა დაწერილია, უეჭველად, მუსიკის კარგათ მცოდნე პირის მიერ, დაწერილია ლირიულ ტონებში.

მისი მთავარი ღირსებაა მშვენიერი მელოდია ოპერის დასაწყისიდამ დასასრულამდე; ერთი მელოდიური თემა მეორეთი იცვლება.

პარტიტურის ფორტეპიანოს მიერ გადმოცემით, რასაკვირველია, ძნელია საორკესტრო ნაწილის შეფასება. თავისთავად ცხადია, პარტიტურის საორკესტრო შესრულებით გაცილებით უფრო მკაფიოდ გამოიხატება ოპერის მუსიკალური შინაარსის დეტალები, მაგრამ ეხლაც საკმაოდ ჩანს, რომ ავტორი უდიდეს მნიშვნელობას აძლევს მრავალფეროვან მელოდიურობას. ცალკე ადგილებს შორის კარგია ტენორის არია, სოპრანო, ტრიო, დუეტი; მეტად ლამაზია ბალეტის მუსიკა. თაქთაქიშვილის ამ ნაწარმოებიან უფრო დახელოვნებით გაცნობილ პირების სტკბით ოპერა საინტერესო და ხალისით მოსასმენია. ახლო მომავალში მოსალოდნელია მისი დადგმა სახელმწიფო ოპერის სცენაზე, რადგან ოპერა უკვე დასრულებულია. ყოველ შემთხვევაში ოპერა „განთიადი“ საინტერესო საგანძურია აღორძინების გზაზე დამდგარ ქართული მუსიკისათვის.

პ. ბ.

ხელოვნების ქრონიკა

◆ საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციამ გაგზავნა მოსკოვში შემდეგი დეპეშა: „მოსკოვი, სრულიად საკავშირო პროლეტმწერალთა ასოციაციის გამგეობას. სრულიად საკავშირო ასოციაციაში მომხდარ უთანხმოებათა შესახებ დაწვრილებით ცნობები მივიღეთ დაგვიანებით. ვარდინ-როდოვ-ლელევიჩის ხაზს არ ვიზიარებთ. ამხ. პ. ქიქოძისადმი დღემდის მიცემულ ყველა რწმუნებებს ესთვლით გაუქმებულად.

ასოციაციის მდივანი **ნ. ზომლეთელი.**

◆ პროლეტმწერალთა ასოციაციის გამგეობის სხდომა შესდგება დღეს, დილის ათ საათზე, ხელოვნების სასახლეში. კრებას უნდა დაესწრონ ნ. ზომლეთელი, ს. ეული, ი. გედევანიშვილი, გ. ბუხნიკაშვილი, ქ. კალაძე, შ. დუდუჩავა, ა. მაშაშვილი, ბ. ბუაჩიძე, ლ. ესაკია, გ. ხერხეულიძე, რონდელი და გ. შინატებელი. პერსონალურად მოწვეული არიან: ამხ. ვ. ბახტაძე, ს. თოდრია, გ. მუშიშვილი, რ. კალაძე, შ. ნავთლუღელი, ალ. სულავა, მირ. ხუხუნაიშვილი.

◆ **კონცერტი სკოლაში.** ოთხშაბათს, 10 მარტს, საღამოს 8 საათზე, განათლების მუშაკთა სახლში, მე-47 შრომის სკოლა მართავს კონცერტს მომღერალ გ. ვენძის და ა. ვლადისლავსკაიას მონაწილეობით.

განათლების მუშაკთა სახლის წევრთათვის შესვლა უფასოა.

◆ **ეგონ პეტრის** გამოსათხოვარი კონცერტი გაიმართება დღეს რუსთაველის საკონცერტო დარბაზში.

◆ **„აბესალომ და ეთერი“.** დღეს, ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნება „აბესალომ და ეთერი“.

◆ **ანრი ჟილ-მარშეს კონცერტი.** 20 მარტს, კონსერვატორიის დარბაზში გაიმართება გამოჩენილ პიანისტის ანრი ჟილმარშეს პირველი კონცერტი.

◆ **საოპერო სტუდიის** მიერ, 16 მარტს, წარმოდგენილი იქნება „ჯამბაზები“ ქართულ ენაზე.

◆ **იაშას გასტროლები.** ცირკში დაიწყო ცნობილ ფაკირის იაშას გასტროლები.

მუშათა ცხოვრება

„ზაკპოგრუზის“

(მუშათა და გლეხთა ინსპექციის საყურადღებოთ)

„ზაკპოგრუზი“-ს მუშები პროფესიონალური ხაზით არიან გაერთიანებულნი სატრანსპორტო კავშირში. ამ კავშირის წევრთა უმთავრეს მასას შეადგენენ ბათომის, ფოთის და რკინისგზის მტვირთველი მუშები. 1925 წლამდის ჩვენს პროფკავშირს უხდებოდა სამეურნეო ფუნქციების შესრულება. ნაწილობრივ, უნებლიეთ, ასეთი მდგომარეობა დღემდისაც გრძელდება.

ეს, რასაკვირველია, არანორმალური მოვლენაა პროფკავშირის ცხოვრებაში. სწორედ იმ მიზნით, რომ კავშირი განტვირთულიყო არაშესაფერი ფუნქციებიდან, მოსპობილიყო არტელები და მისგან გამომდინარე მავნე სულიერი განწყობილება მუშებში მისი კავშირის ინიციატივით 1925 წელს დაარსდა სააქციო საზოგადოება. „ზაკპოგრუზი“, რომლის ამოცანებს შეადგენდა და დღესაც შეადგენს, რათა გაერთიანდეს მის ხელში ყოველივე სახის გადატვირთვა-გადმოტვირთვის საქმეები, როგორც საქართველოში, ისე ამიერ-კავკასიაში.

შესძლო თუ არა „ზაკპოგრუზმა“ მის წინაშე დასმული ამოცანების გადაჭრა?.. ნაწილობრივ მან ეს შესძლო, მაგრამ უბედურება იმაშია, რომ ეს მხოლოდ კითხვის ნაწილობრივი გადაჭრაა; მტკიცე ეკონომიური საფუძვლის შექმნა, რაც უმთავრესია „ზაკპოგრუზის“ საქმიანობაში ჯერ მან ვერ შესძლო. ამის მთავარი მიზეზი ჩვენ უნდა ვეძიოთ იმ უყურადღებობაში, რომელსაც „ზაკპოგრუზი“ განიცდის ზოგიერთ ავტორიტეტულ ორგანოების მხრივ. თურმე ზოგ მათგანს, უფრო სწორედ რომ ვსთქვათ, მის ხელმძღვანელებს, არც კი სცოდნიათ არსებობს თუ არა „ზაკპოგრუზი“. ეს კი ყოვლად დაუშვებელი მოვლენაა და მას ბოლო უნდა მოეღოს. თუ ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა „ზაკპოგრუზი“ დაიშლება და მის ნანგრევებზე ისევ არტელები ან არტელის მსგავსი დაწესებულებები აღმოცენდება, რაც სატრანსპორტო კავშირს მეტად უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენებს. ამის ნიშნები არის.

მოვიყვანოთ მაგალითი. საქართველოს და სომხეთის რკინის გზაზე გადატვირთვა-გადმოტვირთვის საქმე აღებული ჰქონდა „ზაკპოგრუზს“ კომერციულ ხელშეკრულებით, რომელიც იყო დადებული რკინის გზების სამმართველოსთან, ვადა გაუვიდა ა. წ. 1-ლ იანვარს. კოლექტიურ ხელშეკრულებას, რომელიც კავშირსა და „ზაკპოგრუზს“ შორის იყო დადებული 1.800 მუშის სახელით, გაუვიდა ვადა იმავე რიცხვში

სატრანსპორტო კავშირმა დაიწყო მოლაპარაკება „ზაკპოგრუზთან“ კოლექტიურ ხელშეკრულების გასაახლებლად, მაგრამ წააწყდა მთელ რიგ დაბრკოლებებს შედარებით ძველ კოლექტიურ ხელშეკრულებასთან: „ზაკპოგრუზმა მოინდომა ახალ ხელ-ში გამაუარესებელი მუხლების შეტანა. კავშირში ასეთ მდგომარეობას ვერ შეურიგდა და დღემდის ხელშეკრულება დაუდებელი არის.

ეს კი ქმნის მუშებში უკმაყოფილებას, რაც კავშირს უხერხულ მდგომარეობაში აყენებს.

კითხვა იბადება:

რით არის გამოწვეული ასეთი მდგომარეობა? თურმე იმით, რომ „ზაკპოგრუზმა“ ვერ შესძლო რკინის გზების სამმართველოსთან კომერციული ხელშეკრულების განახლება; მათ შორის არის დავა და „ზაკს“ გაჭყლეტა მოელის.

1926 წლის 1-ლ იანვრამდი მუშები და მათი ოჯახის წევრები ღებულობდენ სამგზავრო ბილეთებს; აგერ მესამე თვე იწყება, რომ მუშები აღარ ღებულობენ ბილეთებს. ასეთივე მდგომარეობა შვებულების, ზედმეტი და ცვირე-უქმე დღეებში მუშაობის საკითხებშიც.

თუ „ზაკპოგრუზმა“ ეს საქმე არ აიღო, მას დაშლა მოელის. რკინის გზების სამმართველო კი გადატვირთვა-გადმოტვირთვის საქმეს ვერ უხელმძღვანელებს, სულ ერთია უნდა გაცეს ვინმეზე. იმ შემთხვევაში თუ დროებით მან მოჰკიდა საქმეს ხელი.

უნდა მოახდინოს შტატის შემცირება, გააუქმოს მოწყობილი აპარატი და ხს.

მოკლედ დავასკვნით, რომ მდგომარეობა მეტად უხერხულია; ყოველ წელიწადს ასეთი კითხვა დგება ჩვენს წინაშე და საჭიროა მუშათა და გლეხთა ინსპექციამ შეიტანოს ამ საკითხში გარკვეულობა, რათა დროებით მაინც მოისვენონ მუშებმა, კავშირმა და სხვა ორგანოებმა.

ვ. ანთიძე.

დავიწყებული უბანი

(თბილისის ალმასკომის საყურადღებოდ)

რკინის გზის ლიანდაგის გადაღმა მე-7 და მე-8-ე უბანი, რომელსაც ეწოდება ამხ. ს. ორჯონიკიძის უბანი, ნაკლებ ყურადღება ექცევა ქალაქის ალმასკომისაგან. ამ უბანში თითქმის მთლიანად მუშები სცხოვრობენ. 1924 წელს თბილისის ალმასკომმა გამოგვიყვანა ქუჩებში სინათლე, მაგრამ საუბედუროთ ადრე ბოლო მოეღო ამ სინათლეს და ეხლა ისე ბნელა ჩვენს ქუჩებში, რომ ღამით ადამიანს არ გაევლება.

გადავიდეთ ეხლა ქვა-ფენილებზე. რკინის გზას რომ გადავსცდებით, ვერც ერთს ქუჩას ვერ ნახავთ ისეთს, სადაც ქვა-ფენილი იყოს დაგებული. წვიმიან დროს არ შეიძლება ქუჩებში გავლა ტალახის გამო, შრომისაგან დაღლილ მუშას უხდება მუხლამდე ტალახში ტოპვა.

ეხლა წყლის მილებზე. უწყლობით ისე შეწუხებული არიან მცხოვრებლები, რომ მეტი აღარ შეიძლება. მარტო სამ ადგილას გვაქვს წყალის მილები, და ისიც რკინის გზის მახლობლად, მესამე მილი არის ცოტა ზემოთ და ამ მესამე მილს იმდენი ხალხი ჰყავს გარშემო მოხვეული, რომ ერთი ბილიკი არა—ორიც რომ იყოს ცოტა არის. ვინც ზევით სცხოვრობს, ის ხომ ჯოჯოხეთურ ცხოვრებაში იმყოფება. სულ ცოტა რომ ვიანგარიშოთ, ერთ ნახევარი ვერსი მაინც უნდა ჩამოვიდეს წყალსადენამდე. თქვენ წარმოიდგინეთ რა ძნელი უნდა იყოს თავთაქვე ცარიელი ვედრებით და აღმართში კი წყლით სავსე ვედრებით სიარული. მანამდის დაღლილი მუშა სახლში მიიტანდეს წყალს, იგი ნახევრად გზაში ეღვრება.

დროა, თბილისის ალმასკომი, მოგვაქციოთ ყურადღება.

მუშა გადასახლებული.

საზეიმო საღამო

25 თებერვალს, საღამოს 7 საათიდან, ნელ-ნელა ივსებოდა მუშა-მოსამსახურეთა გუნდებით მუშათა კლუბის დარბაზი.

აი, უკვე 8-ის ნახევარია და გაიჭედა მშრომელთა დარბაზი მხიარული მუშებით, რომელთა თვალებში ამოიკითხავთ მხოლოდ ერთგულებას არსებულ ხელისუფლებისადმი; —„დღეს ხომ ჩვენი მტანჯველი მენშევიკების ბრჭყალებიდან განთავისუფლების 5 წლის თავი არის და თამამად ვიზეიმებთ კიდეც, რითაც დავაბრმავებთ ჩვენს მტრებს“.—ამბობდა დარბაზში შემოსული მკერდ-გადაღეღილი მუშა.

საათმა 8 დაჰკრა. დარბაზში გაისმა ზარის წკრიალი სამჯერ, რომლის ხმამაც გასაოცარი სიჩუმე გამოიწვია!

ფარდა აიხადა, სწორედ ამ დღის შესაფერი პიესა ამოერჩიათ (ს. ზბუროშვილის ხელმძღვანელობით) „შეშინებული ანთიმოზი“...

— კოლა, დაინახე, ახლა რომ კაცები მოვიდენ?

— ვინ კაცები?!—შეეკითხა მოუთმენლად გოგი, რომელიც მუხლის ძირას მოჯდომოდა მას.

— ვინა და, ამბობენ:—„ავსტრიის მუშათა დელეგატებია“-ო;

— თუ ძმა ხარ თავი დამანებე, ვინც გინდა მოვიდეს, გაბრაზებით წაჰკრა ჯლიგი გოგიამ და თვალები ისევ სცენისაკენ მიაპყრო...

ფარდა დაეშვა.—მქუხარე ტაშით დააჯილდოვა ხალხმა სცენაზე მოთამაშენი, რადგანაც ყველამ კარგად შეასრულა თავისი როლი.

მეორე მოქმედებაზე უნდა ყოფილიყო კონცერტი მომღერალ მიხ. კავსაძის ხელმძღვანელობით. მაგრამ ის არ მოვიდა, რამაც დიდი აურ-ზაური და უკმაყოფილება გამოიწვია მუშებში.

— საკვირველია! რატომ იკისრა მუშების მოტყუილება ამ მომღერალმა, ან რას ფიქრობდა, რომ პირობა მისცა კლუბის გამგეობას და მერე კი, აღარ მობრძანდა?!.

ამ კლუბის გამგე ამხ. ელიაშვილმა გამოაცხადა:—„ამხანაგებო, რა კი მოქ. კავსაძემ ასეთ უხერხულ მდგომარეობაში ჩაგვაგდო მოტყუებით, ამიტომ მე-2-რე მოქმედებით დამთავრდება საზეიმო საღამო, რომელზედაც წაკითხული იქნება რამდენიმე რევოლიუციონური ლექსები“-ო, რაც შესრულებული იქნა.

ხალხი მაინც კმაყოფილი დაიშალა. მოქ. კავსაძესთანა მსახიობთ კი უცხადებთ ჩვენ გულის წყრომას მუშების მოტყუებისათვის.

ლადო მჭედლიშვილი.

მოგვაშორეთ ეს ავარები

მე-5 რაიონის ის ნაწილი, რომლის მცხოვრებლები მუსულმან მუშების უმრავლესობას შეადგენს, კლუბის უქონლობის გამო, ზამთრის გრძელ ღამეებს საჩაიეში და ყავახანებში ატარებს. სიშორისა და ღამის ტრამვაის უქონლობის გამო მოწყვეტილი არიან ესენი ცენტრს და არა აქვთ მცირეოდენი საშუალებაც კი, რომ დაიკმაყოფილონ თავიანთი სულიერი მოთხოვნილება.

ამიტომ, ამ უბანში გახსნილ ამხ. ქიქოძის სახ. საქ. საფაბრიკო და საინსტრუქტორო სკოლის კლუბმა იმ თავითვე საპატიო ადგილი დაიკავა და მიიზიდა მუშები.

კლუბმა ადგილობრივ ძალებით,—საღამო-წარმოდგენებით, კონცერტების და რევოლიუციონურ კინო-სურათების სისტემატიურად მსვლელობით, თვით ისეთი რელიგიის ფანატიკოსნიც კი, როგორიც მუსულმანთა ქალები არიან, მიიზიდა და მათში სიყვარული და ნდობა დაიმსახურა.

შედარებით გასულ წელთან, (მაშინ ისინი, როცა ესტუმრებოდენ კლუბს, ყოველთვის მამაკაცებისაგან ცალკე, შემოღობილ ადგილზე სხდებოდენ), დღეს მათი კავშირი კლუბთან უფრო მასიურ ხასიათს ღებულობს.

ამ მოვლენას ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ კლუბის გამგეობა შეღავათიან პირობებში და ხშირად უფასოდ უთმობს კლუბს ადგილობრივ მუსულმან-მუშათა ორგანიზაციებს წარმოდგენებისათვის, სადაც ყოველთვის მათი ოჯახობა ესწრება.

გარდა იმისა, რომ კლუბში 150 მოწაფე კომკავშირელი ქალი ეწევა კულტურულ მუშაობას (არსებობს 6 წრე, უფასო კინო), ადგილობრივი მუშებიც ღებულობენ სულიერ საზრდოს და საჩაიების, ყავახანების მაგიერ მიდიან კლუბში, სადაც უფრო ერთობიან, ისვენებენ, სწავლობენ და პოულობენ მეგობრულ თანაგრძნობას.

მაგრამ ყოველივე ამას თან ახლავს არასასურველი მოვლენებიც, რომლის ასაშორებლათ საჭიროა რეალურ ზომების მიღება. ხშირად კლუბში წარმოდგენის ან კინოს დროს ქუჩიდან შემომძვრალი ავარა-კინტოები (რომლებითაც ჩვენი რაიონი მდიდარია) უწესო მოქცევით, ხშირად გინებით და ჩხუბით, სტოვებენ ცუდ შთაბეჭდილებას ახლად შემოჩვეულ აუდიტორიაზე.

რაიონის მილიცია, რომელიც კლუბის პირდაპირ არის და რომელიც ყოველ საღამოს თითქმის მთელი თავისუფალი შემადგენლობით ეწვევა კლუბს, ამ მოვლენას ვერ აქცევს სათანადო ყურადღებას.

ჩვენ არ ვიცით ამის მიზეზი. საქმის ასე დატოვება კი ყოვლად შეუძლებელია.

არტილერისტი.

ჩვენი მდგომარეობა აუტანელია

(ა.-კ. რკ. გზ. შრომის დაცვის ინსპექციის საყურადღებოდ)

ა.-კ. რკ. გზ. სამასალო მთავარი საწყობი რკ. გზ. აუარებელ მასალებს იღებს და გზავნის. იქ მუშები ითვლებიან მტვირთავ-გადმომტვირთავად. მუშებს უხდებათ შიშველა ხელით მუშაობა, რადგან არავითარ სამუშაო ტეხნიკური იარაღები არ მოიპოვება საწყობში. ამიტომ მუშებს უხდებათ ხშირად (თითქმის ყოველდღე) ნორმაზე ბევრათ მეტი მძიმე ტვირთის ზიდვა მხარით რის გამო ისინი ხშირად შავდებიან, ავადმყოფდებიან და ეს კი სახელმწიფოს ორნაირ ზარალს აძლევს: ერთი რომ წარმოებას მუშა-ხელი წყდება, მეორე იგი როგორც დაზღვეული, ფულს იღებს დამზღვევ სალაროდან, და თვით მუშაც უვარგისდება (ზიანდება).

აქ საწყობის მუშები რომ გაისინჯონ ექიმების მიერ 50 პროც. მაინც დაზიანებულნი აღმოჩნდებიან. მით უმეტეს ახალგაზრდობა.

ამ საქმის გაუმჯობესებაზე ხშირად იყო დაპირება, მაგრამ ამაოდ.

ამისათვის ფრიად საჭიროა შრომის დაცვის ინსპექტორმა მიიღოს ზომები, რომ გააუმჯობესოს მთავ. საწყობში ტეხნიკური სამუშაო იარაღები; ამასთანავე აუცილებლად საჭიროა ადგილობრივად ყველანაირ სამუშაოების გაცნობა არა ზერელედ, არამედ სამუშაოებთან მისვლით და მუშისთვის შეკითხვით, თუ როგორ და რა პირობებში მუშაობს იგი.

უამისოდ საწყობის ახალგაზრდა მუშების ჯანს დიდხანს ვერ შევინარჩუნებთ.

მუშკორი ვეშაპურელი.

პასუხი ამხ. „მუშის მოკეთეს“

(იხ. „კომუნისტი“ № 21)

გაზ. „კომუნისტი“-ს 21 ნომერში მოთავსებული წერილის, სათაურით: „განებრივებულ მსახიობს ჭკუა უნდა ასწავლოთ“ შესახებ გაცნობებთ რომ გამოკვლევა მოსპობილია ბოროტ-მოქმედების ნიშნების უქონლობის გამო.

აღმოსავლეთ საქართველოს პროკურორის თანაშემწე კიკაბიძე.

მუშათა წერილები მიზანს აღწევენ

სახლის მდგომარეობას გამოვარკვევთ

„კომუნისტი“-ს მე-24 ნომერში სათაურით: „ჯიუტი სახლის პატრონი“ მოთავსებულ წერილის შესახებ გაცნობებთ, რომ აღნიშნული სახლის ტეხნიკური მდგომარეობის გამორკვევა დაევალა სატეხნიკო საკონტროლო კომისიას.

აღვადგინეთ სრული სისუფთავე

„კომუნისტი“-ს № 285-ში მოთავსებული წერილის შესახებ სათაურით: „საშინელ სიბინძურეში დავიტანჯეთ“ გაცნობებთ, რომ სახლის პატრონმა ახპატის შესახვევ № 6-დან უკვე გადაიტანა ბოსელი სხვა ადგილას და ამჟამად სრული სისუფთავე არის დაცული.

მიცემული იქნება პასუხისგებაში

„კომუნისტი“-ს მე-33 ნომერში მოთავსებული წერილის შესახებ სათაურით: „მოშალეთ ეს გარყვნილების ბუდე“ გაცნობებთ, რომ აღნიშნულის შესახებ მოხდენილი კვლევა-ძიება ჩვენს მიერ გადაგზავნილია პროკურორთან ხსენებული პირის პასუხისგებაში მისაცემათ.

ჭკუა ისწავლა

„კომუნისტი“-ს გ/წლის 25 დეკემბრის თარიღით № 297 მოთავსებულ წერილის შესახებ სათაურით: „მიიღეთ ზომები ამ სახლის პატრონის წინააღმდეგ“ გაცნობებთ, რომ სახლის პატრონი მდგმურებთან უკვე კარგ განწყობილებაშია და აგრეთვე ეზოში სისუფთავე დაცული.

ადმინისტრატიული განყ. უფროსის მაგიერ მკურნალი.

წყალი უკვე მივეცით

„კომუნისტი“-ს 1/1 პირველ ნომერში სათაურით: „წყალსადენო მოგვეცი წყალი“ მოთავსებულ წერილის შესახებ გაცნობებთ, რომ მასში აღნიშნულ რაიონში წყლის დენისთვის ზომები მიღებულია და ამჟამად აქ წყალი არის.

საინფორმაციო მაგიდის გამგე: ვარდოსანიძე.

მუშათა ქრონიკა

ტყავტრესტის ფაბკომში

◆ **სისუფთავის დაცვა.** ტყავტრესტის ქარხანაში, რადგანაც არ არის დაცული სისუფთავე, შრომის დაცვის კომისიამ სთხოვა ფაბკომს მიიღოს ზომები სისუფთავის დაცვისათვის.

◆ იმ მიზნით, რომ შრომის დაცვის კომისიები გაეცნონ კანონებს, ტყავტრესტის შრომის დაცვის კომისიის სხდომაზე მოწვეულია შრომის დაცვის ინსპექტორიც.

◆ **საშეფო საზოგადოების** მუშაობის გამოსაცოცხლებლად ტყავტრესტის კულტკომისიამ დაავალა ამხ. ტურაბოვს დიდი ყურადღება მიაქციოს საშეფო საზოგადოების მუშაობას.

საბჭოთა სასამართლო

გეგეჭკორის საქმე

კოოპერატივის ფულის გამფლანგველმა გეგეჭკორმა, რომელსაც აღმოსავლეთ საქართველოს საოლქო სასამართლომ დახვრეტა მიუსაჯა, საჩივარი შეიტანა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

ამის გამო მისი საქმე ხელახლა გაირჩევა უზენაეს სასამართლოში, ხვალ 11 მარტს.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პ ა რ ტ ი უ ლ ი

ხუთშაბათს, 11 მარტს, სად. 6 ს., ამხ. კახიანის კაბინეტში შესდგება **ცეკას ბეჭდვითი განყ. კოლეგიის მორიგი სხდომა.**

უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: სუტირინი, ბახტაძე, ორახელაშვილი მარია, ასრიბეგოვი, პაპავა, კიკნაძე, საყვარელიძე, ჭელიძე, რუხაძე არ., ჩიხლაძე, ძიგრაშვილი, ასათიანი, ანდღულაძე, ზომლეთელი, რუხაძე ლ.

ს. კ. პ. ცეკას ბეჭდვითი განყ. გამგე გ. მუშიშვილი.

— დღეს, 10 მარტს, სად. 6 საათ. მთავპოლიტგანში დანიშნულია **ჩერ კუმს-ის ცენტ. გამგეობის პრეზიდიუმის სხდომა.**

დასწრება ყველა წევრებისა და კანდიდატებისათვის სავალდებულოა.

პ/მგ. მდივანი სვანაძე.

საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი იუწყება, რომ ხუთშაბათს, ა. წ. 11 მარტს ქალაქის აღმასკომის შენობაში საღამოს სრულ 6 საათზე გაიმართება რაიკომის გაფართოებული პლენუმი, უჯრედთა მდივნების მონაწილეობით.

დღის წესრიგი:

1. ორგანიზაციის შემადგენლობის ზრდის და მოწესრიგების შესახებ.
2. წავკისის თემის საბჭოთა ხელახალ არჩევნების შესახებ.

ქალაქის რაიკომის მდივანი: **გობეჯიშვილი.**

— ს. კ. პ. ლენრაიკომი იუწყება, რომ დღეს საღამოს 6 საათზე 11 მარტს მე-6 უბნის სალიანდაგო დარგის მუშათა კლუბში შესდგება თათბირი სამეურნეო და სამ-ნეო ადმინისტრატიულ თანამდებობაზე წამოყენებულ პარტამხანაგების.

დღის წესრიგი:

1. პირობები და მდგომარეობა აღნიშნულ ამხანაგების მუშაობისა.
2. აღნიშნულ ადგილებზე წამოყენებულ ამხანაგების მომავალი მუშაობის შესახებ.

ლენრაიკომის მდივანი — **ქავთარაძე.**

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის მე-2-ე რაიკომი იტყობინება, რომ ხუთშაბათს 11 მარტს, საღამოს 5 საათზე, რაიკომის შენობაში შესდგება მე-2-ე რაიკომის მიმღებ კომისიის სხდომა.

მდივანი: ფანცულაია.

— რემედასის ლენრაიკომი იტყობინება, რომ ოთხშაბათს ათ მარტს საღამოს 6 საათზე ლენრაიკომის ბინაზე მოწვეულია ლენრაიონის რემედასის უჯრედთა მდივნების თათბირი.

დასწრება უჯრედთა მდივნებისა დაუყოვნებლივ სავალდებულოა.

რემედასის ლენრაიკომის პ/მგ. მდივანი ნაცვლიშვილი.

— საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი წინადადებას აძლევს შემდეგ ამხანაგებს გამოცხადდნენ რაიკომის პასუხისმგებელ მდივანთან ა/წ. მარტის ნაშუადღევის 2 საათზე.

უჯრ. № 23. მჭედლიშვილი, მელუა, ცომაია, გოგოშიძე.

ქალაქის რაიკომი.

— თბილისის კომიტეტის საღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს შემდეგ ამხანაგებს გამოცხადდნენ განყოფილებაში: გუშჩანი გრიგოლ ვლადიმერის ძე, ჩიქვილაძე მელიტონ სოსიას ძე, ტერ-აკოპოვი რუბენ — ამბაკოს ძე, გრიგორიანცი იაკობ გაენდის ძე, კუბლაშვილი გერასიმე ტრიფონის ძე, ხუბულაშვილი ნიკოლოზ გიორგის ძე, საველიევ პლატონ პროკოფის ძე, ალბუხოვ ნიკოლოზ გაბრიელის ძე, ოსტროუმოვი ანატოლი ბენედიქტეს ძე, ურიგაშვილი ივანე ნიკოლოზის ძე, ვოენინ მიხეილ ივანეს ძე, კუზნეცოვი ვლადიმერ ანდრიას ძე, სირაძე ივანე მიხეილის ძე, მარკაროვი იოსებ მელქოს ძე, იაშვილი დავით ილიას ძე, ანოსაშვილი გიორგი როსტომის ძე, მარინაშვილი ვასილ გიორგის ძე, გაბუნია კონსტანტინე პლატონის ძე, ოქრობიძე ონიფანტე გიორგის ძე, გოლემბიოვსკი ნესტორ ნიკიფორეს ძე, ქავთარაძე ელიზბარ გრიგოლის ძე, გვალია სევერიან ალექსის ძე, მეცხვარიშვილი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე, შელიძე ნიკოლოზ ოქროპირის ძე, მნაცაკანოვი ვაგრამ კარაპეტის ძე, კვერნაძე არჩილ დავითის ძე, გვიბინინი მაქსიმე მათეს ძე, კირაკოსიან რატინან ავეტისის ძე.

ღრმად დამწუხრებული შვილები: მარიამ, თამარა, სოლომონ, ანტონ (კოწია), ნიკოლოზ და ვახტანგი; შვილისშვილები: ბიძინა, ქართლოს, ნუცა და თინიკო; რძლები: ნინო და ოლღა; დისწული არეთა ჯოლოგუა; ცოლისძმა დავით კანდელაკი და სიძეები ტარასი მორჩაძე და გრიგოლ დანგაძე მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათთვის საყვარელ და დაუვიწყარ

იასონ მანუჩარის ძე
ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი ს

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ქ. ქუთაისში, ხუთშაბათს, მარტის 11-ს, 4 საათზე. გამოსვენება საკუთარ ბინიდან (თავისუფლების მოედნის მეორე შესახვევი, № 36). 1809 1—

დამწუხრებული და უბედური დედა ნატალია თომას ასული, და ანა, ძმა მიხეილი, დეიდა ანა ანდრიაშვილისა შვილებით დიდის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და მეგობართ, რომ 7 მარტს გარდაიცვალა ძვირფასი და დაუვიწყარი

ალექსანდრე (საშა) იროდიონის ძე
ნანობაშვილი

პანაშვიდი 10 მარტს, საღამოს 7 საათზე. გამოსვენება 11 მარტს, 4 საათზე, ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზე საკუთარ ბინიდან, პლეხანოვის პრ. 157. 1802 1—1

ღრმად დამწუხრებული: მეუღლე ზეხათუნი, შვილები: სერგო, მაქსიმე, სილიბისტრო და გრიგოლი, რძლები მარიამი, მაშიკო, ანეტა, იულია და ფედოსია. შვილიშვილები: ლევანი, ვასილ მაცაბერიძეები აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავებს, რომ ამა წლის 9 მარტს დილის 3 საათზე გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი და საყვარელი

გიორგი დავითის-ძე მაცაბერიძე

გამოსვენება მოხდება ხუთშაბათს, 2 საათზე, საკუთარ ბინიდან იურიევის ქუჩა, № 6 მე-11 უბ., დაკრძალვა წმინდა. ნინოს სასაფლაოზე 1809 1—1

ახლად ამ სეზონში

მეამბოხე ქალი

კონსტანც ტოლმეჯის და კონვეი ტრილის მონაწილეობით.

ანონსი: ამ დღეებში „ჯვარი და მაუზერი“

აპოლლო არტისტთ ლოლთი

3 და 4 სერია

მსოფლიო შედევრი

„ნიბელუნგები“

(კრიმგილდას შურისძიება)

1-ლი სეანსის დასაწ. 6 საათ.
2-რე—9 საათზე

სალარო ღიაა 4 ნახ. საათიდან.

С—7 Б. 869

ხელის მომწერლებმა

ყოველგვარი ცნობებისათვის

უნდა მიმართონ

„კომუნისტი“-ს

მთავარ კანტორას

რუსთაველის პროსპ. № 24

ტელეფონი № 10-49

საქართ. ადგილობრივ ტრანსპორტის

სამმართველო

ამიც აცხადებს, რომ თანახმად „ცუმტ“-ის ცირკულიარისა 10-დან 25 მარტამდე იქნება მოხდენილი

წლიური აღრიცხვა

მთელი ავტო-მოტო-მაშინების, რომელნიც იმყოფებიან საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ყველა დაწესებულებანი და აგრეთვე კერძო პირნი, ვისაც აქვთ ავტო მოტო-მაშინები, ვალდებულნი არიან წარმოადგინონ საქართველოს ადგილობრივი ტრანსპორტის სამმართველოში „ავტო-ინსპექციაში“ მაჩაბლის ქუჩა № 8 (ყოფილი სერგიევის) მოწმობების წიგნაკი მიღებული ამიერ-კავკასიის ადგილობრივ ტრანსპორტის სამმართველოს საავტომობილო განყოფილებიდან წლის აღრიცხვის შესატანათ წიგნაკებში. ნ. 880 2—1

რუსთაველის თეატრი

ხუთშაბათს, 11 მარტს,

„ლ ა მ ა რ ა“

შაბათს 13 მარტს

„დეზერტირკა“

კვირას უკანასკნელად ამ სეზონში

„მზის დაბნელება საქართველოში“

1—1 ნ. 891

სახალხო კინო-მრეწველობის მიერ გამოცხადებული

სცენარების კონკურსის უკანასკნელი ვადა

20 აპრილი გაგრძელებულია

პირველ მაისამდე

არც ჩვეულებრივი და არც საკონკურსო სცენარი ხელით დაწერილი არ მიიღება

სცენარი უნდა იყოს რემინგტონზე დაბეჭდილი ცალ გვერდზე.

1—1 ნ. 889

სახელმწიფო ოპერა დღეს, 10 მარტს,

აბესალომ და ეთერი

ხუთშაბათს, 11 მარტს

ევგენი ონეგინი

სანდრო ინაშვილის გასტროლი

შაბათს, 13 მარტს

დ ა ლ ა ლ ა ტ ი

ოპერა იპოლიტოვ-ივანოვის ალიშქოს მონაწ.

დადგმა ალ. წუწუნავასი.

3—1 ნ. 890

გრძელდება ხელისმოწერა

ვეფხის ტყაოსანზე

სარგის კაკაბაძის რედაქტორობით.

სამეცნიერო გამოცემის ცდა. ძირითადი ტექსტი ყველა დამატებებით და სრული ვარიანტებით 12 საუკეთესო ხელნაწერის მიხედვით, გამოკვლევით და ლექსიკონით (სულ 460—480 გვერდამდის). წიგნს დართული ექნება მრავალი სურათი. ფასი ხელისმოწერით 4 მან. გამოსვლის შემდეგ წიგნი მეტი ეღირება. ხელისმომწერთ ეხლავე შემოაქვთ 2 მან. ხელისმოწერა მიიღება თბილისში თვით გამომცემელ სარგის კაკაბაძესთან, ლენინის ქ. 48 (ტელ. 19—79) და აგრეთვე მანდატით აღჭურვილ წარმომადგენლებთან. პროვინციიდან ვინც ეხლავე წიგნს ხუთი ხელისმომწერისთვის დაიკვეთს და თუმანს შემოიტანს, მეექვსე წიგნს მიიღებს უფასოდ. 1794 1-1

ს ა ჭ ი რ ო ა

3 ცალკე მოწყობილი ოთახი სახელმწიფო ელექტრო-ტრესტის 3 მოვლინებულ თანამშრომლისათვის ოთახები შეიძლება იყოს სხვადასხვა ბინებში

ქირა შეთანხმებით

სასტუმრო „ივერია“ № 1. ნეტერევს. მოლაპარაკება შეიძლება საღამოს 4—7 საათამდე.

2—1 ქვ. 1786

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო.

საწოლებით

რენტგენი დ'არსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის

სახელობის

ნერვიულ დაავადებულ ამ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ.

მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.

50—18

ექიმი ი. ი. ჭეიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი იღებს ავადმყოფ. დილ. 8—9 საათ. და საღ. 6—7 საათ. კამოს ქუჩა № 72 (ყოფილი დიდი მთავრის ქუჩა).

25—7

ექიმი ი. დ. თოფურიძე

კალინინის ქუჩა (ყოფილი ნიკოლოზ. № 33. მიიღებს ავადმყოფებს. კანის, სიფილისი და ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა გართულებები) დილის 8—9 საათამდის, საღამოს 4—8 საათამდის)

25—8

ექიმი გ. ნ. მაგაკიანი

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი კუჭის და ნაწლავების ავადმყოფობის სპეციალური-ექიმობა.

მიღება საღამოს 5—7 საათამდი. ბებუთოვის ქ. № 38. 25—7

ექიმი მ. ო. ზანდუკელი

შინაგან და ნერვიულ ავადმყ.

ელექტრონის კაბინეტი.

ავადმყ. მიღება 6—7 საათ. საღ. ლენინის (ოლღას ქუჩა) 49. ტელ. 4—82

25—13

მედიცინის დოქ. ა. ა. მონსი

დაბრუნდა და განაახლა მიღება.

მოზრდილთა და ბავშვთა შინაგანი და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობანი. იღებს დილის 10—12 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა დღისა. კამოს ქ. № 17, ზემო სართული (ყოფ. დიდი მთავრის ქ., ვორონცოვის ხიდის მახლობლად).

25—7.

ექ. ი. მ. მძინარიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი

ავადმყოფების მიღება 1—2 საათ. დღე და 6—8 ს. საღამოთი, ქალებების და ბავშვების 5—6 ს.

მისამართი: რუსთვ. პროსპ. № 18 (შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან). 25—2

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი

შინაგანი, ბავშვთა და ქალთა სნეულებანი

მიღება ავადმყოფ. დილით 8-5ახ.—9-5ახ. საათამდის, საღამოთი 4—7 საათამდის ყოველდღე.

სომხის ბაზარი, № 3. ერევნის მოედნიდან მორე სახლი. 25—12

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი

სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.

ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 4 საათიდან—6 საათამდე. ქალების მიღება 1 საათიდან 2 საათამდე

საპიორის ქუჩა № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—7

ექიმი გ. მ. ფხალაძე

კანის და ვენერიული სნეულებანი

(სიფილისი „606“—„914“)

ავადმყოფების მიღება: კაცების— დილით 8—9 საათ. საღამოთი 6—8, საათ. ქალების საღამოთი 5—6 საათ.

მისამართი: მოსკოვის ქ. № 4. ყოფ. კაბინეტი რეზო მაჩაბლისა (ხემოგლის აფთიაქის პირდაპირ).

25—25

ექიმი ჯალალოვი

კანის და ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი.

შეშხაპუნება „914“: ტრიპერის და მისი შედეგების წამლობა.

ავადმყოფები მიიღება დილის 8—9 საათ. საღამოს 5-დან—9 საათ.-დე; ქალები 4—5 საათ. საღამოს.

მისამართი: კამოს ქუჩა № 19 (ყოფილი დიდი მთავრის ქ.) ვორონცოვის ყოფილი ძეგლის მახლობლად

25—2

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა.

დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 საათ.

ქალებისთვის ცალკე შესავალი.

სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი № 8.

25—25

კბილის ექიმი

ფ. თ. რატიან-თუხარელისა

კბილის და ღრძილის ავადმყოფობა, ხელოვნური კბილები. მიღება 12—4 საათამდე და 5—7 საათ. ბარიატინის ქუჩა № 18 (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ). 25—17

დოქტორი გ. მეგრაბიანი

ფილტვების, გულის და ციების

წამლობა ხელოვნური მთის მზის სანეიმოტორაკსით და ტუბერკულინით, რ ე ნ ტ გ ე ნ ი ს, და სინათლის ელექტრონის სამკურნალო კაბინეტში—იღებს 9—1 საათ. დილ. 5—8 საღ. ბებუთოვის ქუჩა, № 23.

25—17

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი

მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყოფ. ბო-მონდი).

გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეები, ბუასილის-სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.

25—17

დ. აბაშა

კბილის ექიმმა

ა. ნადარეიშვილმა

განაახლა ავადმყოფების მიღება. კაბინეტთან არსებობს კბილის სატეხნიკო ლაბორატორია, სადაც მზადდება ყოველგვარი ხელოვნური კბილები. 25—17

ექიმი ნ. ტურიაშვილი

სამშობიარო და ქალის სნეულებანი მიღება საღ. 3—6, საბჭოთა (ყოფილი ჩერქეზოვის) ქუჩა № 22.

25—12.

პროფ. გრ. მუხაძემ

ავადმყოფობის შემდეგ განაახლა ავადმყოფების მიღება

მიღება სწორეებს საღამოს 5-დან—6 საათამდე კვირა დღის გარდა

მისამართი: პლეხანოვის პროსპექტი № 58, ტელეფონი № 5—77

25—7

თვალის ექიმი

ა. გ. მალაევი

ღებულობს ავადმყოფებს დილით 8—9 საათ. საღამოს 6—7 საათ.

ელისაბედის ქუჩა № 47, ტელეფ. № 5—90 თვალის საავადმყოფო.

25—3

ექ. ვასილი ნიკიფორესძე

ჩუპრინინი

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, მიღება: დილის 9—11-დე და საღამოს 4—6 საათამდე.

მისამართი: საბჭოთა (ყოფ. ჩერქეზიშვილის ქ.) 87. 25—3

ექიმი არსენ ვადაჭკორია

ღებულობს ქალთა ავადმყოფებს და აგრეთვე უწევს სამეანო დახმარებას დილის 8—10 ს. საღამოს 4—7 საათამდე.

(ყოფილი ოლღას) ლენინის ქ. № 35.

25—1

სათვალეების მორგება

უფასოდ

ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედ-ვაჭრობის“ ოპტიკურ განყოფილებაში დილის 3—5 დე. პლეხანოვის [illegible] № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 13—53.

25—1

დავკარგე პირადობის მოწმობა, სიღარიბის, ინვალიდობის და ექიმის მოწმობა. სერაპიონ ხეცურიას სახელზე. ჩ. გ.

1808 1—1

დავკარგე თამასუქი ხუთმეტი თუმნის გაცემული ვასილ ტომარაძეზე. ჩ. გ. 1799 1—1

დავკარგე გან. მუშ. კავშირის საწევრო წიგნაკი № 5869 ცელია ისაკის ასული მუსკინას სახელზე. ჩ. გ. 1811 1—1

დავკარგე საბჭოთა პროფკავშირის წიგნაკი ნიკოლოზ საყვარელიძის სახელზე. ჩ. გ.

1805 1—1

დავკარგე ტეხნიკუმის სრული კურსის ატესტატი № 171 თეოფილე რაზიშვილის სახელზე, ჩ. გ.

1—1 1808

დავკარგე პროფ-კავშირის წიგნაკი № 2208 თამარა ასათიანის სახელზე. ჩ. გ. 1812 1—1

დავკარგე სამხედრო აღრიცხვის ნუსხა ისაკი ჯელიას სახელზე. ჩ. გ. 1—1 1807

დავკარგე პირადობის მოწმობა და აღრიცხვის ბარათი კონსტანტინე ლუარსაბის ძე წულუკიძეს სახელზე. ჩ. გ. 1811 1—1

დავკარგე პირადობის მოწმობა და სამხედრო აღრიცხვის ქაღალდი გრიგოლ პაიჭაძეს სახელზე. ჩ. გ.

1641 1—1

დავკარგე პირადობის მოწმობა ნიკოლოზ ალექსის ძე გოროგოზიანის სახელზე. ჩ. გ. 1—1 1806

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი მარიამ ბესარიონის-ასულის კაჩიბერიძეს სახელზე. ჩ. გ.

1805 1—1

ტირაჟი—24.090

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა, კამოს ქუჩა, 68